ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№426 (485) 27 მარტი-10 აპრილი 2018 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## იზა თამაზაშვილი: ლიბერასტებო ყველა ქვეყნისა! სწორება ჩოქბჯენში უძლიერეს მართლმადიდებლურ რუსეთთან!!!

გვ.6

## ზაურ აბრალავა: ფოთი — ახალი ნავსადგური — ახალი საქართველოსთვის

გვ.7



## ბორის დავითაია: აკაკი და სამეგრელო

გვ.2

## ლუარა სორდია: მერაბ კოსტავას პოეზია

გვ.9



## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ახალი „ცივი ომი“?

გვ.5



## სერგი (გიორგი) საჯაია: არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

გვ.8

## მალხაზ გრიგოლია: ძმები თორდიების საოცარი ტალანტი

გვ.11

## ზურაბ ჭკადუა: კოლხეთი

გვ.3



გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

## ზურაბ კვარაცხელია: როგორც იქნა პარლამენტიდან პასუხი მალირსეს...

გვ.10

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი და სამეგრელო

ბედნიერებაა, რომ აკაკი წერეთელი როგორც სახალხო მგოსანი და ჭირისუფალი, ჰყავდა საქართველოს. ახალს ვერაფერს ვიტყვი. მისი ლირიკული სამყარო და ბუნება ჭეშმარიტად ღრმა ეროვნულობითა და თავისებურებებით გამორჩეოდა. სხვა პოეტებისაგან განსხვავებით, მას ახასიათებდა მკაფიოდ გამოკვეთილი ხალისიანი თვისება, წილნაყარი ბუნებრივ სათნოებასთან, იუმორთან, ადამიანურ სიფაქიზესთან.

ამიტომაც, აკაკის ფენომენის შემფასებლები განმარტავენ, რომ ის იყო ნასაზრდოები ზოგადნაციონალური ბუნების იშვიათი ხასიათით და ამ თვისებას ის ავლენდა სხვა ხალხთა კულტურის პატივისცემასა და განსაკუთრებით, საქართველოს მხარეში მცხოვრებ მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში. მან შეითვისა და შეისისხლხორცა საქართველოს ყოველი კუთხის ტრადიცია, დამახასიათებელი ყოფითი თვისებებით. სხვა შემომქმედნი ასე მაშტაბურად და სისავსით არ შეხებიან საყვარელი ერის მხარეთა სულის სიმებს.

ამიტომაც უყვარდათ და ესათუთებოდნენ მას, როგორც უზადო და მუსიკალური ჟღერადობის ტექსტების ავტორს, რომლის თითოეული სტროფი ლოცვასავით ამაღლებულია. საოცარი იყო აკაკის ადამიანური სიკეთე, სიბრძნე, სულის გამონათება. სინათლესავით გამჭვირვალე იყო მისი სხარტულები და თბილი იუმორი, გამოთქმული თითოეული ფრაზა მზის სხივივით მცხუნვარე და თეთრი ძაფით ნაქსოვი.

გამორჩეულია აკაკის დამოკიდებულება სამეგრელოსადმი. მკითხველს მოვაგონებ რამდენიმე ეპიზოდს იმ სასიამოვნო შემთხვევებიდან. პოეტის მგრძნობიარე ურთიერთობა კოლხეთის სანახებთან, არა მხოლოდ იმის გამო იყო, რომ აკაკის უმცროსი და მავრა (მატა) გამოთხოვილი იყო სოფელ ჯვარში და აკაკის სიძე გახლდათ თავადი ალექსანდრე დადიანი, რომელიც ერთ-ერთი ომის დროს ვაჟკაცურად დაიღუპა. მატასა და ალექსანდრეს ჰყავდათ ქალიშვილი – ანეტა დადიანი. შემდგომში ცნობილი მოღვაწე. აკაკი ხშირად დადიოდა ზუგდიდსა და ჯვარში. იგი დაესწრო სიძის დასაფლავებას.

ამბობენ, ჯვარიდან მესტიისკენ მიმავალ გზაზე იდგა დიდი ხე, რომელსაც აკაკის ხეს უწოდებდნენ, რადგან სამეგრელოში სტუმრობისას ამ ხის ძირას ხშირად ისვენებდა მგოსანი. როცა ანეტას მშობლები დაეღუპნენ, აკაკიმ დისშვილი სხვიტორში წაიყვანა და იქიდან გაათხოვა ჯანსუღ დადეშქელიანზე, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში დიდ თანამდებობაზე მსახურობდა.

სამეგრელოში აკაკის სტუმრობა არა მხოლოდ დის ოჯახის მონახულებითა და მათზე ზრუნვით იყო გამოწვეული. მას, ისევე როგორც საქართველოს ყველა კუთხე, შავი ზღვა და მისი მიმდებარე კოლხეთის ბაღნარი იტაცებდა, აქ მცხოვრებთა სისხარტე, ერის სიმტკიცისადმი მათი ერთგულება და სულის სილაღე იზიდავდა, მზესავით კაშკაშად რომ ავლენდნენ სამეგრელოს მცხოვრებლები. სწორედ ამით იყო განპირობებული მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება კოლხური ფესვების მქონე ადამიანებისადმი. ეს იყვნენ: იონა მეუნარგია, თედო სახოკია, დიდი ნიკო დადიანი (შალვას მამა), დუტუ მეგრელი, გიორგი ჭალადიდელი, ბეჭდაუდებელი ნესტორ ესებუა და სხვები და სხვები.

1873 წელს აკაკიმ წამოაყენა წინადადება სამეგრელოში გახსნილიყო წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლა. 1884 წელს ხორცი შეესხა ამ ინიციატივას. ძველ სენაკში დაფუძნდა ქუთაისის სკოლის ფილიალი, რომლის გახსნას ესწრებოდნენ: აკაკი წერეთელი, სახელოვანი დიმიტრი ყიფიანი, პოეტი და პუბლიცისტი ნიკო დადიანი და სხვა ცნობილი მოღვაწეები. სკოლის კურთხევაზე აკაკიმ წარმოსთქვა სიტყვა და შესანიშნავად ჩამოაყალიბა სწავლის მნიშვნელობა და ქართველობის იდეა: „ვალდებულნი ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, გავიცნოთ ჩვენი მამა-პაპანი და მათი ღვაწლი, არავითარი გონიერება ამას წინ არ აღუდგება!... ის, ვინც თავისი ვინაობა არ იცის და თავის თავს ვერ იცნობს, სხვას როგორღა შეისწავლის?... საჭიროა, რომ მარტო აწმყოზე არ შევჩერდეთ. ეს აგვამაღლებს ზნეობრივად, აგვევსება გული სიმართლითა და სიყვარულით... მაშინ შეგვეძლება ის სიყვარული სხვასაც გავუზიაროთ: ვინც გვეძებს – ვეძმოთ“. – ამბობს მგოსანი და ვრცელ გამოსვლას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „იმ ახალ ტაძარში, რომელსაც ჩვენ სასწავლებელს ვეძახით და ერთი რომელთაგანი დღეს აქ ვაკურთხეთ, დიაღ, აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავისი თავი და მიხვდნენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ძმები ვართ, სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული. ვიმეორებ, აქ, ამ სკოლაში მიხვდება იმერელი, რომ ის კერძოდ იმერელია, მაგრამ საზოგადოდ კი იგივე ქართველი, აქ გაიგებს მეგრელი, რომ კერძოდ ის მეგრელია, თავისი საკუთარი ფერის მქონი, მაგრამ საზოგადოდ ის ძირეულად ქართველია და თავის კერძო მეგრელობით აფერადებს ქართველობას“.

დასახელებულ სასწავლებელში შემდგომში დაწყებითი განათლება მიიღეს: აკადემიკოსებმა კონსტანტინე გამსახურდიამ, არნოლდ ჩიქობავამ, ვარლამ თოფურიამ, სიმონ ჯანაშიამ, პეტრე ქავთარაძემ და სხვებმა.

საინტერესო და ყურადსაღებია აკაკის განმარტება მეგრული ენის ფენომენისადმი. დიდი მოაზროვნე ხაზს უსვამს რომ მეგრული დიდებული ენაა და მოუწოდებს მისი შესწავლის და დაცვისაკენ: „მეგრულ ენაში შენახულია ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ მწერლებ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეავსონ დღეს შელახული ქართული ლექსიკონი“.

საინტერესოა ფაქტია: გადმოცემით, თურმე აკაკის მეგრულად წარმოუთქვამს ლექსის ერთი სტროფი. უნიჭიერესი ადამიანისაგან ეს გასაკვირი არც შეიძლება იყოს. თუმცა ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სამეგრელოს მცხოვრებთა ყოფისა და მათი ადათ-წესებისადმი. არსებობს ერთი ლამაზი ისტორია: თურმე სენაკელ ვაჟს შეყვარებია კოლხი ასული ცირა(ზისნახე),რომელიც არ გამოხატავდა ვაჟისადმი თანაგრძნობას. გაწბილებული ვაჟი საგონებელში ჩავარდნილა. ბევრი ფიქრის შემდეგ წვევია მგოსანს და უთხოვნია დახმარებოდა სამიჯნურო ლექსის დაწერაში, რომ ამით მოეხერხებინა სატრფოს გულის მოგება. აკაკის როგორც სჩვეოდა ხალისით გაუწევია დახმარება და მეგრულად შემდეგი შინაარსის სტროფები შეუთავაზებია თავდავიწყებოთ შეყვარებული ვაჟისთვის:

„სქანი თოლი ჩქიმი სარკე, სქანი გური ჩქიმი ტახტი,
უსქანეთი ჩქიმი რინა, ციხე რე ნდო ნაუზახტი".

ანუ "შენი თვალი ჩემი სარკე, შენი გული ჩემი ხატი,
უშენობით ჩემი ყოფნა, ციხეა და „გაუზახტი“.

განსაკუთრებულია აკაკის დამოკიდებულება ბეჭდაუდებელი ნესტორ ესებუასადმი. ნესტორი ძველი სენაკის მკვიდრი იყო, დევის ძალის მქონე და ჭიდაობის ნამდვილი ფალავანი. მან ჯერ საქართველოში, შემდეგ თურქეთში და პარიზში მიწვეულმა 20-ზე მეტი შეჭიდება გამართა და ყველა შეხვედრაზე ტატამზე ბეჭებით გააკრა მოწინააღმდეგე. უბადლო ფალავნობით ისე გაითქვა სახელი, რომ ოთხჯერ შეარკინეს თბილისელ კულა გლდანელს და ოთხივეჯერ დაამარცხა იგი.

1886 წელს იტალიის ბაღში, ორი გოლიათის შერკინებას ესწრებოდა აკაკი წერეთელიც, რომელიც ისე აღფრთოვანდა ნესტორ ესებუას შემართებით,რომ მას მიუძღვნა ვრცელი ლექსი და კიდევ ერთხელ გამოხატა აღტაცება მორკინალისადმი სამეგრელოდან .

„მეორე მხრიდან მეგრელი, გამოძვრა როგორც ტურაო,
რომ დაინახა გლდანელი, ლომივით მიაშურაო....“
მივარდა, გულში ხელი ჰკრა ბურთივით გააგორაო,
ვეფხვივით ზურგზე დაახტა, დათვივით მოიტორაო“.

არაერთ სხვა საინტერესო და უცნაურ ამბავს უკავშირებენ აკაკის სახელს. საქვეყნოდაა ცნობილი, რომ ის გახლდათ ენამოსწრებული და ქალბატონების გულთამყრობელი. ამჯერად გიამბობთ ამბავს, რომელიც დაკავშირებულია მისი შესანიშნავი ლექსის ციცინათელა“-ს შექმნასთან: სამეგრელოს გულში, ეგრისის სამეფოს ნაფუძარზე – ახალ სენაკში, აკაკი საპატიო სტუმარად მიიწვიეს ქალაქის პრისტავის, ნიკო დგებუაძის სახლში. სტუმრებს შორის იყვნენ გამორჩეული სენაკელები, მათ შორის სავაჭრო ქსელის მქონე და შავ ზღვაში გემის პატრონი, გილდ-ვაჭარი ალექსანდრე ჭანტურია მეუღლითურთ – მშვენიერი ელისაბედ (ელო) ბედიას თანხლებით. ელო უმშვენიერესი ქალბატონი გახლდათ, რომელსაც ოდესაში გამართულ სილამაზის კონკურსში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა.

საღამო ძალიან მხიარული გამოდგა. ლექსებით,იუმორით,შაირებით გალაღებული. ელო ბედიას მგოსნისთვის მეგრული ლექსით მიუმართავს, რომელიც ქართულად ასე ჟღერს.

„სინათლეო, ელვის დარო, შენ ხარ ჩვენი გულის ვარდი,
ნახვა შენი ისე გვკლავს, რომ, დაგველიოს გინდაც ბანგი.“

მგოსანმა თურმე ექსტერნად, მეგრულად მიუძღვნა საპასუხო სტროფები ელო „ზისნახეს“ . ამ მოულოდნელობას ტაში და მხიარულება მოჰყვა. აკაკის მიერ მეგრულად წარმოთქმული და ზემოთ მოტანილი ლექსი, მან არა სენაკელ შეყვარებულ ვაჟს ასწავლა, არამედ ელოს საპასუხოდ წარმოსთქვა. ამას ადასტურებენ წვეულებაზე მყოფი სტუმრების შთამომავლები.

უფრო მეტიც, აკაკი იმდენად მოხიბლულა ახალგაზრდა ქალბატონით, მგოსანს ხელსახოცზე დაუწერია ბწკარები და ელოსთვის ჩუმად მიუცია, სადაც ეწერა:

„ჩემო ციცინათელა! რად მიფრენ ნელ-ნელა?
შენმა შორით ნათებამ, დამწვა და დამანელა,
ანათებ და კარგი ხარ, მე თუმც არას მარგიხარ!
ჩემი იყო, ის მინდა, შენ კი სხვისი ვარდი ხარ.“

ეძღვნება ლიზი ბ-ს".

ეტყობა ნაღვინევს ვერ მოაგონდა ელოს სახელი და ლიზი დააწერა, თუმცა ბ. აღმნიშვნელია ქალბატონის გვარისა – ბედია. ელოს შთამომავლები ამბობენ, რომ აკაკის სურათი ქალბატონის ღრმა მოხუცებულობამდე ეკიდა საძინებელ ოთახში, ხოლო, ხელსახოცი მწერლის წარწერით, აკაკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გააგზავნეს მწერალთა კავშირში და შემდგომ მისი ბედი არ იციან.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ლექსი „ციცინათელა“ აკაკიმ ადრე დაწერა, როცა ელო პატარა იყო და იგი არ შეიძლება მიეძღვნა მშვენიერი კოლხი ასულისადმი. თუმცა ფაქტია, რომ ამ ლექსის საუკეთესო ბწკარები „გაიმეტა“ მშვენიერი ქალბატონისთვის.

განსაკუთრებული პატივი იყო აკაკის მიბრძანება ზუგდიდში, დადიანების სასახლეში. მისი ურთიერობა სალომე დადიან-მიურატთან და პრინც ნიკო ნიკოს -ძე დადიანთან. 1896 წელს მგოსანი ესწრებოდა საფრანგეთის პრინცის, აშილ მიურატის გარდაცვალების წლისთავს ჭკადუაშში. სახალხო პოეტმა იქ ბრძანა ვრცელი, დიდებული და მარად დასამახსოვრებელი სიტყვები. შეამკო აშილის ღვაწლი საქართველოსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის საკითხში და ხაზი გაუსვა სამეგრელოს ღირსებას. „აბა თუ ვინმე იმას იტყვის, რომ მეგრელებს ან სიტყვით, ან საქმით მიეცესო საბუთი, რომ ჩვენ ვსთქვათ: ისინი აღარ ქართველობენო, პირიქით... ქართველობა მით უფრო ეტყობათ, ჩვენს საზოგადო საქმეში მეტი მონაწილეობას ისინი იღებენ, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ისინი მეტს იწერენ, წიგნებს სამეგრელოში მეტი გასავალი აქვს, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში და საერთო საქმის თანამდგომნი არიან"... ბოლოს კი ასე ამთავრებს თავის მგრძნობიარე სიტყვებს – „მე ახლა, როცა თქვენს წინაშე ვდგევარ, თქვენებური, მეგრული ღიღინით მახსენდება:

„ქელსაბამო მარგალიტო, ნეტავ მარად ჩემთან იყო!
ნამეტანი სიყვარულით მეშინია არ ჩაგკვნიტო".

დარწმუნებული ვარ, იგი მარად ამ სიტყვებს გულწრფელად გაიმეორებდა.

სამეგრელოს მოსახლეობის გულწრფელი პატივისცემა მგოსნისადმი დადასტურდა 1909 წელს, როცა ქ. ფოთში სახალხო პოეტს მოუწყვეს გრანდიოზული შეხვედა, ამ შეხვედრას იონა მეუნარგიასთან ერთად ესწრებოდნენ ცნობილი მოღვაწეები. გულში ჩაითბილეს ხანდაზმულ მგოსანი და გადასცეს ულევი სითბო და სიყვარული.

**ბორის დავითაია**

---

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კობახიძეს,**

**საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ მარინე ჯაშს.**

**საქართველოს პარლამენტის წევრებს**

ბატონებო და ქალბატონებო,

ვუერთდებით რა სახალხო მოძრაობა“ სამეგრელოს“ რეგიონული რწმუნებულის ზურაბ კვარაცხელიას მიმართვას, სათანადოდ მიექცეს ყურადღება ჩვენი კუთხის შვილების გულისტკივილს, „წინარე ქართველური ენების უშესანიშნავესი ლექსიკისა და სულიერების მატარებელი უძველესი ისტორიული მემკვიდრეობის მქონე კოლხურ–იბერიული ენების: მეგრული, ლაზური, სვანურის გაქრობის საშიშროებას“. ჩვენც მიზანშეწონილად მიგვაჩნია პარლამენტის გადაწყვეტილებით, სანამ გვიან არ არის შეიქმნას სპეციალური კომპეტენტური კომისია, რომელიც ზემოთ აღნიშნული ენების დაცვა–განვითარებას უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს ყოვლისმომცველ კომპლექსურ პროგრამას, რაც, ჩვენი აზრით, გადაარჩენს უდიდეს ეროვნულ საგანძურს. არ არის საკმარისი არამატერიალური მემკვიდრეობის ეგიდით დაცული იქნას მხოლოდ: ხაჭაპური, ჩურჩხელა, სულუგუნი, კუბდარი, „ელარჯი“ „გებჟალია“...

ჩვენს მხრივ გამოვთქვამთ მზადყოფნას, რომ ჩვენი წარმომადგენელთა ჩართულობით მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური წვლილი შევიტანოთ აღნიშნული კომისიის საქმიანობაში. იმედს ვიტოვებთ ეს მამულიშვილური თხოვნა გათვალისწინებული და განხილული იქნება პარლამენტის უახლეს სხდომაზე.

სახალხო საზოგადოებრივი მოძრაობა „აბაშელი"-ს სახელით:

**ვახტანგ კეკელია,**
**ტარიელ ანდღულაძე,**
**ხვიჩა გუგუშვილი,**
**მერაბ მიმინოშვილი,**
**მალხაზ ბრიგოლია,**
**ალექსანდრე მუჯირი,**
**რეზო ბოკუჩავა**

# კოლხეთი

ალექსანდრე დედის მხრიდან ენათესავება თესალიელებს, რომელთა სახელი იაზონისა და მედეას შვილის, თესალის მიხედვით მოდის და რომელიც მამის ტახტზე ეპირელებმა გაამეფეს...

„მდინარე აუსი, წოდებული ვინმე ესსი-ს სახელის მიხედვით. აპოლონია, კორინთელების კოლონია, დაშორებული ზღვიდან ოთხ მილზე. ...ხმელეთზე დგას ქალაქი ორიკი, დაფუძნებული კოლხების მიერ. აქ იწყება ეპირი".

(პლინიუს უფროსი; ბუნებრივი ისტორია, წიგნი III-23)

არც პლინიუს უფროსმა იცის თუ ვის სახელს ატარებს მდინარე ესსი, ეპირის დასავლეთ საზღვართან, მასა და ილირიას შორის.

ამავე მდინარეს სტრაბონი ეანტ-ს, ეანფ-ს უწოდებს.

"მაკედონელებს შორის გაჩაღდა დიდი შეჯიბრი სიმამაცეში: ვინ პირველი ავა (მოწინააღმდეგის) კედელზე. პირველი ავიდა ნეოპტოლომი, ერთ-ერთი „მეგობარი", წარმოშობით ეაკი-დი"

(ფლავიუს არრიანე; ალექსანდრეს ლაშქრობა, წიგნი II, 27-6).

ძნელი სათქმელია, იცის თუ არა ფლავიუს არრიანემ მის მიერ ნახსენები ნეოპტოლომის ზუსტი გენიოლოგია, მაგრამ თავად სახელი, რომელიც ამ მეომრის საგვარეულო სახელი ჩანს, მის აქილევსის შთამომავლობაზე მეტყველებს, ეაკიდთა ჩამომავლობა კი აიეტის ჩამომავლობის ტოლფასია!

ეაკიდები – მითიური ეაკის შთამომავალნი არიან, მოლოსების მეფისა.

(სტრაბონი, საკუთარ სახელთა და გეოგრაფიული პუნქტების მაჩვენებელი).

მოლოსების დედოფალი ანდრომახაა, ჰექტორის ცოლყოფილი, რომელიც აქილევსის ვაჟმა, ნეოპტოლომმა ცოლად შეირთო და ეპირში წაიყვანა!

მოლოსები, ხაონები და თესპროტები – ეს კოლხური ტომებია, შემდგომში გაელინებული!

ეს აიეტის საპატივცემლოდ ჰქვია ეპირისა და ილირისს გამყოფ მდინარეს ესსი-აიასი!

...თავად ნეოპტოლომის ეპირიდან წარმომავლობა კიდევ ერთხელ თვალნათლივ აჩვენებს, თუ ვინ წარმოადგენს ალექსანდრე მაკედონელის „მეგობართა" ძირითად ბირთვს.

თავად ბერძნულ ეპოსსი არსებული მოარული ლეგენდა ჰერაკლეს მიერ კოლხეთში განხორციელებული ლაშქრობის შესახებ, ახსნას იმავე ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში ჰპოვებს:

„გერიონთან მიმართებაში, რომელთანაც არგოსელი ჰერაკლე გაგზავნა ევრისთევსმა, რომ წაერთვა გერიონისათვის ძროხები და მიეგვარა ისინი მიკენში, ლოტოგრაფი ჰეკატე (მილეტელი) ამბობს, რომ აქ საუბარი არაა იბერთა (ესპანეთის იბერია) მიწებზე და ჰერაკლე გაგზავნილი იყო არა კუნძულ ერიფეიზე, მდებარე დიდი ზღვის(ოკეანის) იქით: მატერიკზე. ამბრაკიასა და ამფილოხიას შორის ცხოვრობდა მეფე გერიონი, ამ მატერიკიდან ჰერაკლემ გამოირეკა ძროხები და მართლაც დიდი გმირობა იყო. ჩემი მხრიდან დავუმატებ, რომ ეს ადგილი მდიდარია საძოვრებით, და ძროხები იქ ძალიან ლამაზია. შესაძლებელია ევრისთევსამდე მივიდა ქება ეპირელთა ძროხებისა და რომ ეპირის მეფეს მართლა ერქვა გერიონი".

(ფლავიუს არიანე, ალექსანდრეს ლაშქრობა, წიგნი II; 16- 5,6).

როგორც ცნობილია, ჰერაკლეს თანამედროვე მეფე კოლხეთში აიეტი იყო, და ამ უკანასკნელთა პირად დაპირისპირებაზე არაფერი იცის ბერძნულმა ეპოსმა. თუმცა როგორც ტექსტიდან ირკვევა, ჰერაკლე ამ შემთხვევაში არც ჩასულა ეპირში (კოლხეთში) მან მხოლოდ მისი სამეზობლოდან გამოირეკა ძროხები და დაარბია მეფე გერიონი. თუმცა ბერძნული ეპოსი მაინც აღნიშნავს მის ყოფნას იქ: ერთ შემთხვევაში როდესაც ის ვითომდა ესპანეთიდან ბრუნდება უკან გერიონის ძროხების გამორეკვის შემდეგ და გზადაგზა ეფირს გაივლის (დიოდორე სიცილიელი წიგნი IV-XXV), და მეორე შემთხვევა, როდესაც ის ლაშქრობას აწყობს თესპროტების წინააღმდეგ (აპოლოდორი, მითიური ბიბლიოთეკა, წიგნი II, VII-6)

რასაკვირველია ორივე შემთხვევაში ჰერაკლე კოლხეთში იმყოფებოდა(თუ რასაკვირველია ის მართლა იმყოფებაოდა ეპირში) თუმცა ლეგენდის შექმნის დროისათვის ეპირის კოლხეთყოფილობას ათეული საუკუნის დავიწყების მტვერი ადევდა!

„აია, კოლხთა ქალაქი, აშენებული აიეტის მიერ, ზღვიდან დაშორებულია სამასი სტადიონით; არის კიდევ თესალიის აია, რომელსაც იხსენებს სოფოკლე; პირველის შესახებ ის ამბობს ,<აიაში მისცურავდა> ხოლო მეორის შესახებ ის ასე ამბობს: არის რომელიღაც აია თესალიელთა სამფლობელო. არის აგრეთვე წყარო მაკედონიაში, როგორც ამბობს ანტიმაქე"

(გეორგიკა, ტომი III სტეფანე ბიზანტიელი; გვ-274, 1936 წ).

თესალიის აია იმ გადმოსახლებული კოლხები მეომრების დაარსებული ჩანს, რომლებმაც მედეასა და იაზონის შვილი თესალი გაამეფეს პელაზგიაში, და რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელს თესალია ეწოდა.

საინტერსო პასაჟია ეგვიპტის ფარაონის სესოსტროსის ლაშქრობაც. ჰეროდოტეს სიტყვებით:

„მან გააკეთა ეს და გადაიარა ხმელეთი, ვიდრე აზიიდან ევროპაში არ გადავიდა და დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები. მე ვფიქრობ, რომ ის უშორესი ადგილია, სადამდეც მივიდა ეგვიპტელთა ლაშქარი, სწორედ აქ იყო, რადგან ამათ ქვეყანაში კიდევ ჩანს მათ მიერ დაყენებული სვეტები, ხოლო ამათზე შორს კი აღარ არის. აქედან შემობრუნდა და უკან წავიდა. შემდეგ კი მდინარე ფასისთან იყო. მე არ შემიძლია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ამ ადგილას თვით მეფე სესოსტრისმა გამოყო თავის ლაშქრის რაღაც ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მაცხოვრებლად, ამ კიდევ იმიტომ, რომ ზოგიერთი ჯარისკაცთაგანი, გადაღლილი ხეტიალით დარჩა მდინარე ფასისთან. (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი II, ევტერპა 103, თბილისი, 1971 წ.).

როგორც ჰეროდოტე წერს, მისი დასკვნა ეყრდნობა ეგვიპტელებისა და კოლხების მიერ წინდაცვეთის წესის დაცვას და სხვა არაფერს. შესაძლებელია, კოლხებმა მართლაც ეგვიპტელებისგან აითვისეს წინდაცვეთის წესი და იმ კოლხეთში დარჩა კიდეც სესოსტრისის გადაღლილი ჯარის ნაწილი, თუმცა ეს ქმედება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ ეპირში და არა დღევანდელ კოლხეთში, ვინაიდან იგი ფარაონ სესოსტროსის სავარაუდო ლაშქრობის ტრასიდან განუზომლად შორს დევს. კოლხეთში ჩასვლა ფარაონ სესოსტრისისათვის ახალი ლაშქრობის ტოლფასი იქნებოდა, რომელიც თრაკიის ლაშქრობიდან (დღევანდელი ბულგარეთ-რუმინინეთი) ბრუნდებოდა შინ.

რეზიუმე:

უძველესი ბერძნული წყაროები, თუმცა ერთობ ძუნწი და ირიბი ცნობებით, კოლხთა პირველ სამშობლოდ მხოლოდ და მხოლოდ ეპირს მიანიშნებს! აქ და მხოლოდ და მხოლოდ აქ, დასავლეთ-ქართული ტომების გვერდით და მათშივე მოიაზრება კოლხური ენის ჩასახვა და განვითარება. აქ, იონიისა და ადრიატიკის ზღვების შესაყარზე მდებარეობდა ანტიკური კოლხეთი. აქვე ილაშქრეს აღმოსავლეთის პელაზგთა ნარჩევმა ვაჟკაცებმა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, ვინაიდან სასაზღვრო მდინარის, აქერონტის (მკვდრების მდინარე) გადალახვა ელინთათვის სიკვდილის ტოლფასი იყო!

ასევე ბერძნული წყაროებით ირკვევა, რომ დოდონეს სამისნო მდებარეობდა ეპირში, დასავლეთის პელაზგიაში და ის აღმოსავლეთ პელაზგიის ქალაქიდან, სკოუტექსიდანაა აქ გადმოტანილი!

თავად ვერძის, კრიოსის ტყავი, რომელის დოდონეს სამისნოს შეეწირა, ორქომენიდან, ასევე აღმოსავლეთის პელაზგიიდანაა აქ მოხვედრილი ფრიქსეს საშუალებით. ის ისეთსავე სიწმინდეს წარმოადგენს აღმოსავლეთის პელაზგთათვის, როგორც დასავლეთის პელაზგთათვის-ეპირელთათვის.

კოლხთა ტომის შემდგომი ისტორიული გზა ასე გამოიყურება:

კოლხთა ერთი, არცთუ მცირე ნაწილი მთლიანად ასიმილირდება ელინებში. ნათელი მაგალითი კუნძულ კორკირას მცხოვრებლებია, რომლებიც V-IV საუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე პელოპონესური ომების მსვლელობისას დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობენ და ხშირად აღწევდნენ კიდეც. ასევე ასიმილირებული ჩანს ეპირის დიდი ნაწილიც. კოლხთა დანარჩენი ნაწილი მიგრირებული ჩანს მცირე აზიისაკენ, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით, ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ. ჰეროდოტეს ეპოქაში ისინი მდინარე ფაზისს (რიონს) აღწევენ, ხოლო სტრაბონის ეპოქისათვის მდინარე კოდორის სანაპიროს. კოდორს იქით კი უკვე ჰენიოხთა (სანიგთა) ტომის მიწებია!

თემა გვინდა დავხუროთ ზეელიგერის სიტყვებით:" სისულელე იქნებოდა აიას გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა რომ ვცადოთ (არგონავტიკა,, გვ.36).

ჩვენი მხრივ, დავუმატებთ, რომ ვცადეთ და მოვნახეთ კიდეც!

P.S. სტატიაში არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი კოლხთა ტომის მიერ შეტანილ წვლილზე კაცობრიობის ცივილიზაციის მონაპოვარში. ასეთი წვლილი უდავოდ არსებობს, თუმცა ავტორი ამ მომენტისათვის თავს იკავებს მისი გამომზეურებისაგან.

...ზოგიერთი ვაი-ისტორიკოსი კოლხეთის მთავარ დამსახურებად ამ მიმართულებით მხოლოდ „არგონავტებზე" შექმნილ ლეგენდებში ხედავს, თუმცა კოლხეთი ამ ლეგენდებში სტატისტის ფუნქციას ჯერდება მხოლოდ...

სტატიას ქართველი გენიოსის, შოთა რუსთაველის სტროფით დავამთავრებთ:

„დიდთა ვერ მოჰკლენ, ხელად აქვს, ხოცა ნადირთა მცირეთა".

კოლხეთი – შენიშვნები.

1.კოლხეთის სახელი პირველად მოხსენიებული ყოფილა ევმელოს კორინთელის გენეალოგიურ პოემა „კორიანთიაკა" ძვ.წ. აღ. მე-8-ე საუკუნეში. პოემა თქმულების უძველესი კორინთულ ვერსიას გადმოსცემდა. (აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, გვ.10, თბილისი-1975 წ)).

კიდევ ერთი ისტორიული გაუგებრობა რომელიც არგონავტებისა და კოლხეთის თემას შეეხება, მჭიდროდაა დაკავშირებული კორინთოსა და კირკეს თემას. ბერძნულ ავტორთა შორის გავრცელებული მოსაზრებით, აიეტი დასახელებულია კორინთოსა და კოლხეთის მეფედ!

კორინთოს დღევანდელი კოლხეთიდან ათასეული კილომეტრები აშორებს, ხოლო ეპირიდან (კოლხეთყოფილიდან) ასეული. ისტორიულ გაუგერობას სავარაუდოდ ორთოგრაფიული შეცდომა უდევს საფუძვლად: აიეტის სამეფო კოლხეთის გარდა კორკირა ჩანს, მისი დის, კირკეს კუთვნილი კუნძული, ეპირიდან 7 კილომეტრის დაცილებით მყოფი ზღვაში. კუნძული მთელი ადრეული ანტიკური პერიოდი ეპირისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა და აღწევდა კიდეც.

რაც შეხება კორინთოს, როგორც ირკვევა ის იმავე ეთნიკური მიკუთვნებულობის ხალხებით, შესაბამისად კოლხებით ყოფილა დასახლებული და მასაც გააჩნია ქალაქი სახელით ეფირი, რომელმაც ბერძნებში ცნობათა ზემოთ მოხსენებული აღრევა გამოიწვია. ეს კორინთოს მეფის ქალიშვილს გაუმიჯნურდა იასონი, რომელიც მედეას მამიდაშვილად (სისხლისმიერ ნათესავად) ერგება!

რაც შეეხება იაზონს, იმავე ბერძნულ ლიტერატურაში არსებობს ცნობები, რომ ის სამშობლოში არ გაჩერებულა, ჩაესიძა აიეტს კოლხეთში.

„პელეასის შვილებმა ის ისევ განდევნეს თესალიიდან. მაშინ იაზონმა მრავალრიცხოვანი მხლებლებით, რომლებიც მოხიბლული იყვნენ მისი დიდებით და ვაჟკაცობით, დაიწყეს თავმოყრა მასთან სხვადასხვა ტომებიდან, გაემართა უკან კოლხებისაკენ; მას მოაცილებდა მისი ცოლი მედეა, რომელსაც ის ადრე დაცილდა, მააგრამ განდევნილის სიბრალულის გამო ისევ დაიბრუნა მის შვილთან მედთან ერთად, შობილი მედეასა და ათენის მეფის ეგეისაგან. კოლხებში იაზონმა აღადგინა თავის უფლებებში თავისი სიმამრი აიეტი, რომელიც დამხობილი იყო ტახტიდან. მერე იაზონი ეწეოდა მძიმე ბრძოლებს მეზობლებთან. დაპყრობილ ტერიტორიებს ის უერთებდა სიმამრის სამეფოს, რომ გაექარვებინა მისთვის წყენა წინა ლაშქრობისა, რომლის დროსაც იაზონმა მოიტაცა აიეტის ქალიშვილი და მოკლა მისი ვაჟი ეგიალე" (ეპიტომა, თხზულება პომპეი ტროგისა „ფილიპეს ისტორია" წიგნი -42, თავი 2-3).

სავარაუდოა რომ ტროგი უსაფუძვლო მითს ეყრდნობა იაზონის და მისი თანმხლების, არმენის ლაშქრობის შესახებ სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია და რომელსაც იმეორებს სტრაბონიც. სავარაუდოდ, ორივე ერთი და იმავე (არასწორი) წყაროთი სარგებლობს.

პომპეი ტროგის ეს ისტორია, დაწერილი პირველ საუკუნეს ჩვ.წ,აღრიცხვამდე, სავარაუდოდ მრავალ ქრონოლოგიურ დარღვევას შეიცავს და ეს არც უნდა იყოს საკვირველი: არგონავტების ისტორია იმდენად ძველია, რომ მასა და ბერძნულ ანტიკურ ლიტერატურას შორის საუკუნეები შუალედია, რომლის განმავლობაში ლეგენდა მხოლოდ ზეპირსიტყვიერებით გადაეცემოდა მომავალ თაობას. ცხადია ტროგი სარგებლობს იმ უძველესი ლიტერატურული თუ საისტორიო წყაროებით, რომელიც მისი დროისათვის არსებობდა და რომელიც მხოლოდ ზემოხსენებული გზით თუ მოაღწევდა მის წინამორბედებამდე.

მართალია პომპეი ტროგი იაზონის დაპყრობილ და კოლხეთთან შეერთებულ ტერიტორიებად ახალი კოლხეთის მოსაზღვრე ტერიტორიებს თვლის, თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ პირველი კოლხეთი, ეპირი ყოფილიყო, რამეთუ ახალი კოლხეთი იაზონის ეპოქისათვის უბრალოდ არ არსებობს, ვერ იარსებებდა!

ისტორიული ექსკურსი:

"კოლხეთის ახლოს მდებარეობს კირკეს კუნძული აია ..აიეტის სახელიც კი აქედან იწარმოება......რომ მრავალ წამალთა შემცველია ელადის ქვეყანა, ნათელყოფს პოეტი (ჰომეროსი!) და ამბობს რომ მედეა ათენიდან გაიქცა ეგეოსის შიშით, რადგან მან (მედეამ) თეზევსს საწამლავი ჩაურია და დასახლდა ელადის მახლობლად ეპირში"

(გეორგიკა, ტომი VIII; ევსტათი თესალონიკელი, გვ-12. 1970წ).

ჰქონოდა მედეას რამენაირი შეხება ათენთან თუ არა, ამაზე საკმაოდ ვისაუბრეთ. ჩვენთვის სიახლეა ვერსია, რომ ამ თემაზე ჰომეროსი საუბრობდა... თუმცა ჩვენთვის მთავარი სამტკიცი ისაა, რომ მედეა ეპირში დასახლებულა, არა ელადაში... ყველაფერი სწორია მკითხველო! მედეა სამშობლოში დაბრუნდა, კოლხეთში, რომელსაც მოგვიანებით დაერქვა ეპირი... სავარაუდოდ მას შემდეგ, რაც კოლხთა დიდმა ნაწილმა დატოვა იგი... (ვინც ამ გზით გაერიდა ელინიზაციის პროცესს)... თუმცა ზოგიერთი ბერძნული წყარო მიზეზად ნეოპტოლომს ასახელებს, აქილევსის შვილს, რომელიც აქ იზრდებოდა და რომლის სიყრმის სახელი პირი იყო...

„ალექსანდრე (მაკედონელი) მამის მხრიდან ჰერაკლეს ჩამომავალი იყო დედის მხრიდან ეაკისა... თესალიელები პირველი დაარწმუნა მან, მიენიჭებინათ მისთვის სახალხო დადგენილებით ჰეგემონია, რომელიც მამამისისაგან მემკვიდრეობით გადმოდიოდა; მან შეახსენა თესალიელებს, რომ ისინი უძველესი დროიდან მასთან დაკავშირებული არიან ნათესაობით ჰერაკლეს მეშვეობით".

(დიოდორე სიცილიელი; წიგნიXVII, I-III).

**ზურაბ ჭკადუა,**

***(წერილის დასასრული)***

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



***(გაგრძელება წინა ნომრიდან)***

გამოცდილი ჩეკისტი პ. მეშიკი, რომელმაც დიდი ხანი იმუშავა ბერიასთან და მისივე რეკომენდაციით დაინიშნა უკრაინაში, ახერხებდა მთავარის დანახვას. და არ ცდებოდა.

ოპერაცია "ბარბაროსას" დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, საბჭოთა კავშირის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე თითოთითოდ და ჯგუფებად იწყეს გადმოსვლა ვერმახტის აგენტებმა, რომლებიც გადაცმული იყვნენ წითელი არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების სამხედრო ფორმებში, კარგად საუბრობდნენ რუსულ ენაზე და თან ჰქონდათ აუცილებელი პირადი საბუთები. მათ პანიკა უნდა დაეთესათ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებსა და მშვიდობიან მოსახლეობაში, რითაც არეულობას შეიტანდნენ და შეარყევდნენ საბჭოთა არმიის თავდაცვის ხაზს და ზურგის სამსახურებს. მათ ევალებოდათ კომუნიკაციების (ხიდების, რკინიგზის ხაზების, სატელეფონო კავშირების) განადგურება, მომარაგების ობიექტების მიწასთან გასწორება, სამოქალაქო ზურგის სამსახურების დასუსტება. 1941 წლის 22 ივნისს, ომის დაწყების პირველ საათებში ამ დივერსიული რაზმების მოქმედებების შედეგად დიდი ზარალი მიადგათ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს. მაგალითად, საარტილერიო მზადების წინ რამდენიმე წუთით ადრე, ბრესტის სიმაგრესა და რკინიგზის სადგურზე ჩაქრა შუქი, მწყობრიდან გამოვიდა წყალსადენი. საბჭოთა ისტორიკოსებს დღემდე ვერ გაურკვევიათ თუ რატომ აფარებდნენ თავს ბრესტის დამცველები საუკუნოვან დაფხავებულ ციტადელის აგურის კედლებს, როცა 1941 წლის ზაფხულისათვის საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრის მთელ სიგრძეზე, საბჭოთა გენერალ დ.მ. კარბიშევის პროექტით აშენებული იყო მძლავრი თანამედროვე საფორტიფიკაციო ნაგებობები.

მოწინააღმდეგის აგენტურა ჯერ ფრონტისპირა ხაზზე მოქმედებდა, შემდეგ კი საბჭოთა ზურგში გადავიდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მათ მხილების არ ეშინოდათ. საქმე იმაშია, რომ სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატის 1940 წლის №171 ბრძანების საფუძველზე, რომელიც გამოიცა წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეებისათვის, განსაზღვრული იყო ერთიანი საბუთი – წითელარმიელის წიგნაკი. მაგრამ, ამავე ბრძანების №7 პუნქტი თანახმად, მოქმედ არმიაში ამგვარი წიგნაკები არ შემოუღიათ. გერმანელებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე უმცროს მეთაურთა შემადგენლობაზე და ჯარისკაცებზე ამგვარი წიგნაკები არ გაუციათ! ამან კი მიგვიყვანა იქამდე, რომ ომის დასაწყისში ალყიდან თავდახსნილ საბჭოთა ჯარისკაცებს შეერივნენ ჰიტლერული სპეციალური პოლკის (1942 წლიდან – დივიზიის) "ბრანდენბურგ 800" ჯარისკაცები, რომლებიც აბვერის შემადგენლობაში იყვნენ მიწერილები. აღსანიშნავია, რომ გერმანული სპეცნაზი, რომელსაც ჯერ გენერალ-მაიორი ფულშტაინი, შემდეგ კი გენერალ-ლეიტენანტი კიულვეინი მეთაურობდნენ, ფლობდა საკმაოდ დიდ ოპერატიულ გამოცდილებას, "ბრანდენბურგელების" მთელი ბატალიონი დაკომპლექტებული იყო რუსული ენის კარგად მცოდნე ოფიცრებით და ჯარისკაცებით. ამ ქვედანაყოფმა დიდი ზარალი მიაყენა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს.

1942 წლის ოქტომბერში სსრკ თავდაცვის სახალო კომისარიატმა №330 ბრძანებით დაავალა საინტენდანტო სამსახურს, რომ ორი კვირის განმავლობაში მოემარაგებინა მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობა პირადობის დამადასტურებელი მოწმობით. **მიუხედავად ამის, 1942 წლის ბოლომდე წითელი არმიის მეტ წილ ქვედანაყოფებს ამგვარი საბუთი არ მიუღიათ.** ეს კი მტრის აგენტებს საშუალებას აძლევდა თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ საომარი მოქმედებების ზონაში და ჩვენი ჯარების ზურგში. როგორც ჩანს, წითელი არმიის ხელმძღვანელობა და პირადად ნ. ხრუშჩოვი "საკითხებს წყვეტდნენ ამხანაგ სტალინთან".

მიუხედავად ამისა, შინსახკომის თანამშრომლები ახერხებდნენ ჩვენს ზურგში შემოგზავნილი გერმანელი აგენტების დაკავებას ან განადგურებას. მოსკოვთან ნაწნევი მარცხის შემდეგ გერმანულმა სადაზვერვო ორგანოებმა დაიწყეს მზვერავებისა და დივერსანტების ფრონტის ხაზს მიღმა მასიურად გადმოსროლა. აგენტებს ისინი არჩევდნენ ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცებიდან. მტრის მხარეზე გადასულები გადიოდნენ აუცილებელ ინსტრუქტაჟს და შემდეგ კვეთდნენ ფრონტის ხაზს. "ჯაშუშების" მომზადების დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, მაგრამ კამპანიის მასობრიობა არ იძლეოდა აგენტურის მაღალ დონეზე მომზადების საშუალებას, და გერმანელ მზვერავთა რიგები ძირითადად ივსებოდა საბჭოთა სისტემისადმი მტრულად განწყობილი ინტელექტუალებით და ძლიერი ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირებით. ამის შედეგად 1941 წლის განმავლობაში სსრკ შინსახკომის ძალების მიერ დაპატიმრებული იქნა 2.343 ჯაშუში, 669 დივერსანტი და 4.647 მოღალატე.

1942 წლის ზაფხულიდან ვერმახტის სარდლობა დიდ ყურადღებას უთმობდა იმ აგენტურის მომზადების საქმეს, რომელიც აღმოსავლეთის მიმართულებით მუშაობდა. ფრონტის ხაზის გასწვრივ, ზურგში ყალიბდება სადაზვერვო-დივერსიული სკოლები: ვანონურსში (ესტონეთი), მინსკში, ვიტებსკში, ბორისოვში, სმოლენსკში ორიოლში, პოლტავაში, კონოტოპში, ზაპოროჟიეში, ყირიმში. აქ სწავლობს ასობით კურსანტი: მათ ასწავლიან ინფორმაციის შეგროვებას, ნაღმების ჩადებას, პროპაგანდისტული საუბრების წაყვანას. რა თქმა უნდა, ორი-სამი თვის განმავლობაში სადაზვერვო საქმიანობის დაწყებითი კურსის ათვისებას თუ მოახერხებ, მაგრამ 1943 წელს გამოშვებული კურსანტები მათ წინამორბედებზე ბევრად ძლიერები არიან.

და ამას მიხვდნენ მოსკოვშიც. 1943 წლის გაზაფხულზე ლავრენტი ბერიამ თავისთან იხმო შინსახკომის განსაკუთრებულ განყოფილებათა ხელმძღვანელები, უშიშროების მეორე რანგის კომისარ ვიქტორ აბაკუმოვს კი შესთავაზა კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს "სმერშის" (რუსული აბრევიატურაა ფრაზისა "Смерть шпионам") ხელმძღვანელობა. აბაკუმოვის პირველ მოადგილედ დაინიშნა პაველ მეშიკი.

მაგრამ 1943 წლამდე სულის მიტანა იყო საჭირო!

ეკონომიკა... ფრონტი... და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დავალებების შესრულება. მათ შორის უმთავრესი გახლდათ შინსახკომის 15 დივიზიის დაკომპლექტება სარეზერვო ფრონტის ფორმირებისათვის. სწორედ ამ ქვედანაყოფებმა გამოიჩინეს თავი მოსკოვისა და კავკასიის დაცვის საქმეში.

რუსეთის სახელმწიფო სამხედრო არქივის ანალებში ნაპოვნი იქნა ერთი ფრიად საინტერესო დოკუმენტი.

სსრკ შინსახკომის 1941 წლის 27 ივნისის №34 ბრძანების შესაბამისად, ლავრენტი ბერიას მიერ 1941 წლის 26 ივნისს გამოცემული მითითების შესასრულებლად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

სსრკ შინსახკომის ოპერატიული ჯარების სამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა არტემიევმა დაუყოვნებლივ დაიწყოს ფორმირება:

**შინსახკომის ჯარების პირველი მოტომექანიზირებული კორპუსისა, რომელშიც შევლენ:**

**ძერჟინსკის სახელობის №1 მოტომსროლელი დივიზია;**

**35-ე მოტომსროლელი დივიზია;**

**პირველი სატანკო დივიზია;**

**ფორმირების პუნქტია ქალაქი მოსკოვი.**

(ჩვენ სპეციალურად გამოვყავით ეს პუნქტი, და თუ რატომ, მალე შეიტყობთ).

15 მოტომსროლელი დივიზია – თბილისი;

16 მოტომსროლელი დივიზია – ბაქო.

სსრკ შინსახკომის სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-მაიორმა იაცენკომ **დაუყოვნებლივ** დაიწყოს შინსახკომის შემდეგი მოტომსროლელი დივიზიების ფორმირება:

29 მოტომსროლელი დივიზია – იაროსლავლი;

30 მოტომსროლელი დივიზია – რიბინსკი;

31 მოტომსროლელი დივიზია – ვლადიმირი;

32 მოტომსროლელი დივიზია – ზაგორსკი;

33 მოტომსროლელი დივიზია – დიმიტროვი;

34 მოტომსროლელი დივიზია – მურომი.

სსრკ შინსახკომის სარკინიგზო ხაზებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა გულიევმა **დაუყოვნებლივ** დაიწყოს შინსახკომის შემდეგი მოტომსროლელი დივიზიების ფორმირება:

17 მოტომსროლელი დივიზია – სერპუხოვი;

26 მოტომსროლელი დივიზია – ტულა;

27 მოტომსროლელი დივიზია – სოფრინო;

28 მოტომსროლელი დივიზია – შუროვო.

სსრკ შინსახკომის საბადრაგო ჯარების სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა შარაპოვმა **დაუყოვნებლივ** დაიწყოს შინსახკომის შემდეგი მოტომსროლელი დივიზიების ფორმირება:

12 მოტომსროლელი დივიზია – ერევანი.

სსრკ შინსახკომის რკინიგზის და საბადრაგო ჯარებს, ახალი ფორმირებების სათანადო კადრებით დაკომპლექტებისათვის გამოეყოთ ყოველი დივიზიისათვის 2.000 კაცი, მათ შორის 1500 კაცი რიგითი და უმცროსი მეთაურთა შემადგენლობიდან და 500 კაცი მეთაურთა შემადგენლობიდან.

სსრკ შინსახკომის სასაზღვრო ჯარების უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა საკუთარი შეხედულებით მოხსნას საზღვრებიდან 12.000 კადრში მოსამსახურე ადამიანი, მათ შორის 3000 კაცი მეთაურთა შემადგენლობიდან და მიმართოს ისინი ფორმირებულ დივიზიებში.

სსრკ შინსახკომის ჯარების უფროსებმა დღეს, არა უგვიანეს 24 საათისა, წარმოადგინონ უფროსი და უმაღლესი მეთაურთა შემადგენლობის, პოლკის მეთაურთა ჩათვლით, დანიშვნის ბრძანებათა პროექტები.

№16, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35 მოტომსროლელი დივიზიების მეთაურები, მათი შტაბის უფროსები, მეთაურის მოადგილეები პოლიტიკურ ნაწილში დაუყოვნებლივ იქნან გამოძახებული მოსკოვში მითითებებისა და ინსტრუქციების მისაღებად.

სსრკ შინსახკომის ჯარების უფროსებმა დღესვე წარადგინონ მატერიალურ-ტექნიკურ სამსახურში აუცილებელი განაცხადები მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მისაღებად.

სსრკ შინსახკომის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს წარუდგინონ განაცხადები ტრანსპორტის გამოყოფაზე კადრების გადასაყვანად დისლოკაციის ადგილზე.

კორპუსის ფორმირებას და ცალკეული დივიზიების ფორმირებაზე **პერსონალურ პასუხისმგებლობას ვაკისრებ:**

სასაზღვრო ჯარებზე – გენერალ-მაიორ იაცენკოს;

ოპერატიულ ჯარებზე – გენერალ-ლეიტენანტ არტემიევს;

სარკინიგზო ჯარებზე – გენერალ-მაიორ გულიაევს;

საბადრაგო ჯარებზე – გენერალ-მაიორ შარაპოვს;

მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს საინტენდანტო სამსახურის გენერალ-მაიორს ვურგაფტს;

პოლიტიკურ-ზნეობრივ აღმზრდელობით პროცესებზე პასუხისმგებლობა დაეკისროს დივიზიის კომისარ მირონენკოს.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **მასლენნიკოვი.**

(წყარო – რუსეთის მთავარი სამხედრო არქივი, №38261, ფურცელი №250).

მიაქციეთ ყურადღება: **თითქმის ყველა დავალება უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ, კონკრეტული პასუხისმგებელი პირების მითითებით!** და ეს ყველაფერი შესრულდა.

ჯერ კიდევ 1941 წლის აგვისტოში ლავრენტი ბერიამ შემოიტანა წინადადება, რათა ჩამოეყალიბებინათ განსაკუთრებული სადაზვერვო-დივერსიული ქვედანაყოფი. "კანარისს (აბვერი) ჰყავს "ბრანდენბურგ-800". ჩვენ ჩამოვაყალიბებთ უკეთესს".

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დანიშნულების ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა (ОМСБОН), რომელიც სსრკ შინსახკომის მეოთხე (პარტიზანული) სამმართველოს შემადგენლობაში შევიდა, ფაქტიურად გახდა პირველი საბჭოთა დივერსიული სპეცბრიგადა.

ბრიგადის ფორმირება 1941 წლის შემოდგომაზე დაიწყო მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე.

ბრიგადის პირადი შემადგენლობა დაკომპლექტდა შინსახკომისა და უშიშროების სახალხო კომისარიატის თანამშრომლებისაგან, მოხალისე სპორტსმენებისაგან, ფიზკულტურის საკავშირო ინსტიტუტის სტუდენტებისა და პედაგოგებისაგან, კომკავშირლებისაგან, წითელი არმიის ცენტრალური კლუბისა და სპორტსაზოგადოება "დინამოსაგან".

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დანიშნულების ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადის პირველი მეთაური გახდა პოლკოვნიკი მ.ფ. ორლოვი, რომელსაც მანამდე შინსახკომის სებეჟის სამხედრო სასწავლებლის უფროსის თანამდებობა ეკავა.

ფორმირების დასრულების შემდეგ მოტომსროლელი ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდა 25.000 ადამიანი, რომელთა შორის 2.000 უცხოელი გახლდათ (ბულგარელები, გერმანელები, ავსტრიელები, ესპანელები, ამერიკელები, ჩინელები, ვიეტნამელები, პოლონელები, ჩეხები და რუმინელები), და ესენი ძირითადად იყვნენ საბჭოთა კავშირში მცხოვრები პოლიტიკური ემიგრანტები. რატომ?

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**

**(გაგრძელება იქნება)**

# ახალი „ცივი ომი“?

ელვის სისწრაფით ვითარდება მოვლენები. დღე ისე არ ჩაივლის, მსოფლიო მნიშვნელობის ერთმა თემამ, მეორე არ ჩაანაცვლოს. ძნელია რომელიმეს ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმო, ვინაიდან ყველა ჩვენგანს ეხება. ის-ის იყო სირიის დედაქალაქ დამასკოს გარეუბან გუტაში მიმდინარე ომი ლამის მთელი მსოფლიოს, განსაკუთრებით – გაეროს უშიშროების საბჭოს მწვავე განხილვის თემა, ვაშინგტონ-მოსკოვს შორის ახალი დაპირისპირების საგნად არ იქცა, რომ სხვამ იჩინა თავი, რომელმაც არათუ პოლიტიკით დაკავებულთა, არამედ პოლიტიკიდან შორს მყოფთა ყურადღება მიიპყრო.

სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, როდესაც ერთი ქვეყნის, სუპერად წოდებულის ლიდერი საზოგადოებას უმხელს ახალი ბირთვული იარაღის შექმნას და არათუ შექმნას, არამედ ქვეყნის სადარაჯოზე განლაგებას.

2018 წლის 1 მარტი რომ მსოფლიო ისტორიაში მტკიცედ დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც მეორე „ცივი ომის“ დაწყების თარიღი, ნაკლებად საეჭვოა, თუმცა პირველ მარტამდეც არ იყო მშვიდი ვითარება. პოლიტიკური ფორიაქის მიზეზი ბევრია, მათ შორის მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლა, რომელიც თავისთავად იწვევს აკრძალული ილეთების გამოყენებას, თუმცა პოლიტიკური პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება ასეთს არ მიმართავს.

ერთია, როდესაც აკრძალული წესებით გსურს ფონს გასვლა და მეორეა, როდესაც სხვებს, ამ შემთხვევაში შენს მოკავშირეებს აიძულებ ისევე მოიქცნენ, როგორც შენ – დაგიჭირონ მხარი სხვის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღებაში; ნება დაგრთონ განალაგო შენი სარაკეტო სისტემები ე.წ. მოკავშირეების ტერიტორიებზე; ასევე, სხვისი დაშანტაჟების მიზნით, იმ შენს მოკავშირეებს პერმანენტულად აძახებინო, რომ მათ ტერიტორიებზე შენი სარაკეტო სისტემების განლაგება მათივე უსაფრთხოებისთვის, მათივე მოთხოვნით ხდება.

პირველობისთვის ბრძოლაში რა არ გამოიყენა აშშ-ა – ეკონომიკური სანქციებიდან დაწყებული, სამხედრო უპირატესობის მოპოვებით დამთავრებული. გარდა ამ ორი მთავარი საკითხისა, იყო სხვაც, შეტევები სპორტის, კიბერუსაფრთხოების, მედიის, განათლების, სხვა დარგებშიც – ერთობ გამაღიზიანებელი და დამთრგუნველი იმ მეტოქისთვის, რომელსაც ვითომ არაფრად აგდებ, განუვითარებელ, ჩამორჩენილ ქვეყნად მიიჩნევ, სინამდვილეში კი ერთ-ერთ თუ არა ერთადერთ მოწინააღმდეგედ თვლი. ეს, რომ ასე არ იყოს, აუარება ფულს არ დახარჯავდი მისი საზღვრების სიახლოვეს, ე.წ. მოკავშირეების ტერიტორიებზე მძიმე სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო პერსონალის განლაგებაში.

რომ იტყვიან – მოთმინებასაც აქვს საზღვარი და 1 მარტს მოთმინების ფიალის ამოწურვა აუწყა მსოფლიოს (განსაკუთრებით აშშ-ს) რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა. ამ დღეს, ის წარსდგა რუსეთის დუმის და ქვეყნის წინაშე გაწეული მუშაობის ანგარიშით და სამომავლო გეგმებით.

თითქმის 2-საათიანი მიმართვა აღსავსე იყო შთამბეჭდავი ეკონომიკური თუ სოციალური ხედვებით, სამომავლო პროგრამებით და ამოცანებით. არ დარჩენილა არც ერთი ცხოვრებისეული საკითხი, მათ შორის უმწვავესი, ჯერაც განუხორციელებელი, რუსეთის პრეზიდენტი რომ არ შეხებოდა. მისი მიმართვა იყო გათვლილი მინიმუმ მომავალ ექვს წელზე, თუკი მას აირჩევდნენ პრეზიდენტად. ამაში კი არც რუსეთში და არც სხვაგან ეპარებათ ეჭვი.

ეკონომიკა, ცხოვრებისეული საკითხები, სოციალური ყოფა, ხალხის კეთილდღეობა და რაც მთავარია ამ ყველაფრის შესრულების შედეგად სიცოცხლის ხანგრძლივობის თამასის 80 წლამდე აწევა, ისე, როგორც იაპონიაში ან გერმანიაში. ეს არის მთავარი მიზანი, რომლის შესრულება, პუტინის მიხედვით და წარმოდგენილი გეგმებით, სრულიად შესაძლებელია, მაგრამ ყოველივე ამისთვის საჭიროა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ისეთ დონემდე გაზრდა, „რომ, რუსეთის მიწები ვერავინ, ვერასდროს მიიტაცოს“.

პუტინმა ფედერალურ საბჭოს სტრატეგიულ-სარაკეტო შეიარაღების გეგმა წარუდგინა, რომელმაც ფაქტიურად გააქარწლა აშშ-ს მიერ მილიარდობით გადაყრილი ფული ანტირუსული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შქმნაში, რომელთა განლაგება მიმდინარეობს რუმინეთ-პოლონეთში.

„თანამედროვე სისტემის შეიარაღების განვითარების ყველაზე მთავარ ეტაპად იქცა მაღალი სიზუსტის, ჰიპერხმოვანი საჰაერო-სარაკეტო კომპლექსის შექმნა. მას ანალოგი არ ჰყავს მსოფლიოში. მისი გამოცდა წარმატებით დასრულდა“, – განაცხადა პუტინმა.

პრეზიდენტის გამოსვლას თან ახლდა მის ზურგსუკან, ეკრანზე, ახალი იარაღის დემონსტრირება. აქ არ შევუდგები ამ იარაღის პარამეტრების აღწერას, ვინაიდან ამაზე ბევრი დაიწერება და ითქმება, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ის, რაც ეკრანზე ვიხილეთ – ახალი სიტყვაა ბირთვულ შეიარაღებაში, თანაც ისეთი, რევოლუციური რომ ჰქვია.

ამ იარაღის მსგავსი მსოფლიოში არ არსებობს და კარგა ხნის განმავლობაში არ იარსებებს. თუ ვინმე შექმნის, ვთქვათ აშშ-ი, რუსები ხომ ხელდაკრეფილები არ იქნებიან?! ისინი ხომ გააგრძელებენ მასობრივი განადგურების იარაღის დახვეწას?!

პუტინის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, მეტადრე 5 სახეობის ახალი სარაკეტო სისტემის დემონსტრირებამ, რომელთათვის არაფერია ამერიკული ანტისარაკეტო „ქოლგის“ დაძლევა ან გვერდის ავლა, თან ულიმიტო მანძილზე ბგერის სისწრაფეზე 5-10-ჯერ სწრაფად ფრენა, უდავოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რაზეც უცხოელი ჟურნალისტების, ექსპერტების, პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებებიც მეტყველებს.

„ჩვენ აქამდე არავინ გვისმენდა. მოგვისმინეთ ახლა.“ – თქვა პუტინმა. და მართლაც რუსეთს, საბჭოთა კავშირის მემკვიდრეს, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით გაპარტახებულს, ვინ მოუსმენდა?

დასავლეთს, უპირველესად აშშ-ს, მხოლოდ ის ჰქონდა მიზნად რუსეთის იმჟამინდელ ხელისუფლებას მოესმინა მისთვის და უყოყმანოდ შეესრულებინა ვაშინგტონელთა დავალებები. ყოველივე აღნიშნულს პუტინის გაპრეზიდენტებამდე ჰქონდა ადგილი.

შემდეგ კი იყო ბრძოლა დაქცეული რუსეთის ფეხზე წამოსაყენებლად; მსოფლიოში დაკარგული სახის აღდგენისთვის ბრძოლა, სამხედრო მშენებლობის ისეთ დონეზე წარმართვა, როგორიც შეეფერებოდა ტერიტორიითა და წიაღისეული სიმდიდრეებით, განსწავლული ადამიანური რესურსებით მდიდარ ქვეყანას.

პუტინმა ეს შეძლო. შედეგი – განსაკუთრებით სამხედრო მშენებლობაში, თვალშისაცემია და რახან ასეა, დაცინვით ან ქედმაღლურად მოპყრობა მისთვის აუტანელია. ის დღეს სხვაა და ვაშინგტონ-ბრიუსელი ვალდებულები არიან ასეთად განიხილონ. და არა მარტო ისინი, არამედ ჩვენც – თავი რომ მსოფლიოს ღერძად მოგვაქვს.

დღენიადაგ ვლანძღავთ, ვაგინებთ, დავცინით მას და ნებისმიერ საერთაშორისო ფორუმზე ქოქოლას ვაყრით. რით არის ეს გამოწვეული? არამცდაარამც ჩვენი სამხედრო ძლიერებით ან მტკიცე პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურებით. მაშ რით? – დასავლეთის, კერძოდ აშშ-ს მოიმედებით.

დიახ! საქართველოს ყველა ხელისუფლებას, გამსახურდიას გამოკლებით, მოჭარბებული იმედი ჰქონდა და აქვს დასავლელთა დახმარების. იმედი, არც 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ გაქარწყლებია – „პარტნიორმა, ძმამ და მეგობარმა“ „შემთხვევით“ რომ დააგვიანა და როდესაც „დახმარება“ გადაწყვიტა, კონფლიქტიც მომთავრებული იყო და ტერიტორიებიც დაკარგული.

ნაცვლად იმისა, რომ მათ სააკაშვილისთვის ერჩიათ რუსეთის წინადადებას – ავტონომიების სტატუსის განსაზღვრის თაობაზე, გულისყურით მოკიდებოდა და დათანხმებოდა, არაფერი მსგავსი არ გაუკეთებიათ, რითაც აშკარად გამოავლინეს საკუთარი სახე – მეტადრე ქამელიონისა, ვიდრე ნამდვილი პარტნიორისა, რომელთაც სულაც არ აღელვებთ დაქუცმაცებული, ტერიტორიებდაკარგული საქართველო.

ნუთუ ამის დანახვა ასე ძნელია. ნუთუ ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსები, ესოდენ ბრმა შემსრულებლები ნებისმიერი ამერიკულ-ევროპული დავალებებისა, ვერ ხვდებიან რომ ფრანგული ანტისაჰაერო სისტემის, „ჯაველინების“ ან სხვა იარაღის შესყიდვას მხოლოდ ფულის ხარჯვა მოაქვს და ამასთანავე საკუთარი ქვეყნის რუსული იარაღის სამიზნედ გადაქცევა.

რა უნდა გააწყოს „ჯაველინებმა“ იმ იარაღთან, რუსეთს რომ აქვს?!

არათუ საქართველოში, არამედ აშშ-იც კი ბრძანების გაცემასაც ვერ მოასწრებენ, ისე განადგურდებიან. სწორედ ამის დემონსტრაცია იყო პუტინის 1 მარტის გამოსვლა და მაინც რამ აიძულა პუტინი გადაედგა ასეთი ნაბიჯი?

ისევ და ისევ ვაშინგტონის გეგმებმა – დოქტრინად წოდებულმა, რომლის მიხედვით აშშ-ი განახორციელებს ევროპის მოკავშირე სახელმწიფოებში დახვეწილი ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსებას, შემდეგ ამ ქვეყნების სამხედროების გაწვრთნას იარაღის გამოყენების თვალსაზრისით და შემდეგ მათი რუსეთზე მისევას. თვითონ კი შორიდან დააკვირდება განვითარებულ მოვლენებს.

პუტინის მიერ დემონსტრირებული ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც აშშ-სკენ მიფრინავენ, სხვა არაფერია, თუ არა მკაცრი გაფრთხილება – იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ევროპული ქვეყანა, ბალტიისპირეთი, პოლონეთი, უკრაინა, სხვები თავს დაესხმებიან რუსეთს, ის შეტევას მოიგერიებს და იმავდროულად დასცხებს ამერიკას – ვითარცა რეალური ომის წამქეზებელს; რომ დოქტრინით მიღებული დივიდენდები აშშ-ს არ შერჩება და ისიც ისე განადგურდება, როგორც მისი ევროპელი მოკავშირეები, თუმცა აშშ-ი ნაკლებად დარდობს მოკავშირეებზე. მისთვის და მისი მიზნებისთვის, რომელშიც მსოფლიოს ჰეგემონობა უპირველესია – მეტოქეთა განადგურება მთავარი რამ არის.

აშშ-ს მეტოქე რუსეთია, მაგრამ არანაკლები – ევროკავშირი. და თუ ორივე ერთმანეთს დასჭამს, მით უკეთესი მისთვის. მაგრამ ეს იყო 1 მარტამდე. რა იქნება ახლა, მომავალი გვიჩვენებს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**

## პოეზიის კუთხე

*პარალელები*

### ანკესი

„ხბოს აღტაცება“ ოდითგან მოგვდევს,
ზოგს მხსნელს ვუწოდებთ, ზოგს ზეკაცს, ზოგს დევს,
თუ საზღვარგარეთ უვლია სადმე.
სიბრძნედ მივიჩნევთ მათ ბრიყვულ ბოდვებს,
და გვიან ვხვდებით, იმ კაუჭს მოგვდეს,
ჩვენს დასაჭერად რომ გამოსცადეს!

*ფრაგმენტები საუკუნის გადმოსახედიდან*

### ძაღლის წელიწადი

ეს რა წელია?
თუ ნამდვილად ძაღლის წელია,
მამლის წელიდან დროში ფითრად გაძარღვებული,
ნუთუ წერია, ბედის წიგნში სადმე წერია,
უმუშევრობით ხალხი დარჩეს გაძაღლებული?

### მეასე 26!

უკვე მეასე წელია,
ვერ წამოვიდგით წელია,
მაგრამ წელს ძაღლის წელია,
და ბედი თუ გვიწერია,
სვე უნდა გაგვიხალისო
შენ, 26 მაისო!

### პაპარაცები

*სიზმრისეული მოგზაურობა 90-იანი წლებიდან დღევანდლამდე*

წუხელ ღამით სიზმრად ვნახე
კოშმარი, თან ძალზე მკვახე:
ჯოჯოხეთში ვინც ვართ, რაც ვართ!
და მოვუთხრე პაპას რაც მე,
გადუღიათ პაპარაცებს
და ბებია ლამპას აცმევს,
მათ ფოტოებს შუშის ნაცვლად!
არც შეშა გვაქვს, აღარც ნავთი,
ვერავისგან დავმუნათდით,
თეთრი დათვის გადამკიდე
და გაისმის კიდითკიდე:
რომ ვერ ვთესდეთ და ვერ ვმკიდეთ,
გაგრძელდება დიდხანს კიდევ,
რადგან ფეხზე დაგვიკიდეს!
მოვუყევი პაპას რაც მე,
გადუღიათ ის ვიღაცებს
და მათ შორის პაპარაცებს...
თუმცა წინამ ჩვენდა წილად
წლები ისე გამოწირა,
რომ არც „ნაცებს“ და არც „ქოცებს“
ქვეყანა რომ გადვულოცეთ,
ჩვენი ყოფა არ აოცებთ
და დანაპირს ვინ რად მოგვცემს?

### მოევროპელთა დონე!

ვინც მასხრად იგდებს ერთობას
და სულში ეჭვებს გვითესავს,
ნუ მივენდობით ერთობ მას,
კინჩხსაც მოგვტეხს და კისერსაც.
სათქმელი ვირის ყბაში აქვს,
ჩაიბრძენ-ჩაიყროყინა,
რომ „ძალა ევროპაშია“,
სხვა დაგვწვავს, ანდა მოგვყინავს.
გასაოც-გასაფოცებლად,
თუ დავალთ მსგავსთა დონემდე,
ახდება ბევრის ოცნება:
დაგვყოფენ, დაგვიმონებენ!

### ერთობის მადლი

გაჰყვირიან: „ძალააო ევროპაში!“
და ანდაზა რომ შეგვირყვნეს აგრერიგად,
თუ ვერ ვხვდებით, რად გვჭირდება ერთობა შინ,
ვერც ევროპა გვიშველის, ვერც ამერიკა!

**ალექსანდრე შენგელია**

# ლიბერასტებო ყველა ქვეყნისა! სწორება ჩოქბჯენში უძლიერეს მართლმადიდებლურ რუსეთთან!!!

„დაილაპარაკე, რათა დაგინახო" – ეს სიტყვები დასავლური ფილოსოფიის მთავარი თემების ფუძემდებელს, პოლიტიკური და მორალური ფილოსოფიის მამას – სოკრატეს (მე-5 ს. ძვ.წ.) ეკუთვნის, რომელსაც იგი იყენებდა მორალური კონცეფციების შეფასებისას. ამ სოკრატისეული მეთოდით ჩვენმა საზოგადოებამ მედასავლეთე პოლიტიკოსების შეფასება უნდა მოახდინოს.

პოლიტოლოგი გ. ხუხაშვილი თითქმის ყველა სატელევიზიო არხზე აქტიურად განიხილავს ბ. ივანიშვილის პრეზიდენტობის საკითხს – თუ მას ეს ქვეყანა უყვარს, დროა ჩრდილოვანი მმართველობიდან გამოვიდეს და კენჭი იყაროს. ეს კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზაა – აღნიშნავს ექსპერტი. რადგან პარაზიტების გენერაცია ხელისუფლებაში ბიძინამ მოახდინა და პასუხისმგებლობა მას ეკისრება, გ. ხუხაშვილი მისი ავტორიტეტის გადარჩენას ცდილობს და აცხადებს, რომ ზოგიერთი პროექტი, რომელიც წარმატებული არ აღმოჩნდა, მასთან არ იყო შეთანხმებულიო. რას მოუტანს ივანიშვილის პრეზიდენტობა საქართველოს? რატომ ფიქრობენ ადამიანები, რომ თუ კაცს ფული აქვს, ის პოლიტიკურადაც აზროვნებს, ხალხზეც იზრუნებს და ქვეყანასაც კრიზისიდან გამოიყვანს? სწორედ ფინანსების დაკარგვის შიშმა უბიძგა ივანიშვილს საქართველო ლიბერასტი იდეოლოგების საჯლიგინო არენად ექცია. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბ. ივანიშვილმა დაუფარავად აღიარა, რომ რჩევებს დ. უსუფაშვილისგან იღებს. ეს ის ანტიქართველია, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ცხონებული გ. შარაძე გვაფრთხილებდა, რომ სოროსისგან ფინანსდებოდა, ხოლო კახეთში, მის მშობლიურ სოფელ მაღაროში, მის ხსენებაზე როგორც ეშმაკეულის ჯერ პირჯვარს იწერენ, შემდეგ მახსენებელს ჯარიმას ასმევენ. რა რჩევები უნდა მიეღო ბიძინას იმ არსებისაგან, კრიმინალის გადარჩენას დემოკრატიის გადარჩენასთან რომ აიგივებდა? საზოგადოებას ბიძინას მიერ მიმობნეულ „მარგალიტებს" შევახსენებ: ჟურნალისტის შეკითხვაზე – რომელი პარტია შეიძლება იყოს „ქართული ოცნების" ალტერნატივა, პასუხი ასეთია – რესპუბლიკელები და ქრისტიან-დემოკრატები. შეკითხვაზე – რომ გამოჩნდეს სხვა ალტერნატივა ტერიტორიების დაბრუნების, როგორ მოვიქცეოდით? – პასუხი – არ უნდა გამოჩნდეს, ჩვენ ნატოში და ევროკავშირში უნდა შევიდეთო. ერთი პატივცემული ჟურნალისტისგან ისეც მოვისმინე: ბიძინას გარეშე საქართველო დაიღუპება, მისი კრიტიკა ნაცების წისქვილზე ასხავს წყალსო: საკითხავია, ვის წისქვილზე ასხავდა წყალს, როცა ბიძინამ პატრიარქის კრიტიკა დასაშვებად მიიჩნია, რითაც მართლმადიდებლობის მტრებს, ურწმუნო ლიბერასტებსა და ქვეყანაში მოქმედ მეხუთე კოლონას მწვანე აუნთო? ქვეყანას უბიძინობა კი არა, ზნეობრივი, მართლმადიდებლური კრიტერიუმების უარყოფა დაღუპავს. თუ ათასი ჯურის გადამთიელმა ვერაფერი დააკლო ქართულ ტრადიციებსა და კულტურას, ბ. ივანიშვილის მიერ შერჩეულმა და ამერიკულ ლაბორატორიებში გამოყვანილმა ფაროსანებმა მოუთავეს ხელი ნაც-ქოც ლიბერასტული იდეოლოგიით. ეროვნება და მამის სახელწართმეული ქართველი გზააბნეულ მოგზაურს დაემსგავსა, რომელსაც სახლისკენ გზა ვერ გაუგნია. არ გამოვრიცხავ, რომ ქართული მიწა-წყლის გამყიდველი მანქურთები ჩვენს წინაპართა საფლავებსაც შეესევიან და სააკაშვილის მიერ დაწყებულ პროექტს განახორციელებენ: ევროკავშირის ქვეყნებში საფლავებით სარგებლობა განსაზღვრული წლების მანძილზე გადახდილი თანხის შესაბამისად ხდება (გ.შარაძის ინფორმაციით, აკაკი წერეთლის შვილი, ხელოვნების მოღვაწე – ალექსი წერეთელი საფრანგეთში, სენტ-უენის სასაფლაოზე დაკრძალეს დედის გვერდით. სასაფლაოს საფასური 30 წლის ვადით იყო გადახდილი. 1981 წელს საფლავი გააუქმეს და მის ადგილზე სხვა დაკრძალეს). ამ ხელისუფლებას არ აინტერესებს მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკა სადამდე მიიყვანს ქვეყანას. მთავარია თბილ სავარძლებში ჩადოთ თავიანთი პედერასტული უკანალი. რაც არ უნდა შემოგვთავაზოს ამერიკამ, უნდა ვიცოდეთ, სტრატეგიული მოკავშირე კი არა, მტერია, რომელიც მხოლოდ თავისი მიზნების განხორციელებას ესწრაფვის. არ შეიძლება ტაშს ვუკრავდეთ მის პოლიტიკას. საგანგაშოა, როცა საზოგადოება მონური ფსიქოლოგიით ღებულობს ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ კადრებს, რადგან სახელისუფლებო წრისთვის და ასევე ივანიშვილისთვის საქართველოს ტერიტორია არის ბიზნესგარემო, ფულის საკეთებელი არენა. ჩვენ გავხდით იმ სივრცის ნაწილი, სადაც ახალგაზრდები ღიად, აგრესიულად უპირისპირდებიან ერთმანეთს და ხელისუფლება გულგრილად უყურებს ტოტალიზატორების და კაზინოების სიმრავლეს. ახალგაზრდების წინააღმდეგ ცისფერი ტერორი ხორციელდება ჰომოსექსუალიზმისა და ნარკოტიკების პროპაგანდით. თბილისის მერმა კ.კალაძემ დანიშვნისთანავე შეტევა განახორციელა წიგნზე და განათლების სისტემაზე. ბიბლიოთეკების შემცირება 36-დან 15-მდე. ეს ახალგაზრდების ფიზიკური და სულიერი დეგრადაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია და სატანისტების ხელწერაა, რადგან ახალგაზრდები მობილურ ტელეფონებს, სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტში მკვლელ თამაშებს მიაჯაჭვეს. განათლების სისტემაში მართლმადიდებლური და ეროვნული იდეოლოგიის უგულვებელყოფამ ის შედეგი გამოიღო, რომ მე-7 კლასის სახელმძღვანელოში შეტანილია მასალა, რომლითაც წებოსა და აცეტონის შესუნთქვის რეკლამირება ხდება – სკოლის სახელმძღვანელოს შედგენაც ფულის გაკეთების საშუალებად აქციეს. 6 თებერვლის დადგენილებით საქართველო აფინანსებს უცხოელი სტუდენტების სწავლას, რაც შეთქმულებაა საქართველოს, ქართველი ახალგაზრდების წინააღმდეგ. 2014 წლიდან დღემდე 10 000-მდე ქართველი სტუდენტი გამოყარეს უმაღლესი სასწავლებლებიდან ფულის გადაუხდელობის გამო. – „ამას ქართველი იკადრებს? – არა!" ამაყად და თავდაჯერებით გვარწმუნებდა დიდი მუხრანი იმ გადმოსახედიდან, როცა ქართულ საქართველოში ქართველები ქართველობდნენ, კაცი კაცობდა და ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ სქესი და სექსი ერთმანეთში აერეოდათ. 15 წლის წინ გერმანიაც აფინანსებდა უცხოელებს, მაგრამ გერმანელთა მოთხოვნის შემდეგ თავად გერმანელები ფინანსდებიან სახელმწიფოსაგან. უცხოელთა დაფინანსება ევროინტეგრაციით ნაკისრი ვალდებულებაა, რაც ერის და სახელმწიფოს ინტერესებს არ შეესაბამება, მაგრამ ლიბერალებს სამშობლოს სიყვარული ჩამორჩენილობად მიაჩნიათ. თავშესაფრიდან ძაღლის გამოყვანა კეთილშობილური საქციელია, მაგრამ ძაღლები ფაშისტსა და ჰიტლერის თანაგუნდელ – ჰერმან გერინგსაც უყვარდა. ერთმა ახალგაზრდამ ქალაქის მერთან შეხვედრა ითხოვა და წერილით მიმართა, სადაც სწერდა: „ჰაერივით მჭირდება სამსახური, იმედი მაქვს ჩემს ქართულ ოცნებას საქართველოში ავისრულებ და ჩემი თანატოლების მსგავსად სახლ-კარს არ გამაყიდინებთ და უცხოეთში არ გადავიხვეწები". წერილის პასუხად ახალგაზრდას რაღაც დებულებაზე მიუთითეს. ნაცვლად იმისა, რომ ახალგაზრდებს ეროვნული გრძნობა გავუღვივოთ და პატრიოტული თეზა – „არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა" გზამკვლევად დავუსახოთ, ტელეკომპანია „იმედი"-ს ეთერში გასული სიუჟეტი – „შინ – უცხოეთში" გვიამბობს ახალგაზრდა ქალბატონზე, რომელიც ჩეხეთში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ეს კი პირდაპირი მესიჯია ახალგაზრდებისთვის – „დატოვე საქართველო"! საჯარო სამსახურებში ახალგაზრდებს გასაუბრების საფუძველზე იღებენ 2 თვით, ამ ვადის გასვლის შემდეგ მათი მომავალი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რაც მათ ფსიქიკაზე ძალზე ნეგატიურად აისახება. კერძო სტრუქტურებში მოქალაქეების ხელშეკრულებით იღებენ, სადაც რიგ შემთხვევებში კაბალურ პირობებს სთავაზობენ საარსებო საშუალებებს მოკლებულ ადამიანებს. ერთ მაგალითს მოვიყვან: კერძო სტრუქტურის მფლობელი 5 წლიან ხელშეკრულებას სთავაზობს სამუშაოს მაძიებელს ყოველთვიური 1000 ლარის ანაზღაურებით, მაგრამ ხელშეკრულების დარღვევის და სამსახურის დატოვების შემთხვევაში 5000 ლარი უნდა გადაუხადოს მესაკუთრეს. ეს ნიშნავს, რომ თუ კაბალური პირობები იქნა ან თავისი თავის უკეთ რეალიზაციის საშუალება მიეცა მომსახურე პიროვნებას მხოლოდ 5000 ლარის გადახდის შემთხვევაში შეეძლება სამსახურის დატოვება. ეს არის ფსიქოლოგიური ნაღმი ჩადებული ხელშეკრულებაში და ხელისუფლებამ კერძო მეწარმეებს ამის უფლება არ უნდა მისცეს. ამ საკითხზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ვესაუბრე, რომელმაც განმარტა, რომ მესაკუთრეს შეუძლია ჩაწეროს ხელშეკრულებაში ის, რაც უნდა. ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, ტელევიზია კერძოა და რასაც უნდა იმ სიუჟეტს გაუშვებს; ბანკი კერძოა და თავად იღებს გადაწყვეტილებას გადაახდევინოს თუ არა მოქალაქეს დამატებითი მომსახურების გადასახადი; კერძო ბიზნესის მფლობელი როგორც უნდა ისეთ ხელშეკრულებას შეადგენს. მაშინ, საკითხავია, რას აკეთებს ხელისუფლება და რისთვის იღებენ უზარმაზარ ხელფასებს? შეიძლება ამ გაღატაკებულ ქვეყანაში მინიმუმზე 150-ჯერ მეტი ხელფასი ჰქონდეს გაურკვეველი იდეოლოგიის მქონე დავით საგანელიძეს? თუ 180 ლარი საკმარისად მიაჩნია ხელისუფლებას ადამიანისთვის საარსებოდ, დაუნიშნონ ხუთმაგი ოდენობა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომელიც მხოლოდ მინიმუმის ზრდის შემთხვევაში გაიზრდება პროპორციული თანაფარდობის სისტემით. ამ ხელფასით ის მოემსახურება სამშობლოს, ვისაც მისთვის გული შესტკივა და ბიუჯეტის ვირთხები თანამდებობებს დატოვებენ. გაუთავებლად საუბარია გაურკვეველი პროექტების განხორციელებაზე, რის საფუძველზეც ხელფასებს იმატებენ ჩინოვნიკები, ხოლო „ეკონომიკურ სასწაულად" წოდებული კონცეფცია – პროექტი – მტკნარი წყლის ინდუსტრიის მშენებლობას ხელს უშლიან. პროექტის განხორციელების შედეგად იქმნება სამუშაო ადგილები და თითოეული მოქალაქე 460 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობების მფლობელი ხდება. ეს პროექტი ბ. ივანიშვილმა მოიწონა, მაგრამ განხორციელებაზე თავი შეიკავა, რადგან ხელისუფლებაში მყოფ ზვიგენებს სურთ ხალხის კუთვნილი სიმდიდრე თავად გადაინაწილონ. თუ ეს ასე არ არის და მართლა უყვარს თავისი სამშობლო, ბ. ივანიშვილმა ამ პროექტის განხორციელება სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. როცა დამშეული ქართველი ქვეყნიდან გარბის, ქვეყნის ხელისუფლებას უნდა სცხვენოდეს, მაგრამ ამისთვის კაცური და ეროვნული ღირსება უნდა ჰქონდეს, რასაც უდავოდ მოკლებულნი არიან. სამაგიეროდ, ჩვენ, რიგით მოქალაქეებს გვრცხვენია, ჩვენივე ქვეყნის სათავეში ასეთი არსებები რომ სხედან. საქართველოს სისხლიანი ქარტეხილებით გულდათუთქული დიდი ტიციანი მოთქვამდა: „ამდენი ძვლები რად დამიგროვეთ?.." მე ვეკითხები ამ ხელისუფლებას: – ამდენი ზიზღი რად დამიგროვეთ?! ერთმა ჩემმა თანამოაზრემ შემომჩივლა: ამ ხელისუფლებამ ნაცებისადმი სიძულვილი დამავიწყაო. მძიმე სოციალურ ფონს თან ერთვის საქართველოს „ღია კარის" პოლიტიკა, რაშიც თავი გამოიჩინა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პროექტით: „მეტი უცხოელი ნაბიჭვარი საქართველოში". ამ დამსახურებისათვის მისი პერსონა პრეზიდენტობის კანდიდატადაც განიხილება, რადგან თავში ჩარტყმული სუბიექტის რანგში ყველაფერს ისე შეასრულებს, როგორც ამერიკის ელჩი ისურვებს. გარდა იმისა, რომ ჩინური და არაბული სოფლები შენდება, მცხეთაში სვეტიცხოვლის მახლობლად ებრაელმა ბიზნესმენმა – ისიცი შავითმა 9500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შეისყიდა ებრაული კომერციული ქალაქის ასაშენებლად. ეს ხდება მაშინ, როცა ქართველ მომლოცველებს შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი ფორმით ისრაელის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევენ. ხელისუფლების ამ პოლიტიკამ საქართველოს გენოფონდიც შეცვალა. „ობიექტივი"-ს ეთერიდან ირმა ცხორაგაულმა ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა: საქართველოში, თებერვალში ნიჭისა და სილამაზის კონკურსები – „თქვენი სახე-2018" და „მისტერ შარმი" ჩატარდა. ორივე ნომინაციაში გამარჯვებული და საქართველოს სახე გახდა 2 თურქი ეროვნების ახალგაზრდა. სადამდე მიგვიყვანს ეს პოლიტიკა? იქამდე, სანამ უფროსი თაობა, ანუ ძველგაზრდები, რომელთაც ისტორია და ეროვნული ღირებულებები ახსოვთ გაღმა „მარილზე" არ გავლენ, ახალგაზრდები – „შინ – უცხოეთში", ხოლო საქართველო დ. გურამიშვილის თქმისა არ იყოს, დარჩება „თურქთა, ლეკთა, დიდოს". ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ უქართველებო საქართველოში ხელისუფლებაში ყოფნა უფრო ადვილიაო. ის, რაც დღეს საქართველოს სჭირს ამერიკის ბინძური პოლიტიკის შედეგია. – „ის კი არ არის გასაოცარი, რომ ამერიკა კულუარულად აღიარებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობას – აღნიშნავს რუსეთის ამერიკის საელჩოს ყოფილი თანამშრომელი გიორგი კბილცეცხლაშვილი, – არამედ ის, რომ საქართველოში ამერიკას დღემდე მეგობარ და პარტნიორ ქვეყნად მიიჩნევენ. საზოგადოებამ ანალიზი უნდა გააკეთოს, რომ ჩვენი ქვეყანა დასავლეთს მხოლოდ თავისი ინტერესების გასატარებლად სჭირდება და ბიოლოგიურ, ზომბირებულ მასად არ უნდა ვიქცეთ, რომელსაც მხოლოდ მოხმარებული და მოსახმარი საქონლის ღირებულება აქვს. გადავავლოთ თვალი სხვა ქვეყნებს, სადაც ამერიკამ დემოკრატია დაამყარა, ლიბიის მაგალითიც საკმარისია: კომუნიზმში ცხოვრობდნენ, ელექტროენერგია უფასოდ ეძლეოდათ, ქვეყანას საგარეო ვალი არ ჰქონდა. ქვეყნის უბედურების მიზეზი უმდიდრესი გაზისა და ნავთობის საბადოები გახდა. დემოკრატიულმა დასავლეთმა ისლამურ სახელმწიფოს კაციჭამიებს მუამარ კადაფი წამებით მოაკვლევინა და დღეს ქვეყნის უმდიდრესი საბადოების გამგებლები ამერიკელი და ევროპელი დემოკრატები არიან, ხოლო ლიბიელები შიმშილით და ავადმყოფობით იხოცებიან. თუ გვინდა საქართველომ იარსებოს, პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეიცვალოს. ადა მარშანია ქართველებს ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდებს, მაგრამ განსხვავებული იდეოლოგიის წარმომადგენლებს არც მედიასივრცეს, არც პოლიტიკურს არავინ დაუთმობს. განსხვავებული იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამო დღესაც ებრძვიან სტალინს, რომელმაც თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო შექმნა, სადაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ადამიანი არ არსებობდა. გარანტირებული ჰქონდათ სამუშაო, უფასო განათლება და ჯანდაცვა, ხოლო უცხოეთში 200-ზე მეტი დასახელების პროდუქცია გადიოდა. დასავლეთს უკიდურესი სიძულვილი ამოძრავებს სტალინის მიმართ და მიუხედავად იმისა, რომ ცდილობს მის პიროვნებას რკინის ფარდა ჩამოაფაროს, მოაზროვნე ადამიანებს სტალინი ახსოვთ და პატივს სცემენ. დასავლეთში მასზე წიგნებიც იბეჭდება. სტალინის პიროვნების შეფასებას სრულიად მიესადაგება მარკუს ავრელიუსის (რომის იმპერატორი, მე-2ს.) ერთი გამონათქვამი: „კეთილს იქმოდე და ავკაცის სახელი გერქვას – არის ამაში რაღაც მეფური".

სსრკ-ს აღდგენის შიშით შეპყრობილი ამერიკელი კანიბალები დაუსრულებლად რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე საუბრობენ და მსოფლიოზე ბატონობის სურვილით სამხედრო ბაზები თითქმის ყველა ქვეყანაში აქვთ განთავსებული. მათი სამხედრო ბიუჯეტი 500 მილიარდია, ხოლო რუსეთის – 50 მილიარდი, რომელიც მხოლოდ თავდაცვის საჭიროებისთვის არის გამიზნული. სამხედრო ბიუჯეტების თანაფარდობა მიმანიშნებელია იმისა, თუ რომელი ქვეყანა ისწრაფვის სხვა ქვეყნების დამონებისაკენ. რუსეთის პრეზიდენტის – ვლ. პუტინის 1 მარტის გამოსვლა ფედერალურ სათათბიროში მსოფლიოზე ერთპიროვნული ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მან მსოფლიოს ამცნო, რომ რუსეთი არასდროს დაიჩოქებს ამერიკის წინაშე და განმარტა, რომ არ აშფოთებს ამერიკელების იარაღის ჟღარუნი, რადგან ყოველივე კონტროლს ექვემდებარება. იმ დღეს, ფაქტიურად, გაანადგურა მითი ამერიკის უძლეველობის შესახებ. რუსეთს ებრძვიან სანქციებით, ტერორიზმით და ტერორისტული სახელმწიფოს შექმნითაც, მაგრამ ამერიკელ კანიბალებს რუსეთის პრეზიდენტმა დამაწყნარებელი აბები შესთავაზა და განუმარტა, რომ რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკა დამანგრეველია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რადგან, ისეთ ტექნიკას ფლობს, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება და არ არსებობს ძალა, რომელიც ამ იარაღს წინ აღუდგება. დიხ, რუსეთი დღეს №1 სუპერსახელმწიფოა და მივესალმები მის ძლიერებას!

ფორმატი, რომელიც „პატრიოტთა ალიანსმა" წარუდგინა რუსეთს, თავიდანვე ღიმილის მომგვრელი იყო: პარტია, რომელიც დასავლეთს ემონება, რუსეთს შუამავლობას სთავაზობდა ნატოსთან (?!) ეს ფორმატი უნდა შეიცვალოს ასე; „საქართველო-რუსეთი".

ლიბერასტებო ყველა ქვეყნისა! სწორება ჩოქბჯენში უძლიერეს მართლმადიდებლურ რუსეთთან!!!

P.S. ერთი კახელი მეორეს ეუბნება – რუსეთმა ლიბერასტებს დედა – ევროპა და მამა – ამერიკა მოუხნაო.

– ეგ როგორაო? – გაიოცა კახელმა.

– როგორა და ჩვენებურადაო! – იყო პასუხი.

**იზა თამაზაშვილი**
2 35 91 15; 593 90 55 07

# ფოთი — ახალი ნავსადგური — ახალი საქართველოსთვის

***ერთი ამწის ფასად გაყიდული ფოთის პორტი და შორეული ანაკლია***

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების 30-მა წელმა კიდევ უფრო დაგვაშორა დამოუკიდებლობას და თავისუფლებას პოლიტიკურად, ეკონომიურად, — ამასთან დავკარგეთ ყველაზე ძვირფასი — მშობლიური მიწის ნაწილი, შემდეგ სტრატეგიული ობიექტებიც მოწინააღმდეგეს მიყიდეს, ასეთი იყო სახელმწიფოს მშენებლობის სააკაშვილის „ლოგიკა". არადა, აფიორისა და დაპირებების დიდოსტატმა ფოთელებს აღუთქვა — ნავსადგურს დაგიბრუნებთო, რომელიც მოგვიანებით ერთი ამწის ფასად გაყიდა, რისთვისაც სამართლებრივად უნდა აგოს პასუხი და არა რაღაც ყურით მოთრეული დანაშაულებისათვის, რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფო ქონების განიავებაზე და უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტვაზე.

ფოთის ნავსადგურს კი უფრო ადრე შევარდნაძემ შეუყენა წყალი, როგორც ვითომ წამგებიან ობიექტს. ქალაქმა, რომლის პორტი ტერმინალად აქციეს, დაკარგა ევრაზიის ფორფოსტის და საქართველოს საზღვაო კარიბჭის ფუნქცია, ამიტომ, სხვისი რა მოგახსენოთ და უფუნქციოდ დარჩენილი ქალაქ ფოთის მოსახლეობას ნაკლებად სჯერა, რომ მომავლის ანაკლიის პორტი ხალხის სამსახურში იქნება და დუბაი ან სინგაპური გახდება, მათ ისიც კარგად ახსოვთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ფოთში ზარ-ზეიმით გახსნა თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკური ზონა, რომელიც მალე გახდებოდა ბიზნესის მექა. მტერი არაა მეტი, მას მერე 10 წელზე მეტი გავიდა და ორიოდე საწარმო დროგამოშვებით მუშაობს, დუბაის რა გითხრათ და საპორტო ქალაქს 12 მილიონიანი ბიუჯეტით, ალბათ, ანალოგი არ ექნება მსოფლიოში, — ღვთისაგან და კაცისაგან მიტოვებულ დაბას ჰგავს.

არავინ იფიქროს ჩვენი რეგიონის ეკონომიკური წინსვლა, ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობა არ გვახარებდეს, მაგრამ აქაც კერძო პირები ფიგურირებენ, რომლებმაც სახელმწიფო რესურსი ნედლეული თუ ქონება ხელში ჩაიგდეს და ყოველივე ეროვნულის მოწინააღმდეგე ლიბერალებს პრემიებით აჯილდოვებდნენ. რაც შეეხება ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობას, ამისთვის უკეთესი პირობები ფოთის საზღვაო აკვატორიაში არის. თუნდაც ნიკოლაძეს არ შეეშლებოდა ანაკლიის აქაურობისგან გარჩევა, ის რომ „ფოთი ოდესღაც აჯობებდა ოდესას", თუ, რა თქმა უნდა, მის გეგმას განახორციელებდნენ.

ფოთის ახალ ნავსადგურის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ბატონი ჯემალ გერსამია წლების განმავლობაში იყო ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის მთავარი ინჟინერი და როგორც მისი გაყიდვა-გასხვისების ხელშემშლელი, გაანთავისუფლეს სამსახურიდან და ლამის სამშობლოს მოღალატის იარლიყი მიაკერეს ამ მართლაც სამშობლოს მოღალატეებმა და გამყიდველებმა.

ბატონი ჯემალის ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურის პროექტი, მსოფლიოს წამყვანმა სპეციალისტებმა მოიწონეს, ამერიკელი ინვესტორები გამოჩნდნენ მაგრამ, ხომ იცით — „უჩემოდ ვინ იმღერეთა", არც წინა და არც ახალმა მთავრობამ არ გაიკარა. დასანანია, როცა შინაურ მღვდელს მართლაც არააქვს შენდობა და საუკეთესო იდეები რჩება ღაღადისად უდაბნოსა შინა.

ჩვენი რესპოდენტია ჯემალ გერსამია — ფოთის ახალი ნავსადგურის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი.

**— ბატონო ჯემალ ვინ, თუ არა თქვენ კარგად უწყით როგორ და რა ვითარებაში გასხვისდა ფოთის პორტი, იქნებ გაიხსენოთ როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?**

— ქალაქისა და ნავსადგურის უბედურება დაიწყო შევარდნაძის პერიოდიდან, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ 2005 წელს ფოთში სპეციალურად ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი, სადაც გაკეთდა დასკვნა, რომ ნავსადგური არის არარენტაბელური და უპერსპექტივო, რათა ქვეყანის მესვეურებს უმტკივნეულოდ გაესხვისებინათ და გაეყიდათ ნავსადგური, რითაც სახელმწიფო ინტერესებს პირადი ინტერესები ამჯობინეს.

2008 წლის 8 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას ფოთის პორტის პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისების შესახებ არაბულ კომპანია „რას ალ ხაიმას" საინვესტიციო სააგენტოზე. გაყიდვა განხორციელდა 2 ეტაპად: I ტრანსაქცია შეადგენდა 56%-ის ღირებულებას, 90 მილიონ დოლარს. II ტრანსაქცია კი — 65 მილიონ დოლარს 49% ოქროს აქციების ღირებულებებს, სულ პრივატიზების ღირებულებამ შეადგინა 155 მილიონი დოლარი უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო აუდიტების შეფასებით ნავსადგურის ღირებულება აღემატებოდა 300 მილიონ დოლარს და მისი შესყიდვის მსურველებად დარეგისტრირებული იყვნენ ისეთი კომპანიები როგორიცაა „დუბაი ვორდი", „ჰამბურგის პორტი" და სხვა მრავალი („დუბაი ვორდი" წარმოადგენს დუბაის ეკონომიკური სასწაულის შემოქმედს 1979 წლიდან; „ჰამბურგის პორტი" კი თავისუფალი პორტის სტატუსის მატარებელია თითქმის 300 წლიანი გამოცდილებით, 1727 წლიდან). მათთან შედარებით „რას ალ ხაიმას" საინვესტიციო სააგენტო სანავსადგურო საქმეში სრულიად გამოუცდელ და უსახურ კომპანიას წარმოადგენდა, რაც ნავსადგურის მუშაობის შედეგებზე მალევე აისახა და ამ კომპანიამ როგორც თავად განაცხადეს მოგების მიღების მიზნით (?!) ნავსადგური 2011 წელს გაყიდეს კომერციულად საიდუმლო ფასში დანიურ კომპანია „მორელი-მაერსკიზე" (გაიყიდა აქტივების 80%, 20% კი დარჩა მისი ჯგუფის წარმომადგენელს — „რაკია ჯორჯიას") .

2008 წლის 8 აპრილს ფოთის პორტის გასაიდუმლოებად გაყიდვის შემდგომ დღეებში, 15 აპრილს ფოთის საზღვაო ვაგზლის მოედანზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დიდ თეთრ ბანერზე შავი ფანქრით გააკეთა წარწერა ფოთის პორტში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ამოქმედების შესახებ და ფოთი გამოაცხადა დუბაი 2-ად, ამის შემდეგ ყველა ტელეარხებით გადაიცემოდა „ფოთი-დუბაი 2-ის" ანიმაციური კადრები, რომელმაც გადაფარა ფოთის პორტის პირდაპირი წესით გაყიდვა. აგრეთვე გადაიფარა საკანონმდებლო მანიპულაცია, რომლის მიხედვითაც ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეებმა (3300 ადამიანი) ვერ მიიღო ადრე კანონმდებლობით განსაზღვრული 0,9% უფასო აქციებისა. ასეთი უფასო აქციები ადრე მიღებული ქონდათ ნავსადგურის მომიჯნავე და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საწარმოებს. ნავსადგურელები პირში ჩალა გამოვლებულები დარჩნენ,

**— ბატონო ჯემალ, რას იტყოდით საქართველოს კონტინენტალურ სატრანზიტო მისიაზე, ანაკლიის პორტზე და ფოთში ახალი ნავსადგურის აშენების თქვენეულ გეგმაზე?**

— 10 წლის წინათ ჩვენ ამ საკითხებზე ვწერდით. უმჯობესია დავუშვათ აზრი, რომ ქვეყნის ეკონომიკურ მშენებლობაში წარუმატებლობა უფრო საერთაშორისო შეთქმულების შედეგია, ვიდრე უნიათო ხელისუფლების. დასანანია, რომ ჩვენი ნაციონალური ეკონომიკური პრობლემები გადაჭრის საკითხი არ იძვრის ადგილიდან. მდინარე ენგურის შესართავში ღრმა ფსკერიან ნავსადგურ ანაკლიას და საზღვაო ქალაქის ლაზიკას მშენებლობებიც ქაღალდზეა დარჩენილი.

ამ ტერიტორიაზე არ არის კომუნიკაციის საშუალებები, ირგვლივ ჭაობია და ეს ადგილი ფრინველების გადაფრენის ზოლია რიონთან კი გაცილებით უფრო ღრმა კანიონია და, საერთოდ, აქ პორტის კი არა ტერმინალის მშენებლობას ვარაუდობენ.

ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის დაწყების ვადები რამდენჯერმე გადაიდო უსახსრობის გამო, თანაც ვერ მოხერხდა საბიუჯეტო თანხების ჩართვა-გიორგი გახარიას ეყო ვაჟკაცობა უარით გაესტუმრებინა ამ საქმის მოთავენი და ადგილზე მისი ხელშემწყობნი.

ხაზგასასმელია ისიც, რომ პორტის მშენებლობაში არ იქნა ჩართული დიდი ჩინური კომპანია და მსოფლიოში ცნობილი გადამზიდავები „მაერსკის" სახით. გასაგებია ვის რა ამოძრავებს, თანაც არაპროფესიონალები არიან. დრო გვიჩვენებს წინა პლანზე სახელმწიფო ინტერესებია თუ — პირადი, ან კიდევ უარესი-სულ სხვა რამეა გათვლილი, სულ სხვა ქვეყნიდან.

**— რით შეიძლება დღეს ვითარების გამოსწორება?**

— სასწრაფოდაა დასაწყები კონტეინერების გადამამუშავებელი საზღვაო კომპლექსის აშენება. ამისთვის შეიქმნა თავის დროზე ჩვენი საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც დაამუშავა ქალაქ ფოთში საზღვაო დარგების ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საზღვაო კონცეფცია. საქართველოში სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს სასმელი წყლის დიდი ოდენობით მოპოვება-გასაღების იდეა, რომელსაც უნდა მოუყვეს ჩვენი ქვეყნის მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ქვეყნად გადაქცევა. ეს იდეა სულ უფრო რეალური ხდება და ხვალ თუ ზეგ პროექტირება და მშენებლობაც დაიწყება. თუ ეს ასეა, პირველ რიგში ამ წყლის გატანის პრობლემაზე უნდა ვიფიქროთ. პირველ რიგში საზღვაო გადაზიდვებია მოსაგვარებელი, სხვა ტრანსპორტი ამისთვის, უბრალოდ, მიუსადაგებელია. და, საერთოდ, მსოფლიოტვირთგადაზიდვების ნახევარზე მეტი წყლის ტრანსპორტით წარმოებს. თუ ტრანსკონტინენტალურ გადაზიდვებს ჩავრთავთ, მაშინ გადაზიდვების პროცენტი 75-მდე გაიზრდება. საწყლოსნო-ტრანსპორტის ტვირთების გადაზიდვის ღირებულებაც საგრძნობლად უფრო იაფია ვიდრე დანარჩენი სხვა საშუალებებით.

საქართველოს საზღვაო ნავსადგურების ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაერთიანების სერიოზულ არგუმენტად უნდა მივიჩნიოთ ევროპის უცნობილესი კომპანიების დასკვნები საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ლოჯისტიკური ცენტრის შექმნის თაობაზე, რომელიც შეძლებს საქართველოს ყველა სახის ტრანსპორტის მუშაობის კოორდინაციას. მოიზიდავს აგრეთვე ე.წ. „აბრეშუმის გზაზე" ცენტრალური და შუა აზიის ტვირთნაკადებს, ასევე ევროპისა და ჩრდილოეთ ევროპის ტვირთნაკადებსაც.

ჩვენს, მიერ შეთავაზებული მრავალდარგოვანი სანავსადგურე კომპლექსი მოიცავს საკონტეინერო, ნავთობგამტარ, მეთევზეთა ტეერმინალებს, რომელსაც ახლა წყალგამტარი ტერმინალებიც დაემატება, აგრეთვე გათვალისწინებულია რიგი ღია და დახურული საწყობების მოწყობა. საწარმოო მოედნებზე გათვალისწინებულია ყველაზე მოწინავე პორტალური და შიდასანავსადგურე ტექნიკის დანერგვა. ტვირთების კონტროლისა და გაფორმების სისტემა ძალზე მარტივი იქნება და საბუთების ბრუნვის დროს დაიყვანს სულ რამოდენიმე წუთამდე. ის რომ ახალი ნავსადგური იქნება შიგ ქალაქის ზონაში, ხელს შეუწყობს სოციალური პრობლემების მოგვარებას, პროექტები ითვალისწინებს მთელ რიგ სოციალურ პროგრამებს — სკოლამდელი დაწესებულების, სპორტულ-კულტურულ გამაჯანსაღებელი დასასვენებელი ბაზების, პენსიონერების, ვეტერანებისა და ინვალიდების ცენტრების მოწყობას.

მიუხედავად მთლიან მექანიზაციაზე გადასვლისა, ახალ სანავსადგურე კომპლექსში იმუშავებს 2000 კაცი. თევზის ტერმინალზე მოხდება მცირე და საშუალო საზღვაო გემების შეკეთება და მცირე გემების მშენებლობა. განვითარდება თევზჭერა შავ ზღვაზე და მსოფლიო ოკეანეზე საერთაშორისო წყლებში.

იგეგმება როგორც საზღვაო, ისე მტკნარი წყლის აკვაკულტურის მთელი რიგი ობიექტების შექმნა. თევზრეწვა, თევზგადამუშავება ნაპირზე, აგრეთვე აკვაკულტურის ობიექტების სიღრმისეული გადამუშავება, დაახლოებით კიდევ 800 ადამიანს დაასაქმებს, თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთ დასახელებული ობიექტები გაშენდება მალთაყვის ახალდასახლებულთა (ლტოლვილთა) რაიონის სიახლოვეს და ამ ობიექტებზე ძირითად ახალმოსახლეებს შეეძლებათ დასაქმება, ესეც კარგი მაგალითი იქნება ქალაქში პრაგმატული ნაბიჯების გადადგმის, მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით.

რიონის ჩამონატანი სილის გადამუშავებისათვის ორი ქარხნის აშენება (რაც 300 კაცს დაასაქმებდა). სანიტარულ-ტექნიკური ნაკეთობების და საამშენებლო მასალების გამოშვება იქნება იმის კარგი მაგალითი თუ როგორ გონივრულად და მზრუნველობით შეიძლება გამოიყენო ბუნებრივი რესურსები და ზიანი არ მიაყენო ეკოლოგიას. მთელი შავიზღვისპირეთის ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და ნავსადგურის ნაგებობების შეკეთების პრობლემებს გადაწყვეტენ ახალშექმნილი ორგანიზაცია „საქზღვამშენი", „საქზღვანაპირდაცვა", ეს საწარმოები ნავსადგურისა და ჰიდრონაგებობების მშენებლობისა და ზღვის ნაპირის გამაგრება-რემონტისათვის გამოიყენებს ბუნებრივ მასალებს სენაკისა და ხობის რაიონის კარიერებიდან. ამით მეზობელ რაიონებსაც ვასარგებლებთ და პროექტი გავა უკვე რეგიონალურ მასშტაბებზეც. სულ 2500 კაცზე მეტი დასაქმდება.

საქართველოში კი ამისთვის ყველაზე უფრო გამოსადეგარი, ყველაზე უფრო მოსახერხებელი ქალაქი ფოთი და მისი შემოგარენია. ღვთის ნებით, აქ ამისათვის ყველანაირი პირობა და შესაძლებლობა არსებობს. ჩვენს პროექტებში არამარტო ეს საკითხები, არამედ მისი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხიცაა გაშუქებული. ინვესტორები მზად იყვნენ ნავსადგურის მშენებლობაში ჩაედო საჭირო თანხები.

დიდი სურვილი გვაქვს ჩვენს პროექტში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება მეტმა ადგილობრივმა ბიზნესმენებმა. პროექტების განხორციელება და ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვება თავისთავად გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, ასობით კერძო მეწარმეების დაბადებას, გამოცოცხლდება მოხმარების სფერო, შეიქმნება ახალი ინფრასტრუქტურები, გამოცოცხლდება ქალაქი და არ იქნება უმუშევრობა.

**— ბატონო ჯემალ, თქვენ წლების წინათ აყენებდით საკითხს შავი და კასპიის ზღვებს შორის გემთმიმოსვლისათვის ახალი არხის გაჭრის თაობაზე, რაც-საქართველოში უტოპიად მიიჩნიეს, არადა, მსოფლიოში არის ამის ანალოგიები.**

— საქართველოს მთავრობას, ფოთის ადგილობრივ თვითმმართველობას და პარლამენტის დეპუტატს ქ. ფოთიდან წარვუდგინე ფოთის და ფოთის ნავსადგურის განვითარების გეგმა, აგრეთვე იდეა შავ და კასპიის ზღვებს შორის გემთმიმოსვლის შესახებ მდინარეების, რიონისა და მტკვრის კალაპოტებს შორის გამტარი არხის მშენებლობის თაობაზე. ვინ დახარჯავს მილიონებს, იმ იდეის და საპროექტო წინადადებების განხორციელებისათვის? სამწუხაროდ, საქართველოში ნებისმიერი პროექტი, თუნდაც სულ მცირე, რომელიმე სოფლისთვის განკუთვნილიც კი ხდება პოლიტიკური დისკუსიის საგანი, ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის.

ამასწინათ, ჩინელებმა იყიდეს ზღვისპირა მიწები, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის გამოიყო 10 წლის წინათ, ეს არის შავიზღვისპირეთის ყველაზე მიტოვებული ადგილი. ჩინელები დაპირდნენ ფოთის ახალი პორტის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფს, რომ მათ წინადადებებს განიხილავდნენ.

2012 წელს ასეთი კონცეფცია ჩავაბარე ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას — დაახლოებით 10000 სამუშაო ადგილით. აქვე იბადება კითხვა, რატომ ამბობენ უარს ფოთში ნავსადგურის უფრო ადრე და ნაკლები რესურსებით აშენებაზე, მაშინ როდესაც ამის ყველა პირობა სახეზეა. ამ მარტივ კითხვაზე პასუხი არავის არა აქვს ქვეყანას, მათ შორის ფოთს სჭირდება სტრატეგიული განვითარების კონცეფცია, სადაც განსაზღვრული იქნება პრიორიტეტული მიმართულებები და პროექტები.

მე კვლავ მივმართავ ქალაქისა და ქვეყნის ხელმძღვანელობას, საჯაროდ ცნობილი გახდეს ქვეყნისა და ქ. ფოთის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია შემდგომი 20 წლის ვადით. მაშინ ქვეყანაში ყველას ეცოდინება რა მიმართულებით უნდა იაროს ქვეყანამ, ქალაქმა და უცხოელი ინვესტორებისთვისაც გასაგები გახდება სად, როდის და როგორ მიმართონ ჩვენ ქვეყანაში საკუთარი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები.

გმადლობთ ინტერვიუსათვის.

გისურვებთ წარმატებებს!

**ზ. აბრალავა,**
**გაზეთ „ნიკოლაძის გზით" რედაქტორი**

# არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

ნათქვამია, ყველამ თავის მამიდას მიხედოსო და მეც, ასაკთან მომკლავურე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი, ჩემს აღზრდილებთან ერთად ჩვენს სამამულო ომში ტყვია მოფეთებული კაცი, იმაზე ვწუხვარ, რომ ამ საძრახ მარაქაში ჩემი კუთხის შვილი პაატა შამუგიაცაა, – რომლის კბილა ბავშვები 1992-93 წლებში საკუთარი სისხლით დატბორილ სანგრებს არ ტოვებდნენ და უკან არ იხევდნენ – გული მტკივა, რომ ეს კაცი ასე უიმედოდ უუცხოვდება სამშობლოს. დიახ, დღეს იგი უფლებადაცვის ლოზუნგით ხელში, ფეხზე დაკიდების წესით, აი, როგორ ეხმიანება მისი თანატოლების ხსოვნას ანუ თუ გნებავთ დევნილი საზოგადოების უფლებათა დაცვას: „ოხ, ეს ტუტუცი ბებრუცანები, ღმერთო, ჩახოცე ისინი...“ სხვათაშორის, ამ რამოდენიმე წლის წინ, როცა გულისტკივილი გამოვთქვი იმაზე, რომ პაატა შამუგია, იმხანად სათავზაროდ გახმაურებული, მეტიც ეროვნული და მართლმადიდებლური ღირებულებებისადმი მიმდგომლური სულისკვეთების გამომხატველი ნაწარმოებების ავტორად ნებაყოფლობით დადგინდა და იმის მაგივრად, რომ მისი მშობლიური ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციისათვის განაწყოს მკითხველი მეთქი, მაშინ, როგორც საქმის მცოდნენი ამბობენ, – ელიტურ კორუფციაში განავარდებულმა აფხაზეთის ა/რ-ის ე.წ. დევნილმა უმაღლესმა საბჭომ, რომელსაც ბრალს ვდებდი იმაში, რომ 25 წელია, რაც ვერა და ვერ მიიჩნია საჭირო საქმედ აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დეოკუპაციის სტრატეგიის ჩამოყალიბება და ამ მხრივ სახელმწიფო პოლიტიკის დაზუსტება, სასამართლოში მიჩივლა ამის გამო, თან პაატა შამუგიას, როგორც ერის საიმედო კადრის შეურაცხყოფა ამოიმარქაფა თავის სასარჩელო განცხადებაში.

არაფერს ვაზვიადებ, 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, როცა ბატონმა როსტომმა (ისევე, როგორც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არაერთმა წევრმა) ამოიღლიავა თავის ლასკარი (ოჯახი), მათ შორის პირტიტველა პაატა შამუგია (რომლის კბილა ბიჭუნები, როგორც გითხარით, მტერს ეომებოდნენ მამულისა და ერის დასაცავად) და სამშვიდობოში დადგა „კლდედ“, სადაც დღემდე „მოღვაწეობს“, სწორედ იმხანად მისი კარის მეზობლებიდან ათობით უმწეოდ დარჩენილი აწამეს, დახვრიტეს, მონებად გაირეკეს, გააუპატიურეს...

მათ შორის ამჯერადაც თვალში საცემი იყო „ბებრუცანების“ წიოკი: 89 წლის ნასტია წურწუმია საკუთარ ეზოში მოკლეს, 86 წლის მამია ქობალიასა და 78 წლის ქსენია ჭაავასაც ასეთი დაუნდობლობა დაატყდათ თავს; 67 წლის ჟორჟი ჩაფრავას ხელი მოაჭრეს და დახვრიტეს 65 წლის ნოდარ ქობალიასთან ერთად.

80 წლის ჟურა ჯოლოგუა ცეცხლმოკიდებულ საკუთარ სახლში ცოცხლად დაწვეს. 75 წლის ჭუკა ჭაავა დაჭრილი, ცოცხლად შეაგდეს ახანძრებულ საკუთარ სახლში, მას მიაყოლეს მისი ლოგინადჩავარდნილი და – ქსენია, – 78 წლის, ასევე იქვე მცხოვრები „ბებრუცანა“ 70 წლის ჩიტი იზორია...

ასევე საკუთარ სახლში ამოწვეს 77 წლის ოლია შარია მასთან სტუმრად მყოფ უფროს დასთან ერთად. საკუთარ ეზოში ჩამოახრჩვეს სოფლის საშუალო სკოლის დირექტორი – 67 წლის მირიან ჯალაღანია...

რაც შეეხება მერაბ შამუგიას (არც ის იყო ბავშვი), ის 1993 წლის ოქტომბერში ტყვედ აიყვანეს, ცემით სიკვდილისპირამდე მიიყვანეს და სახრის ცემით გაიდგეს წინ.

ეს არასრული ჩამონათვალი გახლავთ იმის თუ რა ღვთისწყრომამ გადუგრიგალა მაშინ ისევე, როგორც სრულიად ცხუმ-აფხაზეთში... ამ შემთხვევაში კი სოფელ ბარღების უბან საშამუგიოსა და მის მიმდებარეობას...

ეს სულს უფორიაქებს და ამის გამო ქრისტესმხედრულად იდგენს თავს კი არა „ოხ, ეს ტუტუცი ბებრუცნები-ო,“ ჩააზილა მათ ნაწამებ სულებს, რომ ჰკითხო – დევნილმა კაცმა!..

გასაგებია,ზემოთქმულის შესაბამისად, ის, რაც ახალ ეთნოდივერსიულ ნაციად ესარეველიანება ქვეყანას, ისიც რჯულის გამოცვლასა და შემოჩეჩებულ ვინაობაში თავდადგენას მოითხოვს ჩვენგან.

მართალია, იგი წინადამცვეთად არ მოიწევს, მაგრამ, აბა, კარგად დაუგდეთ ყური პაატა შამუგიას – „ანტიტყაოსნისა“ და ღვთისმგმობი „დაუჯდომლების“ გამსტრიქონებელს: იგი ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინ, ჯერ კიდევ დამწყები ოლიგოფობი, გააფთრებით ირწმუნებოდა, რომ „არტში“ ანუ „უბორნიული მწერლობის ცეხებში“ შესასვლელად საჭირო იყო, თანაც, რაც შეიძლება მალე, საკუთარი ცნობიერი თვალსაწიერიდან ხანძთელის, რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის გამოძევება.

ეს დებულება რომ ვთარგმნოთ ჩვენისთანა არქაიზმში ჩარჩენილთათვის, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ლიბერასტად თვითდამკვიდრების შემთხვევაში ქართველობაზე უარის თქმას.

სხვა რამეს არც აღმგველი თემურ-ლენგი მოითხოვდა, არც პირსისხლიანი შაჰ-აბასი, არც მურვან ყრუ და აღარც ერთმორწმუნე ალექსანდრე პირველი!..

დასასრულ – კიდევ უნდა დავიმოწმო ჩვენი მხარის სინდისი, დუდკოჩი და მახვში, როგორც ჩანს, პაატა შამუგიასთვის მხოლოდ „ბებრუცანა“ პროფესორი, რომელსაც უნდა გაემიჯნო (გაიხსენეთ, - „ღმერთო, ჩახოცე ისინი“ ან „არტში“ რომ შეხვიდე“ გალაკტიონის პოეტურ სამყაროს ე.ი. ერის ვინაობას უნდა მოსწყდეო უნდა!..), დიახ, ცხონებულ ვალერიან ზუხბაიას, რომელიც 1993 წლის შემოდგომაზე აგრესორ-სეპარატისტებმა დახვრეტა მოუნდომეს და ბოლო წუთს მისმა გა- „абхазец-ებულმა მოგვარეებმა იხსნეს ნაწამები, წიხლით ნაცემი, მაგრამ ვერ გალახული ბერიკაცი, – ის ეიმედებოდა, რომ მაშინ პაატას კბილა ბიჭუნები გალიდანაც ქრისტესმხედრულ ფეხაწყობაში იდგენდნენ თავს: „ქართველი კაცი, რომელიც წაიკითხავს ამ სტრიქონებს, მარტო ცრემლით არ აევსება თვალები, აივსება შურისძიებით და კიდევ შურისძიებით (ხაზგასმა ს. საჯ.). მხოლოდ ერთი რამ გვამხნევებს: 16 წლის შეშელეთელმა (აკადემიკოს ილია ვეკუას სოფელია, დღეს გადამწვარი, ს. საჯ.) ხვიჩა კალანდიამ იცოდა ის, რასაც მოითხოვდნენ მისგან ბოევიკები, მაგრამ არ გააკეთა, მიუხედავად იმისა, იცოდა, მას ამისთვის მოკლავდნენ“ (იხილეთ მისი წიგნი „გალი“).

გეთანხმებით, მაგრამ ეს რომ გააკეთო, მაშინ დედა – ძუძუწმინდა შეუგინებლობად უნდა მიგაჩნდეს, არც „ინცესტის არომატი“ მოგესურვილება მაშინ!..

დიახ, ზემოთ გაგაცანით პაატა შამუგიას რამოდენიმე სტრიქონი – „ოხ, ეს ტუტუცი ბებრუცანები, ღმერთო, ჩახოცე ისინი“...

ეს, თითქოსდა, ერთი შეხედვით მხოლოდ უზრდელობა, სულაც არ გახლავთ შემთხვევითი წამონაროში.

ვინც ეს არ იცის, უნდა ავუხსნა, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ძირძველ ქართველთა (მეგრელთა ანუ აფხაზთა) გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დროს აგრესორ-სეპარატისტები, მათ მესადავეებთან თუ თანამესასტიკეებთან ერთად, განსაკუთრებული აღმგველობით აწამებდნენ, შემდეგ კი, ყოველ მიზეზგარეშე, პირველ რიგში, ხვრეტდნენ სწორედ ხანდაზმულებს, მით უფრო, თუ ისინი პაპისპაპიდან ლიხნის, მოქვის, ბედიის ქართულად ამღაღადებელთა შთამომავლები იყვნენ და მკაფიოდ იცოდნენ, რომ აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოა.

ამ ხანდაზმულების სახით მტერი მეხსიერებას ხოცავდა, რომელიც ამ მხარეს დედან ანუ ქართულ ვინაობაში აშინაარსებდა. ამის დამახსოვრება დამპყრობს არ სჭირდებოდა.

დღესაც, როდესაც აგრესიულ გლობალიზმს დანარჩენ საქართველოში დედანი შინაარსის წაშლა დასჭირდა, რათა აქ ე.წ. ახალი ნაცია ანუ ლიბერასტული ოლიგოფობია ქართველ ერს ჩაანაცვლოს, ნებისმიერი, ვისაც თავისი ქართული ვინაობა ახსოვს, „ტუტუცი ბებრუცანაა“, რომელიც ჩახოცვას ექვემდებარება.

უკვე გითხარით და კიდევ გიმეორებთ თუ რას ნიშნავს ლიბერასტულ-ოლიგოფობიური ახალი ნაციისათვის ევროპეიზმი, თანაც რა სახიფათო სიმცდარეა მათ ცნობიერებაში მისი განმარტება. დიახ, ეს მკაფიოდ საჯარისდება პაატა შამუგიას ზემოთმოხმობილ დებულებაში, როდესაც იგი საზოგადოებას უზუსტებს „გაევროპელების“, ანუ „არტში შესვლის“ პირობებს: ვიმეორებ, ამისთვის უნდა დააღწიო თავი ქართული აზროვნების წესსა და მასზე დაშენებულ ლიტერატურას, სულიერებას, ხელოვნებას და ა.შ.

ამის აუცილებლობა კი იქედან გამომდინარეობს, რომ ქართული ლიტერატურის შემომშობლიურებას მოჰყვება მამულისა და ერის სიყვარული, რაც გამოიწვევს გიორგიანულ და ქრისტესმხედრულ თვითდამკვიდრებას.

აქ ერთიც უნდა ვთქვა: ქართველთა ეროვნულ-სახალხო სულისკვეთებაში ჩაშინაარსებული მსოფლმხედველობა ქართველთა სამხმიანობის ლასკარული ერთჰანგობის შესახებ, რომელზეც აიგო დიდი იოანე პეტრიწის თეორია ქართველი ერის მარადიულობაზე, – ამ ვითომ მწერლობის გამოორდღობებში, მსგავსად ნებისმიერი უჯიშოების ხმაბოდვური ახირებებისა, უეჭველად წასაბილწ მიმისამართებად იქცა.

ამის მიხედვით ახალი „ნაციის“ სააზროვნო წესსა და „მხატვრულ“ მოსაქმეობაში (ხელმრუშობაში) მოთხოვნა ეროვნულ ღირებულებებთან მიმდგომელის ანუ ახლადფაბრიცირებული ადამიანის „გადიადებისა“, აუცილებლობაა იმგვარადვე, როგორც ამას „სოციალისტური რეალიზმი“ ითხოვდა (იქ „კომუნიზმი შენდებოდა“, აქ – „ევროპული დემოკრატია“).

ამის მიუხედავად, ჯოგურად ჩამწყობრებული ეს ე.წ. მწერლები სწორედაც რომ კომკავშირის ქალაქკომის მდივნის პოზაში, შვონდურ-შარიკოვული (მიხეილ ბულგაკოვი) თითისქნევითა და ცხვირაბზუებით ისე წარმოთქვამდნენ სიტყვა „საბჭოთას“, თითქოს მერაბ კოსტავაზე ან ზვიად გამსახურდიაზე უფრო ხელდაკაპიწებით ებრძოლოთ მის წინააღმდეგ.

კი ბატონო, საბჭოთა სინამდვილე არ იყო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ მოაზროვნე საქართველო, როგორც იტყვიან, – ტამბოვის მგელი იყოს მისი მონატრული, მაგრამ ამ საბჭოთა რაობაში, მიუხედავად სოციალისტური რეალიზმის არტახებისა, ქართულმა მწერლობამ შექმნა საკაცობრიო მნიშვნელობის ნაწარმოებები, რომელთა გამო სამართლიანად ამაყობს ქართველი ერი.

დიახ, უნდა ვაღიაროთ, როგორც საქართველოში, რუსეთში, ასევე მთლიანად საბჭოთა კავშირში ამ დროს შეიქმნა მსოფლიოს სულიერი საგანძურის მაწყალუხვებელი ნაწარმოებები, მაგრამ დღეს, დემოკრატიის თავაწყვეტილი რბოლის დროს, ვერა და ვერ გამოიძერწა საქართველოში ისეთი ნაწარმოები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბედკრულობას მიესალბუნებოდა.

თვალში საცემია ისიც, რომ ლიბერასტი მწერლების მიმდგომლური ხელგამოღება, როცა საკუთარი დედა ან საშოსთან ან კიდევ „ტუტუც ბებრუცანასთან“ იგივდება, თავისი არსით იმეორებს ბოლშევიზმის იმ სამიზნეებს, როდესაც „პროგრესის“ სახელით პროლეტარული მწერლობა მზად იყო არათუ სამშობლო, ან ეროვნული ღირებულებები, თავისი საკუთარი დედაც კი დაუნდობლად მოეხრჩო.

აქედან გამომდინარე, სურვილი „ტუტუც ბებრუცანათა“ ჩახოცვისა, ისეთივე სულისკვეთებაა, როგორსაც გამოხატავდა მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დაწერილი ე.წ. ლექსი, რომელიც აღფრთოვანებით უმღეროდა იმ „პოლუტორკას“, რომლითაც დასახვრეტად ძირითადად უდანაშაულო და უმწეო ადამიანები გადაჰყავდათ აღსრულების ადგილზე.

უბედურება და ბედის დაცინვა აქ ისიცაა, რომ ამ ლექსის ავტორსაც მწერალი ერქვა, ისევე, როგორც ზემოთხსენებულ „პოლუტორკის“ ძარათი მოუსავლეთში გამგზავრებულ მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძესა და მათ თანამოკალმეებს. (მკითხველს ვურჩევ, ე.წ. ლიბერასტულ მწერლობასთან დაკავშირებით გაეცნოს შესანიშნავი მკვლევარის ლევან ბებურიშვილის წიგნს „მწერლობის მოთვინიერება გრძელდება“, ქ. ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი, 2014 წ.)

მასში თქვენ გაისიგრძეგანებთ იმ წელსქვემოთა მიზეზებს, რაც ესაფუძვლება სამშობლოს, პატრიოტიზმს, ეროვნული კულტურისა და მართლმადიდებლური ეკლესიის კრიტიკას, რას ემსახურება სქესობრივი აღვირახსნილობის ხოტბა თუ სისაძაგლის, არაადამიანობის კულტი).

ეჭვი არ მეპარება“: თუ ოდესმე ქართველმა ერმა როგორმე თავი დააღწია მილევად მდგომარეობას, იგი ოდესმე ჭყონდიდურ-აღმაშენებლური მსოფლმხედველობის გუმბათქვეშ ააცათაბჯენებს სამხილ მუზეუმს ქართველთა ეროვნული ღირებულებებისადმი ზურგში მახვილის ჩაცემათა შესახებ, სადაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) მტრის ასობით მეგზურთა შორის, უპირველეს ყოვლისა, ნიკა გვარამია და პაატა შამუგია იქნებიან წარმოჩენილნი.

აი, როგორი დევნილი გახლავთ პაატა შამუგია, რომლის მამამ, ბატონმა როსტომმა (აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა), აფხაზეთის ხელისუფლების თანამოსანგრეობით სასამართლოში მიჩივლა: – სერგი საჯაია აფხაზეთის საამაყო შვილს, ახალგაზრდა პოეტს ლანძღავსო!..

4. მიზანი – ქართველთა დეეთნიზაცია: საზოგადოება რატომღაც არ აკვირდება, რომ საქართველოში მოსაქმიანე ყველა ტელევიზია ნებისმიერი მოვლენის გაშუქებისას სავალდებულოდ განმარტავს, რომ „ამასთან დაკავშირებით აშშ ელჩმა განაცხადა“ ან „მესამე სექტორს მიაჩნია“-ო.

ეს ე.წ. მესამე სექტორია (ოლიგოფობიური კასტა) სწორედ ის საცეცი, რომლითაც აგრესიული გლობალიზმი (აშშ-ს საცეცებით) ბაქანს ითავისუფლებს თავისთვის.

მე დიდი ხანია არ მომისმენია, – „ქართული“ ტელევიზიის ეკრანიდან ვინმეს დაემოწმებინოს ქართველი ერის აზრი. ის თითქოს არც არსებობს!..

ცხადია, საზოგადოებას ავიწყდება, რომ აშშ და ევროკავშირი საქართველოში ქართველი ერის დასაცავად კი არ მოვიდნენ, ისინი თავიანთ გეოპოლიტიკურ საჭიროებას აუსაფრთხოებენ.

სინამდვილეში ეს არის მიზანმიმართული ბრძოლა ქართველთა დეეთნიზაციისთვის.

საინტერესოა, რომ ასეთი ჭაობური დემოკრატიის შესახებ ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე მარი ლე პენი პირდაპირ, თითმიშვერით აცხადებს, რომ „ევროკავშირი საშინელი ორგანიზაციაა, რომელიც უნდა დაიშალოს“...

თავის მხრივ იური როშკა – 1994-2011 წლებში მოლდოვის რესპუბლიკის ვიცე პრემიერი აშშ-საც და ევროკავშირსაც ხელს ადებს ლიბერასტების დაფინანსებასა თუ გეების ლობირებაში. მისი აზრით, მოლდოვაში ამას აშშ-ს საელჩო ხელმძღვანელობდა.

ცხადია, მათ იმას მიაღწიეს, რომ დღეს საქართველოში ერთიან პოლიტიკურ ერთეულად ქართული საზოგადოების შემკვრელი ეროვნულ-სახალხო სულისკვეთება საგრძნობლად შესუსტებულია. დედა ეკლესია ამ მხრივ უთანასწორო ბრძოლაშია ჩაბმული.

ასეთი სასანგრო მდგომარეობის წიაღში არა მხოლოდ უბორნიის მწერალთა რიგებიდან, როგორც ეს პაატა შამუგიას ემართება, თვით სოხუმელ მწერალ გურამ ოდიშარიასაც არაერთხელ გამოუვიდა აფხაზეთზე საუბარი საზურგე მახვილით ხელში... საინტერესოა, რომ სწორედ ამისთვის ჯილდოვდება ეს კაცი და არც თუ იშვიათად სადიდებო კვარცხლბეკითაც ამარაგებენ ხოლმე მას.

ბუნებრივია, გურამ ოდიშარიასთვის ჭეშმარიტება გადის იქ, სადაც დღემდე ამაზრზენ ღალატსა და უვიცობაში ხვიხვინებს მისი თანამოსანგრის თინა ხიდაშელის შეძახილი – „გაგრისთვის, მიწის ამ ნაგლეჯისთვის ვერ მოვიმდურებთ ყველასო“.

ბატონი გურამის მსგავს მოგვერდებზე მეოთხედი საუკუნის მანძილზე არაერთი წერილი მაქვს დაწერილი, მაგრამ რა! იგი დღემდე თანამიმდევრული გაშმაგებით ცდილობს აფხაზი არ ნიშნავდეს ქართველს (მე ძუძუმტე აფსუას არ ვგულისხმობ აქ).

**სერგი (გიორგი) საჯაია,**

***(გაგრძელება შემდეგ ნომერში)***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ კოსტავას პოეზია

რწმენის ძალით, სიმართლის შეწევნით შეძლო წმინდა გრაალის მცველმა დავით აღმაშენებელმა დიდგორში სასწაულებრივი გამარჯვება, გველის, ბასილისკოს, ღრიანკალის გათელვა, ფილოსოფიური აზროვნებისა და ღვთისმეტყველების აღორძინება თავის მიერ დაარსებულ სიბრძნის კერებში – იყალთოსა და გრემში: „დუშმანს გაეგება დავით თოროსანი, მესიის ელვა და ედემის სოსანი და ბოცომკალივით მომდგარი საჰარა მკლავზე დაიგრიხა, მშვილდივით წახარა. გულდაგულ შემუსრა მტარვალთა კერპები, გველს და ბასილისკოს დაასო ტერფები, ბაღდადურ ღრიანკალს დასთხარა ჭანგები, იდიდოს მადლი და კურთხევა განგების. აქეთ იყალთოთი, იქით გელათითა მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა. აღსავლის კარიდან ასტყორცნა არწივი, ზეცას დაუბრუნა სერაფიმ-ბარძიმი“) (12,117).

ლექსში „გალაკტიონი“ პოეტების მეფე წარმოდგენილია, როგორც საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს ნაზიარები, ბიბლიურ მოსესავით სულიერი წინამძღოლი ერისა, რომელმაც ებრაელი ხალხის მეთაურივით აღმართა სპილენძის გველი ნამდვილი გველის შხამის ძალის გასანეიტრალებლად და ამით გადაირჩინა თავი: „ვითარცა მოსემ, აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი. როცა გახელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი“ (10,145-159).

ბიბლიაში ურწმუნო ებრაელები ეურჩებოდნენ ღმერთს, მოსეს. ბევრჯერ პატიების შემდეგ, ღმერთმა დასაჯა თავნება ადამიანები შხამიანი გველებით, რის შედეგად დაიხოცა ბევრი. ებრაელებმა ინანეს, აღიარეს თავიანთი დანაშაული და სთხოვეს მოსეს, ისევ შევედრებოდა მათთვის ღმერთს, რომ ეხსნა ისინი შხამიანი გველებისგან. მოსეს შუამდგომლობის შემდეგ ღმერთმა აპატია ებრაელებს შეცოდება, მოსეს კი გააკეთებინა სპილენძის გველი და ჩამოაკიდებინა მაღალ ადგილზე. გველისგან დაშხამულთ უნდა შეეხედათ ამ სპილენძის გველისთვის, რათა დაკბენილთა შხამი განეიტრალებულიყო. ეს იყო მათი გადარჩენის საშუალება (რიცხ.21,6-9)(1,157).

ცნობილია, მკითხველები და კრიტიკოსები გალაკტიონს ამუნათებდნენ ხელისუფლების იძულებით, შეკვეთით დაწერილი ეპოქის სახოტბო ლექსების გამო, მიზეზებს კი არავინ ულრმავდებოდა.

მერაბ კოსტავამ ამ ერთი შეხედვით საჩოთირო თემას დამაჯერებელი პასუხი გასცა და დაგვარწმუნა, რომ როგორც სპილენძის გველი იყო ნამდილი გველის შხამისგან ზემოქმედების გაუვნებელყოფის საშუალება, ასევე გალაკტიონის გადარჩენის საწინდარი, სპილენძის გველის ტოლფარდი ხერხი იყო პოეტის უგულოდ დაწერილი, ვითომცდა ძლევამოსილი სოციალიზმის სადიდებელი ლექსები, რადგან ტოტალიტარულ ეპოქაში მხატვრულ სიტყვას ხელისუფლების პოლიტიკის მსახურება ევალებოდა და სიმართლის მსახურთა ხვედრი იყო ფსიქიატრიული რეპრესიები, დევნა, ციხე.

მერაბ კოსტავას რწმენით, სიკეთე მარადიულია, ბოროტება დროებითი, რომელიც ყოველთვის მარცხდება. „ასპიტის ელდა“ უძლურია „სიწმინდის თვალის“, მაცხოვრის წინაშე: „იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი, სიწმინდის თვალი, ასპიტის ელდა, მხსნელად მივირქვათ ჩვენ მაცხოვარი, დაგვიშოშმინებს მსოფლიო სევდას“ (10,121).

თვალი, „თვალი ცხოვრებისა“, „მზის თვალი“ საღმრთო სახელია, მერაბ კოსტავასთან ეს სახე ფიგურირებს მიგნებული ეპითეტის – „სიწმინდის“ თანხლებით. სახის წყაროა ბიბლია: „უფლის თვალი ათასჯერ ნათელია მზეზე, ის ადამიანთა ყველა მზეს ჭვრეტს“... (სიბრძნე ზირაქისა, 23,19)(2,50).

„ყველამან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“ (იგავნი სოლომონისა, (5,3)(1,627).

ჭეშმარიტი ცხოვრება სიხარბის, მომხვეჭელობის, განცხრომის დაგმობაა, სიწმინდის მსახურება, ღმერთის გეზის ძიება, „ერთის“ ირგვლივ გაერთიანება მაღალი მიზნით: „...ასე იკვრება მრავალი ერთით, მსგავსი, რომლისაც არ გვეგულება, თუკი სამყაროს გულია ღმერთი, გზაა სიწრფელეც და ერთგულებაც. და ამიტომაც დაგვიმოძღვროს, გვედრით, უღირსთ გვაჩვენოს თავის დიდება, თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზაა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც“ (იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი)(10,54).

ერთი ღმერთის „სახელია: „ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი ქრისტე იესო“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 3,5) (3,452).

გზა ღმერთის სახელია. ქრისტე არის „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14,6)(3,211).

სიბრძნე თავად უფალია: „მე, სიბრძნე, დავანებული ვარ შეგნებაში და ფიქრების ცოდნა მოვიპოვე“ (იგავნი სოლომონისა, 48,12)(1,622).

ჭეშმარიტება ღმერთია: „... ჭეშმარიტებაა ღმერთი, მართალი და წრფელია იგი“ (II 32,4)(1,209).

„კურთხეულია ღმერთი ჭეშმარიტებისა“ (II ეზრა, 4,40)(2,480)

„ღმერთი – ჭეშმარიტების სვეტი და საფუძველი“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 4,75)(3,451).

ლექსში „შიმშილობა“ ერთად ისახება გველი და მტრედი. საუბარია მათ „შეხმატკბილებაზე“: „განმისპეტაკე, მაღალო ცაო, გველისა ტრედთან შეხმატკბილება, ბალღურ სიწმინდეს რომ შევუზავო ცხოვრების ჩემის გამოცდილება“ (10,149).

გველი სიბრძნის სიმბოლოა, მტრედი – სიწმინდის.

მერაბ კოსტავას ფრაზის წყაროა სახარება. როცა ქრისტემ თავისი მოწაფეები მიავლინა ხალხში, სიკეთის, მშვიდობის, მკურნალობის მისიით ასე დამოძღვრა: „აჰა, მე მიგავლენთ თქვენ, როგორც ცხვრებს მგელთა შორის. აბა, იყავით გონიერნი, როგორც გველნი და უმანკონი, როგორც მტრედნი“ (მათე, 10,16)(3,20).

პოეტის რწმენით, მზის – უფლის სასწაულმოქმედება ჭის წყვდიადშიც აღწევს, რათა უნასი უნაზეს ქალად – სიკეთედ გარდასახოს: „ჭის წყვდიადიდან თუნდაც უნასი აზრდღვიალებდეს თილისმა თვალსა, თუნდაც წყეული უდგეს კრიჭაში, მზე ჩაბრძანდება მაინც იმ ჭაში და უნასს აქცევს უნაზეს ქალად“ (დე, ჩამოიქცეს ტანჯულის ცრემლი)(10,79).

მერაბ კოსტავას კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვილ წერილშიც წარმოჩნდება საზარელი გველის ნაირსახეობა – ჰიდრა, როგორც ეპოქის მახასიათებელი, რომელიც მონუსხა, დაამარცხა დიდი პროზაიკოსის ნიჭმა: „მსოფლიო აღიარების შემდეგ აირჩიეს (მწერალი ლ.ს.) აკადემიის წევრად, პრესაში ხოტბა აღუვლინეს, გამოუცეს ტომეულები, გადაუხადეს იუბილე, გაირინდა მრავალთავიანი ჰიდრა, გულში ჩაიგუბა ბალღამი“ (გამოსათხოვარი) (16,198).

ჰიდრასთან მებრძოლი, ამ სატანისეული ძალის დამმარცხებელი იყო დიდოსტატის ქმნილებები: „ქართველი ხალხის სიყვარულმა გააპატიოსნა მისი ცხედარი, სიყვარულმა, რომელიც მწერალთა და მოღვაწეთა სიდიადის ერთადერთი უცდომელი ბარომეტრია, ამიტომაც ცხრათავიანმა ჰიდრამ ვერ მიჩქმალა, ვერ მიისაკუთრა მისი სახელი“ (16,199).

ჰიდრა ბერძნული მითოლოგიის მიხედვით არის წყლის გველი, რომელსაც მოჭრილი თავების ნაცვლად ახლები ამოსდიოდა. მოკლა ჰერაკლემ (17,462).

მერაბ კოსტავას პოეზია არის დიდ ქართველ კლასიკოსთა საუკუთესო ტრადიციების შემოქმედებითი გათავისების, ბოროტებასთან, მრავალთავიან ჰიდრასთან შეუდრეკელი ბრძოლის საშვილიშვილო მაგალითი.

## მერაბ კოსტავა საქართველოს თანამდევი მარადიული სულია.

ერის ბედისწერამ მოავლინა იგი ადამიანისა და სამშობლოს მისიის შესაცნობად, აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლად, რათა უდიდესი უპირატესობით გაემარჯვა ბნელეთის მოციქულებზე.

ქრისტეს მხედარი, უფლის მებაღე, ქართული ეროვნული ფენომენის განსაკუთრებულობის დასტური, უწმინდური გველეშაპისთვის ლახვარჩამცემი წმინდა გიორგის მიწიერი ჰიპოსტასი, ცოტნე დადიანივით მაღალი ზნეობის, გმირული სულით გამორჩეული, სამშობლოს “მუდამ ფხიზელი სინდისი” (კობა იმედაშვილი) იყო მერაბ კოსტავა.

გრაალის ორდენის უშიშარი რაინდი, მისივე მიგნებული გამოთქმით, “სიტყვით ნათლისმცემელი”, ასეთად დარჩება მერაბ კოსტავა ერის მეხსიერებაში.

მისი ფილოსოფიურ-რელიგიური ხასიათის ნაშრომები: “ფიქრები საქართველოს მისიაზე”, “ფიქრები ქართულ კულტურაზე”, “წერილები”, “ლექსები” გვეწმუნებს, რომ მათი ავტორი იყო სულიწმინდის მადლით გაბრძნობილი, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, ცნობილ ღვთისმეტყველთა, ფილოსოფოსთა აზროვნებას, ქართული და მსოფლიო სულიერი კულტურის მიღწევებს ნაზიარები სიტყვის ოსტატი.

მერაბ კოსტავას პოეზია “ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდებაა” (ზვიად გამსახურდია, “ძე ქარიშხლისა”) (1,10).

მაღალი სულიერება, ქრისტიანული მრწამსი, ეროვნული ტრიადის ერთგულება დაანათლა არსთგანმრიგემ მის შემოქმედებას.

მერაბ კოსტავა უცდომლად იცნობდა ადამიანს, გაცნობიერებული ჰქონდა მისი პიროვნული, საქვეყნო, საკაცობრიო ვალი, ულრმავდებოდა სიკვდილ-სიცოცხლის, სულის და ხორცის, მიწის და ზეცის იდუმალებას, ხედავდა “უჩინარს”, “მჭვრეტელთაგან უხილველს”, სწამდა სულის მარადიულობა.

მისი ლირიკის მთავარი პერსონაჟია სული უფლისმიერი, სული სატანისეული, სული რაინდული, სული მარადიული, სასწაულმოქმედი.

ის ფლობდა სულის მართვის, სულის წრთობის, დაოკება-დაურვების, მისი სიკეთისკენ მოქცევის, ბელზებელის განგდების ძალას, დაოსტატებული იყო სულის წრთობის, სულის ზრდის საიდუმლოებებში, ნაზიარები იყო ეზოტერულ სიბრძნეს.

ბიბლიაში, თეოლოგიაში, სასულიერო ლიტერატურაში სულის მრავალსახეობის, უსაზღვრობის, უკეთურობის დასახასიათებლად გამოყენებულია ზღვის, ოკეანის ბინადართა, ქვეწარმავალთა, ნადირ-მხეცების სცილასა და ქარიბდას სიმბოლური სახეები, რომელთა დამარცხება მხოლოდ გულისა და გონების განსაკუთრებულ ძალისხმევას, რწმენას ხელეწიფება.

მერაბ კოსტავა ამ მარადიულ პრობლემას ბრძენი ფილოსოფოსის სიდინჯით, მართლმორწმუნე ქრისტიანის სულგრძელობით აშუქებდა და ჭეშმარიტების მიმგნები სულის ხსნის გზებს გვიჩვენებდა, გარდუვალ გამოცდასა და განსაცდელთა დაძლევის შესახებ გვესაუბრებოდა.

ამ მხრივ, მის პოეზიაში ყურადღებას იქცევს ოკეანის, ზღვის, მდინარის, წყაროს სახეები.

ბიბლიაში ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: “ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს” (ესაია 57, 20) (2116).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით “ზღვა მწარე წყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა” (3,519)

ზღვა წმინდა წერილის ენაზე აჯანყებული, მოუსვენარი, ღვთისმოსაობის მტერი ხალხის სიმბოლოცაა (4,179)

ღვთისმეტყველი გვასწავლის, რომ ამ ზღვაზე გადასასვლელია გემი, ძელი, იგივე ჯვარი, ანუ რწმენა (3, 453).

ზღვაზე წარმატებით გადასვლა შესძლო ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ (გამოსვლა, 14,1-31) (5,71-72)

ქრისტე აწყნარებდა ქარს, ზღვას და თავისუფლად დადიოდა წყალზე (მარკოზი, 4,39) (6, 76)

“მცირედმორწმუნე” პეტრემ ვერ შესძლო იგივე და ჩაძირვა იწყო (მათე, 15,28) (6, 32).

ზღვის გადალახვა იქ ბინადართა – ეშმაკეულთა, ვეშაპის, ნიანგის დამარცხებას, სცილასა და ქარიბდას შორის გავლასაც გულისხმობს და ღვთისმოსავნი ევედრებოდნენ ღმერთს დანთქმისაგან გადარჩენას და მყუდრო ნავთსაყუდელის პოვნას (გრიგოლ ხანძთელი, სოფლისა ზღვაი აღძრულ არს) (7, 476)

გალაკტიონ ტაბიძეს ზღვის გადავლის, უკეთურ ძალებთან შერკინების ძალას აძლევდა “დამხსნელი ჯვარი”, რაღაც სპეტაკი, უცხო შვენება”(პორტრეტი).

მზე, სიცოცხლე, სიყვარული, ღმერთი იყო პოეტის წინამძღვარი მრისხანე ზღვების გადავლისას (გადავიარეთ მრისხანე ზღვები) (8,385)

ამასთან, გალაკტიონის პოეზიაში “დიადის” შექმნის სტიმულია ზღვასავით ამოუწურავი ოცნება, ხოლო პოეტის არსებაში ახმაურებული ზღვა მისი გენიაა (ზღვა ახმაურდა) (9, 491).

მერაბ კოსტავას ლირიკაში ადამიანის სულის მახასიათებლად გვხვდება ზღვა, ოკეანე, ტბა, მდინარე, წყარო.

ლექსში “ეტიუდი” (1,80) ცოდვის წვეთები “რისხვიან, გულღვარძლიან, დაუნდობელ, მძვინვარე ოკეანედ” იქცევა და ახალი წარღვნის საშიშროებას ქმნის: “ისევ აღვზევდები, დავლახავ ნაპირებს, მე ოკეანე ვარ რისხვაგვიანი, ვარ გულღვარძლიანი, წარღვნად ამხედრებას აშკარად ვაპირებ. ვარ დაუნდობელი, შფოთი და მძვინვარე... კაცთა მზვაობრობავ, გაგაუჩინარებ ჩემი მზვაობრობით და გვამთა მდინარეს ზღვას გაუმდინარეს რომ შევრთავ, გპირდებით... მტრისას, ო, მტრისას ჩემი გავეშება, აშკარად სიკვდილი ცელს ლესავს თქვენს უკან”.

ეს ოკეანე – უკეთურება ადამიანის სულშია, ნების მოჩლუნგების, ცოდვათა დაუოკებლობის შედეგია: “მე ოკეანე, არათუ გარეთ, ადამიანო, შენს სულში ვმძვინვარებ, ნების მოჩლუნგებას განანებ მწარედ, ვერ დამაოკებ და სასტიკად ინანებ”.

“ვნებათა ღელვის” დამარცხების ძალა “სულიერი კუნთებია”, ადამიანის ძალისხმევაა: “ჩვენს შორის ზავი არასდროს დაიდება, ისევ შენს ხელთაა ჩემი დამშვიდება. ვნებათა დააცხრე ღელვა საშინელი, სულიერ კუნთებით ეკვეთე გულადად”.

ახალ აღთქმაში ბოროტების დამმარცხებელ ძალას ეწოდება “ღვთის სიტყვა” “ორლესული მახვილი” (პავლე მოციქული, ებრაელთა 4,12) (6, 472) “რწმენისა და სიყვარულის აბჯარი”, “ხსნის იმედის მუზარადი” (პავლე მოციქული, I თესალონიკელთა, 5, 8) (6, 442).

სულიწმინდის ქნარად წოდებული წმინდა მამა გვირჩევს ბოროტებასთან ბრძოლისთვის ავიღოთ “სიმართლის ჯავშანი”, ...“რწმენის ფარი”, ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი”, რომელიც არის “ღვთის სიტყვა” (პავლე მოციქული, ეფესელთა, 6, 14, 16, 17) (6, 422)

მერაბ კოსტავას “ეტიუდში” ხსნის გზად ისახება “სიქველის ნათელი” (ღმერთი), სულის ხორცზე აღმატება, მხოლოდ “მშვიდი ზღვით” (მშვიდი ბუნებით) იხილვება ზეცა – ვარსკვლავეთი: “სიქველის ნათელით იხსენ სამშვინველი, თავად სამშვინველი გარდაჰქმენ სულადა. სიმშვენით დაჰკაფე ზვირთები ასმკლავა, რამეთუ მშვიდი ზღვა ირეკლავს ვარსკვლავეთს”.

პოეტის აზრით მხოლოდ ასე შეიძლება “არსთა არსთან”(ღმერთთან) მიახლოება, ციური დასის ჰარმონიის განცდა, ამაღლება: “მშვიდი სამშვინველი აროდეს ბერდება, ის ამრეკლავია თვით არსთა არსისა, საოცარ ნათებად ოდეს აჟღერდება, მასში ჰარმონია ციერთა დასისა”.

დაცემის აცილება, ცოდვათა დამარცხება მხოლოდ რელიგიასთან, სიბრძნესთან, სიყვარულთან, მშვენიერებასთან წილნაყარის ხვედრია: “აღარ გაბადია შენ სხვა რელიქვია. ვერსით მოიპოვო შენ სხვა ბედნიერება. ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ”.

სიბრძნე თავად ღმერთია “წყარო სიბრძნისა” (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3, 12) (5, 190).

**ლუარა სორდია.**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოკუპანტი და ოკუპაცია!

**„ბახტრიონი"!**

**„მეზობელო კარისაო,**
**სინათლე(?) ხარ თვალისაო".**
**ხალხური**

„ოკუპანტი" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს, ერთი სახელმწიფოს მიერ, მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ძალადობრივი გზით მიერთებას, დაკავებას! ბევრჯერ დამიწერია და მითქვამს, რომ საქართველო ოდითგან მდებარეობდა და მდებარეობს ევროპა-აზიის გზაგასაყარზე! რის გამოც, ოდითგან ხდებოდა უამრავი მომხვდურის თარეში და წლობით, ჩვენი მიწების დაკავება, მითვისება!

ვისი ცხენების ფლოქვებს არ გადაუთელიათ ჩვენი ტანჯული მიწა! თუ ოსმალო, თუ სპარსი, თუ მონღოლი, თუ არაბი! ყველამ საკმარისზე მეტი ქართული სისხლი დაღვარა! იყო, ქართული სოფლების დედა-ბუდიანად აყრა და უცხოეთში (ფერეიდანი!) გადასახლება! იყო და არის ქართული მიწების მაცხოვრებლებიანად დაპყრობა-მითვისება!

და ეს ყოველივე ხდებოდ (მოხდა) ჩვენი, ქართველების ნების საწინააღმდეგოდ! ნაცი სააკაშვილის და მოქკავშირელი კვირიკაშვილის, ისტორიული მეგობრის, თურქეთის მიერ მიტაცებულია ტაო-კლარჯეთის (ართვინ-არტაან-ოლთისი), 12 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ქართული მიწა თავისი მოსახლეებით, სადაც უამრავი იყო და არის, სავალალო მდგომარეობაში მყოფი, უნიკალური ეკლესია-მონასტრები! დღეს კი, ამ მიტაცებულ მიწებს, ჩვენი გამყიდველი ხელისუფლების დანაშაულებრივი, უმოქმედო დუმილის გამო ვკარგავთ, თუ უკვე არ დაგვიკარგავს! აგერ, თბილისი უკვე გახადეს ოსმალო-სპარს-არაბ-ჩინელ და უამრავი, დანაშაულებრივი წინაღობის გარეშე შემოხეტებული ვიგინდარების სათარეშო!

ხალხნო, რომელი საუკუნეა, ხომ ვერ მეტყვით? რა ჰქვია ამას? არ არის ეს ოკუპაცია და არ არიან, ამ ვაი ხელისუფლების ისტორიული მეგობრები, ისტორიული ოკუპანტები?!

გადმოვინაცვლოთ აქეთ! რა მდგომარეობაში არიან ჩვენი მოძმე ინგილოები თავიანთ ძირ-ძველ სამშობლოში, ჰერეთში-საინგილოში? რატომ არ აქვთ უფლება, ილაპარაკონ თავიანთ მშობლიურ, ქართულ ენაზე? თუ აზერბაიჯანლებს აქვთ სრული უფლება აქ იცხოვრონ ისე როგორც მათ უნდათ, ჰქონდეთ სალოცავები-მეჩეთები, ჰქონდეთ განათლების (საშუალო,უმაღლესი) მიღების უფლება თავიანთ მშობლიურ ენაზე, ჰქონდათ თავიანთი, აზერბაიჯანული თეატრი (გორგასლის ქუჩის დასაწყისში იყო განთავსებული, დღეს თუ აქვთ, არ ვიცი!), და რაც მთავარია მათ მიმართ არავის და არასოდეს გამოუხატავს არავითარი უკმაყოფილება, იმ უბანში, ხარფუხში ვარ გაზრდილი და შესანიშნავად ვიცი და მახსოვს ყოველივე, ჩვენ რა გვემართება? რატომ არის ეს უბედურ დღეზე გაჩენილი ხელისუფლება ცოცხალ ლეშად ქცეული, რატომ ხმას არ იღებს? რა ხდება? 30 ვერცხლის ბრწყინვალებამ ხომ არ მოგჭრათ თვალი, ან ვიღაცის შიშით, ვირთხებივით ცახცახებთ, და ამიტომ ხართ გატრუნულები?

ამოიღეთ ეგ ისედაც ჩასაწყვეტი ხმა! არის ეს თუ არა ქართული ისტორიული მიწების ოკუპაცია? აი, კიდევ ერთი ასეთივე მტკივნეული მაგალითი! ასევე, უკვე ნაქართველარად წოდებული ლორე-ტაშირის მხარე! ლორე-ტაშირი, სადაც შემორჩენილია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და საფლავები! ეს ძეგლებია: ახტალა, ლორეს ციხე, ქობერი, ოსკაპრი და სხვა! მათგან რამდენიმე მონასტერი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ნუსხაშია შეტანილი! ამჟამად ლორე-ტაშირი სომხეთის ტერიტორიაზეა! არც ეს არის ოკუპაცია? მოგმართავთ თქვენ, ზრდასრულ **ასო**-ებს და კიდევ ბევრ უმისამართოდ, საქართველოს საზიანოდ ვაი-განათლებულ, ვაი-პოლიტიკოსებს, და სოროსის ძღვენით გამძღრებს, რა არის ის რაც მე ზევით მოგახსენეთ, თუ არა ოკუპაცია?

თუ თქვენთვის მხოლოდ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების დაკარგვაა ოკუპაცია? აბა ჩადით აფხაზეთში და სამაჩაბლოში და ჰკითხეთ იქაურ აფხაზებს და ოსებს, და არა სხვას, ძალით დაგიპყროთ რუსეთმა, ისე როგორც ადრე, ტაო-კლარჯეთი, საინგილო-ჰერეთი და ლორე-ტაშირია დღეს საქართველოს მოწყვეტილი? თუ ეს ყოველივე მათი ნება-სურვილით მოხდა? თუ არასწორად გატარებული პოლიტიკის ბრალია, ამაშიც ხელისუფლებაა დამნაშავე და არა მოსახლეობა! იქნებ მითხრას, ვინმემ, რა გგონიათ, თქვენ, ყველა ერთ თარგზე მოჭრილო ბნელეთის მოციქულებო, რუსეთი, რომელსაც, დღეს „ძალა შესწევს ქადილისა", რამდენჯერ გაგაფრთხილათ, რომ ჩემი საზღვრების სიახლოვეს არ დავუშვებ არავითარ ნატო-კატოებს! 1 მარტს, პუტინმა ოფიციალურად განაცხადა, რომ შევქმენით ზემძლავრი იარაღი, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია, ყველგან და ყველა დონეზე დავიცვათ ჩვენი და ჩვენი მომხრე-მეგობრების უსაფრთხოება! მეტი რა გინდათ გითხრათ, გამოვიდეს და დედ-მამის სული გაგინოთ? ისე კი იქნებით ღირსნი!

თქვენ ხართ ატეხილები სამგლე გოჭებივით! თქვენ კისერიც გიტეხიათ თქვენი მეგობარი ქვეყნებიანად, სტრატეგიული პარტნიორებიანად, ნატოიანად! ჩვენ, ხალხს რას გვერჩით? იმდენს იძახებთ, „მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველოში ნატოში" სანამ არ აიძულებთ, როგორც იმ მოსიარულე დივერსანტმა, სააკაშვილმა არ აიძულა რუსეთი და ამის გამო დაგვეკარგა სამაჩაბლო, რომელსაც მიაყოლეს აფხაზეთი, მოვიდეს და ქვა ქვაზე დაადუღოს და ფეხებსაც ვერავინ მოსჭამს, ისე როგორც 2008-ში ვერ აუფრინეს ბუზი! გეუბნებათ, და თქვენ არ გინდათ შეიგნოთ, რომ ამ სახელმწიფოს არ სურს მისი საზღვრების სიახლოვეს, უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალები, მით უმეტეს, ნატო! გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ეს ქვეყანა, აღარ არის ელცინის დროინდელი რუსეთი! დღეს მასთან უშნო ხუმრობას ჯობია შეეშვათ, სანამ ქვეყანაში არ მომხდარა დიდი უბედურება, თქვენი მცდელობით! ეს გეხებათ, როგორც ხელისუფალთ, ისე გაზრდილ **ასო**-ებს და ვაი, მოპოლიტიკო, ქვეყანაზე შემთხვევით გაჩენილ სუბიექტებს!

დაწყებული „მოქალაქეთა კავშირით", გაგრძელებული „ნაცებით" და ეხლა, განსაკუთრებით თქვენით, „ქოცებო", ყველანი ხართ ქართველი ხალხის **ო კ უ პ ა ნ ტ ე ბ ი!** იცით რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობას მოუსპეთ ყველანაირი არსებობის უფლება! ქვეყანაში მძვინვარებს ტოტალური უმუშევრობა, რის გამოც ასევე მძვინვარებს ნარკომანია, შიმშილი! ხალხს არ აქვს პურის და წამლის საყიდელი ფული! ქვეყანას, რომელსაც არ გააჩნია საკუთარ გამგებლობაში საავადმყოფოები და აფთიაქები, როგორ შეიძლება იმ ქვეყანამ იარსებოს?

ზოგნი მეტყვიან, ხომ არის ქვეყანაში „საყოველთაო ჯანდაცვა"? კი, არის. მაგრამ სახელმწიფოს გამგებლობაში არსებობის შემთხვევაში, ბევრად დაიზოგება (თუ ჩემი არ გჯერათ, დაჯექით და იანგარიშეთ) სახელმწიფო სახსრები, და რაც მთავარია დასაქმდება, ჯანდაცვის და მათი დამხმარე ბევრი სპეციალისტი! ამის მეშვეობით, ბევრი ოჯახი გაიჩენს საარსებო წყაროს! თუმცა ამის გამკეთებელი დღეს საქართველოში არა მგონია გამოჩნდეს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამის გაკეთების შემთხვევაში, საკუთარ მეწველ ძროხას გამოუსვამენ ყელში დანას, რაც ყოვლად წარმოუდგენელია! საქართველოში არ არის მცირე და საშუალო ბიზნესი, და თუ სადმე რამე არის, ისიც ან თქვენიანისაა ანდა იმ უცხოელის, რომელსაც წილში(!) უზიხართ! უსაქმურ ჩინოვნიკებს არაფრის კეთებაში აქვთ დანიშნული უზარმაზარი ხელფასები, თავიანთი პრემია-დანამატებით! თუ არ ვამბობ სიმართლეს, მითხარით თქვებ, ბატონო ბიძინა ივანიშვილო, სანამ აგირჩევდნენ, რომ დაპირდი შესაბამის ჯგუფს, თუ მოვალთ ხელისუფლებაში დაუყოვნებლივ დავიწყებთ სასმელი წყლის პროგრამის განხორციელებას!

ტატოს ლექსით მოგმართავთ: „მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?" 2012 წლის 1 ოქტომბრიდან რა ხანია გასული, ხომ ვერ მეტყვით? თქვენ ფინანსებთან გაქვთ მჭიდრო კავშირი და თვლა კარგად გეცოდინებათ, ჰო და დაიანგარიშეთ, თუ რამდენი დღეა, რაც ქართველ ხალხს ამყოფებთ თქვენი ტყუილების ტყვეობაში? ძაღლის ნაკბენივით მახსოვს 2012 წლ-ის 27 მაისი, თავისუფლების მოედანი, სადაც ხალხს უხვად შეგვაყარეთ თვალებში ნაცარი, თქვენი ზღვარგადასული დაპირება-ტყუილებით! რუსებს, იმ რუსებს ვისთანაც (ასე ამბობენ) ბიზნესი გქონდათ და სადაც თვალებში გამოიხედეთ, აქვთ ასეთი სიტყვა: „Живодер", რაც ნიშნავს ცოცხლად გამტყავებელს. ნაცების მერე, ესენი ხართ თქვენ, დღევანდელი ხელისუფლება, ქოცები! ეხლა უკვე გადმოვერთვები თქვენსკენ და გთხოვთ, თუ მოძებნით შესაბამის სიტყვებს, მიპასუხეთ: რა დაგიშავათ ქართველმა ხალხმა ისეთი: რომ ყველა გარეწარი ელჩი, აშშ-ს ელჩის თამადობით თავზე დაგვასვით?

ყველა, საქართველოს მტრის ნაბრძანებს, დიახ ნაბრძანებს უსიტყვოდ ასრულებთ?

ხელისუფლებაში (პარლამენტი, მთავრობა) შეყარეთ ყველა ჯურის გარეწარი მექრთამე და რაც მთავარია საქმის არ მცოდნე? საქართველოს საგარეო ვალი იზრდება და იცით რატომ? იმიტომ, რომ ქვეყანაში არ ხდება საკვები, თუ საწარმოო პროდუქციის წარმოება! თქვენ პირადად, როგორც გარედან ჩანს, დაინტერესებული ხართ მხოლოდ ხეების გადატან-გადმოტანით და თქვენი შუშის სასახლის ნაირ-ნაირი შუშებით შემკობით! ზევით სასმელ წყალზე ვთქვი. თუ გამოჩნდა ვინმე ღვთისნიერი ადამიანი, რომელიც ამ საქმის ამოქმედებას მწვანე გზას მისცემს, და თუ ვინმე გამოჩნდება, ის და მისი მოდგმა დალოცვილი იქნება სამარადისოდ, ქართველი ხალხის მიერ, ის ინვესტორი, რომელიც მოძიებული ჰყავს ამ ჯგუფს ბატონი პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით, საქართველს მოსახლეობას ჰპირდება, რომ ჩვენთან ააშენებს 200 (!) ჩამომსხმელ ქარხანას, დაასაქმებს მხოლოდ(!) ადგილობრივ მოსახლეობას, შესაბამისი მაღალი ანაზღაურებით! ჩამოსხმულ პროდუქციას თვითონ გაიტანს საზღვარგარეთის ბაზარზე გასაყიდად და წლის ბოლოს, გაყიდული პროდუქციის საფასურს, 12 მილიარდ დოლარს გადმოსცემს საქართველოს!

მეტი რა გინდათ ხალხნო? თუ მაინცდამაინც თქვენ უნდა იყოთ მაძღრები და დანარჩენი საქართველო შიმშილით სულს ღაფავდეს? ღმერთი აღარ გწამთ? და კიდევ ერთი ფრიად მტკივნეული კითხვა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს პასუხგაცემული, ეს არის ის, რომ 2021 წელს სრულდება 100 წელი ყარსის ავადსახსენებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ქართველი ხალხის კისერზე! ამის გამო, რომ დაიკარგოს აჭარა, იცოდეთ სამარადისო წყევლა-კრულვა არ აგცდებათ თქვენ და თქვენს მოდგმას, ერთად აღებულს! ამ საკითხის ერთადერთი საშველი არის, მხოლოდ რუსეთის კეთილი ნება, რომელიც დამოკიდებულია არსებული ხელისუფლების გონიერებაზე! გაახილეთ თვალები, მოეგეთ გონს და ის რაც ქართველ ხალხს არ გვინდა, ძალით ნუ გვახვევთ თავზე! ნუ გახდით ხალხს იძულებულს გამოვიდეს ქუჩაში და ყველას, თქვენით დაწყებული, **ასო**-ებთან ერთად და „უპრაგონოდ" შემოხეტებული უცხოელებით დამთავრებული, კინწისკვრით გაგყაროთ აქედან, ვინც გადაურჩებით ქართულ სამართალს! არ გვინდა კიდევ ერთი „ბახტრიონი"-ს მოწყობა! საქმე საშურია, იმდენად, რომ დრო აღარ ითმენს! ნუ აიძულებთ ხალხს ამის გაკეთებას! მალე ვიზეიმებთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას და იმედია უფალი, როგორც ყოველთვის, ეხლაც შეგვეწევა! ამინ! და ბოლოს მივმართავ ყველას ვისაც თანამდებობრივად ეკუთვნის და ძალუძს საქართველოს სასიკეთოდ გარჯა და არ გაირჯება შეგნებულად(!), უფალს ვთხოვ ჩემსავით დაწყევლილი ამყოფოს! უფალს ვთხოვ პატიებას, ამ მარხვის დღეებში, ამ სიტყვების წარმოთქმის გამო! მაგრამ, სხვა გზას ვერ ვხედავ, ამათ გონზე მოსაყვანად!

**საქართველოს ტერიტორიული ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში(?) წარმოებული ძმათამკვლელი ბრძოლების მონაწილე. ორი დაღუპული მებრძოლის მამა,**
**ანზორი დანელია,**

***თემის გაგრძელება:*** ეპიგრაფის სიტყვა „სინათლე"-ს თუ რატომ მივუწერე ბრჭყალებში ჩასმული კითხვის ნიშანი, მკითხველი მიმიხვდება!

**ა.დ.**

# როგორც იქნა პარლამენტიდან პასუხი მაღირსეს...

თანამემამულენო!

როგორც საზოგადოებრიობის დაინტერესებული წარმომადგენლებისათვის ცნობილია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" რწმუნებით მიმდინარე წლის 23 იანვარს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს გადავეცი მიმართვა, რომელშიც ვთხოვდი მას, რომ გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარი ჩვენი ენობრივი კულტურის, ანუ კოლხურ-იბერიული (ქართველური) ენების გადასარჩენად შეექმნა სპეციალური და კომპენტენტური კომისია, რომელსაც ზემოთაღნიშნული ენების დაცვა-განვითარების უზრუნველსაყოფად უნდა შეემუშავებინა ყოვლისმომცველი, კომპლექსური პროგრამა. მიმართვაში ჩავწერე, რომ პროგრამაში სკრუპულოზურად ასახული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზება შეუქცევადს გახდიდა ჩვენი ენობრივ-ლექსიკური კულტურის არათუ დაცვა-გადარჩენას, არამედ, მის შემდგომ განვითარებასაც. მიმართვის ადრესატებს მოვუწოდე, რომ კომისია უნდა დაკომპლექტებულიყო ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით და მასში აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ჩართული ენათმეცნიერები, მწერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა. შ. ჩვენი მხრიდან გამოვთქვამდით მზადყოფნას, რომ წარმომადგენელთა ჩართულობით მხოლოდამხოლოდ პოზიტიურ წვლილს შევიტანდით აღნიშნული კომისიის საქმიანობაში.

და აი, დღეს, 14 მარტს, როგორც იქნა პასუხიც მაღირსეს... პარლამენტიდან ტელეფონით დამიკავშირდა ქალბატონი ნინო ხვიჩია, რომელმაც განმიცხადა, რომ რეკავდა პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, ქალბატონ მარინე ჯაშის დავალებით. მისივე განცხადებით კომიტეტის თავმჯდომარე დიდადაა დაინტერესებული პრობლემის გადაწყვეტით და მიმდინარე წლის აპრილის თვის შუა რიცხვებისთვის ის გეგმავს გაფართოებულ შეკრებას. ქალბატონ ნინო ხვიჩიას თქმით ისინი აპირებენ ჩემს მიწვევასაც და შეკრების კონკრეტულ თარიღსაც აუცილებლად მაცნობებენ.

თანამემამულენო!

მიმაჩნია, რომ შესაძლო შეკრებამდე დარჩენილი დროის მონაკვეთში ინდივიდუალურად იქნება ეს თუ კოლექტიურად, მეგრული და საერთოდ კოლხურ-იბერიული ენების გადარჩენისათვის აუცილებელი სახელისუფლებო-სამთავრობო ღონისძიებების გატარების მოთხოვნით, რაც შეიძლება მეტი მიმართვა-წერილი უნდა გაეგზავნოს საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის ელ.ფოსტა: contact@parliament.ge).

იმედი მაქვს, რომ ამის გაკეთების აუცილებლობას გაითავისებს პატრიოტულად და საღად მოაზროვნე კოლხურ-იბერიული (ქართველური) საზოგადოებრიობა.

უფალი შეგვეწიოს ჩვენს მამულიშვილურ ზრახვებში და გარჯაში!..

ვადინაფედას ნანაში ნინა! ირიათონი ქოჸოფედას მარგალური ნინა!..

**ზურაბ კვარაცხელია,**
**ზუგდიდი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძმები თორდიების საოცარი ტალანტი

ერის სიამაყე და ფასდაუდებელი საგანძური, როდესაც ხალხის მეხსიერებაში წარუშლელ კვალს სტოვებს ნიჭიერებით გამორჩეულ ადამიანთა სიმრავლე. ერის უკვდავ ღირებულებებს, ასეთი პიროვნებები ამკვიდრებენ.

ამ მხრივ, აბაშის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნორიოში დაბადებული ძმები რადიშ, ზაურ და ანზორ თორდიების საოცარი ტალანტი ფრიად დასაფასებელია. შესანიშნავია მათ მიერ გაწეული დაუღალავი ღვაწლი, ხელოვნების სიდიადისა და ეროვნულ ფასეულობების წარმოსაჩენად. სასურველია ეს აღინიშნოს და დღევანდელობაში აუცილებლად საჭიროა „კაი მოყვრების“ გასაგონად და მომავალი თაობის სწორი სულისკვეთების ასაღორძინებლად. პატივი დავდოთ ჩვენს გვერდით მცხოვრებ საპატიო ღირებულებების მქონე ადამიანებს.

ხის სიძლიერე, სიდიდე, ნაყოფიერება მის ძლიერ ფესვებიდან იღებს სათავეს. ასეთი ადამიანებიც წინაპრების ღირსებებიდან გამომდინარე ჰქმნიან უფრო დიდ სიდიადეს, რაშიც გარკვეულწილად, უფროსი თაობაა მაგალითის მიმცემი. შვილებისათვის სწორი აღზრდა ხდება მომავალი წინსვლის საწინდარი.

და მართლაც, ასეთი უნარი, ძლიერი ნებისყოფა, ზეკაცური შემართება გააჩნდა ზემოთდასახელებული სახელოვანი ძმების ბაბუას, სოფ. ნოსირში მცხოვრებ პართენ თორდიასა და მის ბიძაშვილს ლავრენტი (ლაუ) თორდიას.

მათ იმდროინდელ, დიდებული თავადის, კეთილშობილებითა და ვაჟკაცობით ცნობილ კოკი დადიანის თანამდგომად, ჭირში თანამოზიარედ თუ ლხინში თანამოინახედ იცნობდნენ. ულამაზეს მდინარე ტეხურის სანახებში სახელოვანი თავადის სასახლის მეზობლად ცხოვრობდნენ. პართენ და ლავრენტი თორდიებს იცნობდნენ, როგორც ერთ-ერთ უბადლო ვაჟკაცებს. ცხენოსნობაში საუკეთესო მოჯირითეებს შეეძლოთ სწრაფად მორბენალი ცხენის ქვეშ გაძრომა და ისევ უნაგირზე ამხედრება. თავი უსახელებიათ მარულა იქნებოდა თუ სხვა ასპარეზობები. პართენ თორდია იყო აგრეთვე ჩინებული თამადა, საოცარი მჭევრმეტყველი. მას სატევარით შეეძლო მტრის შესაშინებლად მისი შესამოსელი დაეფლითა ისე, რომ სხეულზე ერთი ნაკაწრი არ დამჩნეოდა. დღევანდლამდე სოფ. ნოსირში მცხოვრებ ძველ თაობას ახსოვს და ემაყება სიმართლისმოყვარე ვაჟკაცების სახელები.

საქართველოს ავბედითობის ჟამს, როდესაც წითელი არმიის შემოსვლით ანექსირებულ სამშობლოს სტოვებდა ქართველი წარჩინებულები, ბიძაშვილებმა პართენ და ლავრენტ თორდიებმა თავად კოკი დადიანთან ერთად, ბათუმიდან გემით უცხოეთში გადახვეწას ამჯობინეს მშობლიურ მიწაზე დარჩენა და ქართული სულიერებით გაჯერებულ გარემოში წინაპართა ოფლითა და სისხლით ნაჯაფ, ნაომარ მიწაზე ღირსეული შთამომავლების აღზრდა.

შთამომავლების სახით წარმოჩინდა თავისი საქმის კარგი მცოდნე, სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული ტერენტი პართენის ძე თორდია. ის სოფ. ნოსირიდან მაშინდელ დაბა აბაშასთან ახლოს მდებარე სოფ. ნორიოში გადმოსახლდა. იყო ამ სოფლის კოლმეურნეობის მთავარი საწყობის გამგე. თავის მეუღლესთან, შესანიშნავ ადამიანთან, კარგ დიასახლის ვერა ჩოჩიასთან ერთად ქვეყანას აღუზარდეს მომავალში ცნობილი, კოლხური წიაღიდან აღმოცენებული, შეიძლება ითქვას ამოხეთქილი, ძმები თორდიები.

1936 წლის 21 აგვისტოს დაბადებულ რადიშ თორდიას, ბავშვობიდანვე უყვარდა ხატვა. დაუოკებელი სწრაფვა ჰქონდა სახვითი ხელოვნების იდუმალებით აღსავსე, ფერთა გამით გამოწვეული სილამაზის შეცნობისა და დაუფლებისაკენ. სოფ. აბაშისპირის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1953-1957 წწ. სწავლობს თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის ტექნიკუმში, რომლის ფრიადზე დამთავრების შემდეგ, იმავე წელს ჩაირიცხება ფერწერის განხრით, თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ის მოხვდა ცნობილი მხატვრების სერგო ქობულაძისა და უჩა ჯაფარიძის ჯგუფში. 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა აკადემიური ცოდნის მომცემი უმაღლესი სასწავლებელი. მისი პირველი სერიოზული ნამუშევარია დიდ სამამულო ომის თემაზე შექმნილი სურათი „პირისპირ“, რომელმაც აღიარება მოუტანა.

მისი ფერწერული სურათები შთამბეჭდავი, ენით აღუწერელ სინატიფის, დადებითი ემოციების, სილამაზის, სინარნარისა და ჰაეროვნების ხოტბაშესხმულობაა. თვალში საცემია რადიშ თორდიას შემოქმედების განუმეორებლობა, რამაც განაპირობა ჯერ მოსკოვში მოწყობილ მის სურათების გამოფენაზე მნახველთა დაუფარავი აღფრთოვანება. შემდეგ კი სამი თვით გერმანიაში მოღვაწეობისას მისი ნამუშევრების გამოფენაზე, ხელოვნებათმცოდნეებისა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მიერ რადიშ თორდია როგორც შესანიშნავი მხატვარი, გამოკითხულთა მიერ მხატვართა შორის მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში იქნა შეყვანილი.

მისი ერთ-ერთი სურათი ამშვენებს გაეროს შტაბბინას. აბაშელი მხატვრის შემოქმედება სურათების სახით, ფერწერული სიდიადით გამსჭვალული სილამაზე დაცულია საქართველოს, რუსეთის, გერმანიის გალერეებში. მისი ცნობილი სურათებია: „ბურთთან თამაში“, „ბაბუა ბაბუაწვერათი“ და სხვ.

რადიშ თორდიას სურათი „ბაბუა ბაბუაწვერათი“ კომუნისტური რეჟიმის მიერ აღქმული იყო როგორც არსებული ხელისუფლების ბაბუაწვერას სულის შებერვით გაქრობის მსგავსად გაქრობა. მხატვარს რეპრესირება ემუქრებოდა, მაგრამ სასიქადულო მამულიშვილების კონსტანტინე გამსახურდიასა და ოთარ ეგაძის ჩარევამ იხსნა ის განსაცდელისაგან.

ღვაწლმოსილი ადამიანის შემოქმედება დაფასდა. 1979 წელს მეტროსადგურ „პოლიტექნიკური ინსტიტუტის“ მიმზიდველი ესკიზების გაფორმებისთვის დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით, ხოლო 1990 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მხატვრის წოდება. 1997 წელს კი ღირსების ორდენი გადაეცა. არის შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი. ამჟამად რადიშ თორდია განაგრძობს თბილისის სამხატვრო აკადემიაში პროფესორ მასწავლებლის წოდებით პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მის ნახატებში იგრძნობა მამულის სიყვარული, ზეაღმატებული იდეალებისკენ სწრაფვა, სიფაქიზისა და უანგარო გრძნობის შერწყმა.

მხატვრის მიერ გამოჩენილი გულისხმიერებით ქ. აბაშის კულტურის სახლს გადაეცა ლ. გუდიაშვილის, უ. ჯაფარიძისა და სხვა ავტორების რეპროდუქციები. ყველასათვის სამწუხაროდ, კულტურის სახლში გაჩენილმა ხანძარმა შეიწირა ცნობილი მხატვრების ნამუშევრები.

რადიშ თორდიას პირველი მეუღლე იყო გამორჩეული მხატვარი ნანა მესხიძე. მისგან ორი ვაჟი ჰყავდა. სამწუხაროდ ერთი შვილის გარდაცვალების სიმწარე იწვნია. მისი მეორე მეუღლე მარინა გველესიანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორია. მისგან კი ერთი ქალიშვილი ჰყავს.

საოცარი ტალანტის მქონე ძმებში, ენერგიულობითა და ომახიანობით გამოირჩევა 1938 წლის 6 ოქტომბერს დაბადებული შუათანა ძმა ზაურ თორდია. ის ბავშვობაში კარგი მოცეკვავე იყო. მისი ცეცხლოვანი ტემპერამენტით შესრულებული ცეკვა მოეწონა საქართველოში ცნობილ ქორეოგრაფს ჯანო ბაგრატიონს, მაგრამ ის მუხლის დაზიანების გამო თავს ანებებს მის სანუკვარ ოცნებას, ქართულ ცეკვაში დახელოვნების, დაოსტატების დაუოკებელ სურვილს.

ამის შემდეგ ზაურ თორდია ჩაირიცხება სოხუმის სახელმწიფო თეატრში. გამოცდებზე მისი სამსახიობო ნიჭით მონუსხულმა სოხუმის თეატრის ცნობილმა რეჟისორმა იური კაკულიამ მიიწვია ის სცენაზე სათამაშოდ. გარკვეული წლების შემდეგ 1964 წელს აბაშის კულტურის სახლში დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა. მომდევნო წლებში იყო ინსტრუქტორი, ხოლო 1973 წლიდან გახდა აბაშის კულტურის სახლის დირექტორი.

ზაურ თორდიას ორგანიზატორული ნიჭით, ძლიერი სულიერებით ჩამოყალიბდა მის მიერვე სახელდარქმეული, შემდეგში ცნობილი ანსამბლი „ჰარირა“. ეს ქორეოგრაფიული გუნდი მომდევნო წლებში წარმატებითა და პოპულარობით საქართველოში სუხიშვილებისა და ანზორ კავსაძის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების შემდეგ, პირველ ხუთეულში იყო. ანსამბლ „ჰარირას“ ლოტბარი იყო ვახტანგ (ჭუტული) მიმინოშვილი, მთავარი ქორეოგრაფი ანზორ თორდია და სამხატვრო ხელმძღვანელი ზაურ თორდია. ანსამბლში არსებული დისციპლინა, დაუღალავი წვრთნა, შრომისუნარიანობა გახდა დიდი წარმატების მომტანი. საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ტელე-ეთერში გადიოდა 40 წუთიანი გადაცემა, სადაც გაიელვა ანსამბლის შესანიშნავმა საშემსრულებლო ბრწყინვალებამ. ეს გადაცემა იყო საბჭოთა კავშირის კულტურის ოქროს ფონდში შეტანილი.

„ჰარირა“ იყო პირველი, რომელსაც სახალხო ანსამბლის სახელი მიენიჭა. „ჰარირა“, როგორც საბჭოთა კავშირში პირველი თვითშემოქმედებითი ანსამბლი, კუბაში 12 დღით გაემგზავრა. აბაშის ქორეოგრაფიულ გუნდს საოცარი, ზღაპრული წარმატება ხვდა წილად. გასტროლებმა კუბელების თხოვნით, 12 დღის ნაცვლად 40 დღე გასტანა. აბაშელ მოცეკვავეთა ხელოვნებით გამოწვეულმა ფურორმა, დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. კუბელების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, რაც ძმები თორდიებისა და მთელი ანსამბლის დამსახურებაა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ქორეოგრაფიული სასწაული „ჰარირა“ ასევე დიდი წარმატებით გამოდიოდა ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ბულგარეთში და საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ყველგან აღტაცება, სიხარული, სიამაყე და დაჯილდოება თან სდევდა გუნდს. დიდ ადამიანს, ზაურ თორდიას, შედარებით ყველაზე ახალგაზრდას, 40 წლის ასაკში მიენიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება. მიენიჭა ასევე საკავშირო ფესტივალების ლაურეატობა. ის ერთ-ერთ ფესტივალზე აღიარეს ცეკვა „ჯამსულოს“ საუკეთესო შემსრულებლად.

ზაურ თორდია იყო აბაშაში კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე, იყო ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი.

მისი მეუღლე ლიანა ძაგანია ადრეულ წლებში იყო შესანიშნავი მოცეკვავე. ჰყავთ 2 შვილი და შვილიშვილები.

რადიშისა და ზაურის უმცროსი ძმა, ანზორ თორდია დაიბადა 1944 წლის 3 იანვარს. სკოლის შემდეგ დაამთავრა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების, კულტურის საგანმანათლებლო სასწავლებელი. ის დიდი პატივისცემით იხსენებს ამ ტექნიკუმის პედ. კოლექტივს, შესანიშნავ პიროვნებას დირექტორ ვახტანგ გურგენიძეს, უნიჭიერეს ადამიანს ანტონ ჩიხლაძეს, ქორეოლოგ ავთანდილ თათარაძეს, პირველ ბალერინას ლილი გვარამაძეს, ასევე პედაგოგებს კონსტანტინე მანჯგალაძესა და გივი ოდიკაძეს. ანზორ თორდია, სასწავლებლის დასრულების შემდეგ მშობლიურ რაიონის სიყვარულით გამსჭვალულმა ქორეოგრაფმა, ქართული ცეკვის გავრცელება-შესწავლის დიდი ენთუზიაზმით აღძრული სულისკვეთებით, ადგილობრივ კულტურის სახლში 6 წელი უხელფასოდ ასწავლიდა ახალგაზრდებს ქართული ფოლკლორის სიდიადეს — ქართულ ცეკვას. მისი სახსრებით, მისივე ხელით შეკეთდა ცეკვის შესასწავლი დარბაზი, შემდეგ წლებში კი მუშაობდა მცირედ ჯამაგირზე.

ის ხდება სახელმოხვეჭილი ანსამბლ „ჰარირა“-ს მთავარი ქორეოგრაფი და მის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა. მომთხოვნი ხასიათით, „ჰარირა“-ს სახით შექმნა მაღალი დონის საშემსრულებლო გუნდი. ყოველივე ამის დასტური იყო მაყურებელთა უსაზღვრო ოვაციები, რაც ანზორ თორდიას, როგორც ქორეოგრაფის უდიდესი შრომის შედეგია.

კუბელები მის დატოვებას ცდილობდნენ, სთავაზობდნენ კარგ პირობებს, რომ ქართული ცეკვა მათაც შეესწავლათ. ანზორ თორდია იხსენებს, რომ კუბელებმა ის მიიწვიეს საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ, დიდი მწერალ — კლასიკოსის, ერნესტ ჰემინგუეის სახლ-მუზეუმთან მდებარე ბამბუკების ხეივანში და როგორც საპატიო სტუმარს შესთავაზეს ერთ-ერთ ბამბუკზე ამოეტვიფრა სამახსოვრო წარწერა კუბაში გატარებულ დღეებთან დაკავშირებით. ანზორ თორდიამ უყოყმანოდ და დიდი სიამაყით ქართულად ამოტვიფრა ახლოს მდებარე ბამბუკზე შემდეგი სიტყვები: „საქართველო“, „აბაშა“, „ჰარირა“ და დღესაც, როგორც სავარაუდოა, სიამაყით მოსჩანს, სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ ბამბუკზე ლამაზი, მხედრული დამწერლობით შესრულებული წარწერა.

ანზორ თორდია, საქართველოში მიმდინარე ერთ-ერთ კონკურსზე ხელოვნების მუშაკთა სახელმოხვეჭილი შემფასებლის გიორგი უშიკიშვილის მიერ საქართველოს ქორეოგრაფთა შორის საუკეთესო ხუთეულში დაასახელა.

სასიხარულო, დიდების მწვერვალებისკენ მიმავალ წლებს ცვლიდა ხოლმე ძნელბედობის ხანა, შურით, ბოღმით სავსე ადამიანების ბოროტება. გასული საუკუნის 90-იანი წლები, ღვაწლმოსილ ქორეოგრაფისთვის მძიმე, ტკივილიანი წლები იყო. მის მიმართ მტრულად განწყობილმა, იმდროინდელმა აბაშის მესვეურებმა დაიწყეს მისი შევიწროება, ძირითადად მორალურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი, ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობაც იყო, მიუხედავად ამისა, აბაშის კულტურის სახლში ის მტკიცედ იდგა თავისი პროფესიული მოღვაწეობის ადგილას და განაგრძობდა ქორეოგრაფიულ საქმიანობას. ამ ტკივილიან წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. მას ორჯერ ინფარქტი აქვს გადატანილი. იმ დროს ანსამბლი „ჰარირა“ გაუქმდა, ამას მოჰყვა მისთვის ფინანსური ანაზღაურების გაუქმებაც. სამწუხაროდ დღესაც გრძელდება მისი მორალური შევიწროება. საუბედუროდ, ისევ სიკარგე ხდება მტრული განწყობილების გარემოცვაში.

შესანიშნავი ქორეოგრაფის გულს ამოძრავებს მშობლიური მიწის სიყვარული, ყოველი საცეკვაო მოძრაობის დახვეწა. მის მიერ უძველესი მეგრული ცეკვების წარმოჩენა და ახალი სიცოცხლის მინიჭება, რაც შთამომავლობისთვის წინაპრების მიერ მონაპოვარი საგანძურის გაცოცხლებაა. ეს არის 8 მეგრული ცეკვა: „ჯარალუა“, „ლეისაკირია“, „ოხოხოია“, „ჯამშურო“ იგივე „ჯამსულო“, „ვოისა“, „ძაბრა“, „ყონური“ და „ხემხვაია“. ის 53 წელი მოღვაწეობდა ქორეოგრაფიულ სფეროში. ამ წლებიდან 27-28 წელი უხელფასოდ მუშაობდა. ის მიწვეულ იქნა ჩხოროწყუში ანსამბლ „ჩხოროწყუს“ მთავარ მრჩეველ-ქორეოგრაფად. პატივსაცემი ხელოვანი დიდ მადლიერებას გამოთქვამს აბაშის ხელმძღვანელობის, მათ შორის, პირველი პირების გურამ მგელაძისა და რომან კიზირიას მიმართ, ხოლო გურამ გუნავამ რესპუბლიკის დამსახურებული ქორეოგრაფის წოდებაზე და ღირსების ორდენზე წარადგინა. თბილისში ქორეოგრაფიული მოღვაწეობისათვის „ამაგდარის“ ორდენით დააჯილდოვეს.

ერთხელ, ჩეხოსლოვაკიაში გასტროლებზე ყოფნისას, იქაურმა მასპინძელმა ქორეოგრაფმა შენიშნა, რომ სტუმრები ტკბებოდნენ უმშვენიერესი ხოხბების ცქერით და ჩამოსულების გასაოცრად მასპინძელმა უამბო მათ, რომ ეს იყო კოლხური ჯიშის ხოხბები, რადგან მსოფლიოში მხოლოდ 2 ჯიშის, კოლხური და კოლორადოს ხოხბები არსებობენო. აქედან გამომდინარე, ანზორ თორდიამ თავის ახალგაზრდულ გუნდს დაარქვა სახელი „ქილორი“, რაც მეგრულად ხოხობს ნიშნავს.

ქ. ზუგდიდში ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსზე ანსამბლ „ქილორს“ სანიმუშო-სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა. მრავალი ჯილდო, მათ შორის საერთაშორისო კონკურსებზე დიპლომები და ლაურეატობის ებოძა ამ შესანიშნავ ახალგაზრდულ გუნდს. მათ გამოსვლებს თან სდევდა აღფრთოვანებული შეძახილები.

საინტერესოა ანზორ თორდიას ინტერპრეტაციით დადგმული ცეკვა „ქართული“, სადაც 1 გოგო და 2 ვაჟი ცეკვავს. საოცარია ქართული სულიერების გადმოცემა. ერთ-ერთ ფესტივალზე, თავად ცნობილი ქორეოგრაფის, ფრიდონ სულაბერიძის მიერ იქნა დაჯილდოებული მათი უბადლო შესრულება. მნახველთათვის დაუვიწყარი იყო ეს ცეკვა ინტელექტუალურ ტელე-გადაცემა „ეტალონში“. ეს ცეკვა ასევე შესრულდა ამავე გადაცემის ეგიდით ჩატარებულ თბილისის ფილარმონიის სცენაზე და მისი კარგი შესრულება მეხსიერებას ჩაებეჭდა ის ფაქტი, რასაც განცვიფრება და აღფრთოვანება თან სდევდა სხვადასხვა ხელოვანთა გამოსვლებით განებივრებული თბილისელი მაყურებლებისაგან.

ანზორ თორდიას მეუღლე, აწ გარდაცვლილი თამარ კევლიშვილი თელავში ცნობილი მსახიობების გრიგოლ და ქეთევან კევლიშვილების შვილი იყო. თელავში არსებობს კევლიშვილების სახელობის ქუჩა, დედის მხრიდან თამარ კევლიშვილის ნათესავი იყო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ოთარ ეგაძე, ქართლში ცნობილი გვარის ეგაძეების შთამომავალი.

ანზორ თორდიას ჰყავს 2 შვილი და შვილიშვილი.

ამ წერილში არ შეიძლება, რომ არ ვთქვათ თორდიების ნიჭიერ სანათესაოში ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებაზე სამი ძმების მეოთხე ძმად მიჩნეულ, მათ დეიდაშვილ სერგო ცქიტიშვილზე. ის არქიტექტორ-ვიზაჟისტი და მხატვარია. მოღვაწეობს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის შვეიცარია, ჰოლანდია და ა. შ. არის ჰონკონგში ჩატარებულ არქიტექტორთა კონკურსის გამარჯვებული. მისი ნამუშევრების გამოფენა მსოფლიოს მრავალ ქალაქში იყო მოწყობილი. ძალიან უყვარს აბაშა და თორდიების ნათესაობით ამაყობს.

ასე, რომ სახელმოხვეჭილი, საოცარი ტალანტის მქონე ძმების, რადიშ, ზაურ და ანზორ თორდიების შემოქმედებითი ღვაწლი თანამედროვეთათვის აღნიშვნის ღირსია, რომ მომავალი თაობისათვის იყოს ქართული სულიერების, ტრადიციების გადარჩენისა და წარმოჩენის მისაბაძი მაგალითი.

**მალხაზ გრიგოლია**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ახრიკ ცვეიბა 50 — ქართველების მეგობარი



...აფხაზეთის მადლიან მიწაზე არაერთი გამორჩეული ფეხბურთელი აღზრდილა, თბილისის "დინამოს" თითქმის 100-წლიან ისტორიაში მართლაც გამორჩეული კვალი რომ დაუტოვებია: ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა, გოჩა გავაშელი, აღარაფერს ვამბობთ ვიტალი დარასელიაზე, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ შემოქმედზე: 1981 წლის 13 მაისს, თასების მფლობელთა თასის ფინალში, სწორედ ამ ოჩამჩირელმა ბიჭმა გაიტანა ის გადამწყვეტი და ზღაპრული გოლი გერმანული "კარლ ცაისის" კარში და თბილისის "დინამო" ევროტურნირების გამარჯვებული გახდა!

...საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ასპარეზობის პერიოდში (1936-89) თბილისის "დინამოს" ისტორიაში სეზონი არ ყოფილა, აფხაზეთში აღზრდილ ფეხბურთელს რომ არ ეთამაშა. ეს რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა 80-იან წლებში, როცა "დინამოში" გამოჩნდნენ გრიგოლ ცაავა, გოჩა გოგრიჭიანი, თემურ ქეცბაია, გიორგი ჩიხრაძე, მიხეილ ჯიშკარიანი, სოსო მალანია, რომლებსაც მოგვიანებით მურთაზ შელია და გელა ინალიშვილიც შეუერთდნენ.

იმავეს თქმა შეიძლება აფხაზ ფეხბურთელებზეც, ასევე 80-იან წლებში რომ იცავდნენ თბილისის "დინამოს" ღირსებას: თემურ ჟიბა, თენგიზ ლოგუა, რომან ხაგბა, საიდ თარბა, ჯემალ გუბაზი და, რაღა თქმა უნდა, ახრიკ ცვეიბა, მართლაც გამორჩეული პიროვნება და არანაკლებ გამორჩეული ფეხბურთელი, აქტიური კარიერის დროსაც და დღესდღეობითაც, ასევე გამორჩეული ურთიერთობა რომ ჰქონდა და აქვს ქართველ ფეხბურთელებთან!

ახრიკ ცვეიბას 10 სექტემბერს ლამაზი იუბილე აქვს – 50 წელი უსრულდება! თბილისის "დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს ამ იუბილეს მისი თბილისელი მეგობრებიც მიულოცავენ, ის მეგობრები, რომლებთანაც ახრიკ ცვეიბას თითქმის 30-წლიანი ურთიერთობა აკავშირებს; თანაც, ამ მართლაც ურთიერთობას ვერც ვერავინ და ვერც ვერაფერმა მიაყენა ჩრდილი, იმიტომ, რომ ახრიკ ცვეიბას კაცურ ურთიერთობაში არც არასდროს შეშლია რაიმე...

...თბილისის "დინამოს" ძირითადი ფეხბურთელი ვიდრე გახდებოდა, ჯერ კიდევ მაშინ დაუმეგობრდა გია ფირცხალავას და მათი გამორჩეული მეგობრობა დღემდე გრძელდება; ისე, როგორც ოთარ კორღალიძესთან და სულ ახლახან გარდაცვლილ ლევან ბარათაშვილთან; ცალკე საუბრის თემაა ახრიკ ცვეიბას განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართული ფეხბურთის ორ ცოცხალ ლეგენდასთან, ალექსანდრე ჩივაძესა და ოთარ გაბელიასთან.

სხვა უამრავი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, გნებავთ, გელა ინალიშვილთან მეგობრობა თუ კახა ცხადაძესთან, მით უმეტეს, რომ დაცვის ცენტრში ცვეიბა და ცხადაძე ჯერ თბილისის "დინამოში" თამაშობდნენ გვერდიგვერდ, მერე საბჭოთა კავშირისა თუ დსთ-ის ნაკრებში, ბოლოს კი – ვლადიკავკაზის "ალანიაში".

სხვათა შორის, 1997 წლის სეზონში, "ალანიას" შემადგენლობაში უმრავლესობას... ქართული ფეხბურთის აღზრდილები შეადგენდნენ: ახრიკ ცვეიბასა და კახა ცხადაძის გარდა, იქ იყვნენ მურთაზ შელია, გოგა გახოკიძე, მიხეილ აშვეთია, ბახვა თედეევი, ინალ ჯიოევი და იმ დროისთვის 19 წლის ლევან კობიაშვილი, რომელიც იმ სეზონის დასრულების შემდეგ რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად და საუკეთესო ლეგიონერად დაასახელეს! "ალანიას" მთავარი მწვრთნელი კი ქართული ფეხბურთის დიდი დამფასებელი ვალერი გაზაევი გახლდათ...

...გუდაუთაში დაბადებული ახრიკ ცვეიბა თავდაპირველად მეორე ლიგაში მოასპარეზე სოხუმის "დინამოში" გამოჩნდა, მცირე ხნით ხაბაროვსკის სკა-ში თამაშობდა, 1984 წელს კი თბილისის "დინამოში" მიიწვიეს; თავდაპირველად, საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ, მერე და მერე კი ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობდა კარიერის დასრულებამდე.

კარიერა კი, იცოცხლეთ, ჩინებული ჰქონდა, თუმცა, თავდაპირველად დიდი მოთმინება დასჭირდა, თბილისის "დინამოს" ძირითადში ადგილი რომ დაემკვიდრებინა: თითქმის ორწელიწადნახევარი ელოდა თავის შანსს და აი, 1987 წლიდან "დინამოს" შეუცვლელი და წამყვანი ფეხბურთელიც გახდა.

ის წელი სტაჟიან ქომაგებს კარგად ემახსოვრებათ: შემოდგომაზე "დინამომ" ბულგარეთის "ლოკომოტივთან", რუმინულ "ვიქტორიასთან" და გერმანულ "ვერდერთან" დაუვიწყარი მატჩები ჩაატარა უეფას თასზე და ამ ექვსივე შეხვედრაში ახრიკ ცვეიბა ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ჩვენს გუნდში.

სამი სეზონის (1987-89 წლები) განმავლობაში ახრიკ ცვეიბა თბილისის "დინამოს" შეუცვლელი ფეხბურთელი იყო; მერე, 1990 წლის დასაწყისში, ქართულმა ფეხბურთმა დამოუკიდებლად არსებობა რომ გადაწყვიტა, არავის გაჰკვირვებია ცვეიბას არჩევანი...

...თანაც, ამ ათლეტურ და გონიერ მცველს ხომ კიევის "დინამოში" იწვევდნენ, კერძოდ კი, ამ გუნდისა და საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი! ცვეიბა ჯერ კიდევ თბილისის "დინამოში" თამაშისას მიიჩნეოდა საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატად, კიევის "დინამოში" გადასვლის შემდეგ კი უკრაინული ტიტულებიც მოიგო, ჩემპიონთა ლიგაზეც იასპარეზა და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც უნდა გვეხილა, მაგრამ იტალიის მუნდიალამდე რამდენიმე დღით ადრე, ნაკრების ვარჯიშზე ორმხრივი თამაშისას თანაგუნდელთან შეჯახების შემდეგ ისე დაშავდა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ტურნირი გაუცდა.

სხვათა შორის, იგივე გამეორდა 4 წლის შემდეგაც, როცა მაშინაც ზედ მუნდიალის წინ მიიღო ტრავმა. სამაგიეროდ, მონაწილეობა მიიღო 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, როცა დსთ-ის ნაკრებში გამოდიოდა.

...ახრიკ ცვეიბას უნიკალურ მიღწევაზეც უნდა ვთქვათ: ჯერ საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიოდა, მერე დსთ-ის ნაკრებში, ევრო 1992-ის დასრულების შემდეგ ერთი მატჩი...უკრაინის ნაკრებშიც ჩაატარა! თუმცა, ხვალინდელი იუბილარის სანაკრებო კარიერა ამით არ დასრულებულა: საკუთარი ძალები უცხოეთშიც მოსინჯა (სამი წელი ცნობილ იაპონურ გუნდში, "გამბა ოსაკაში" გამოდიოდა) და 1997 წელს ვალერი გაზაევმა ქართველებით "გაძეძგილ" "ალანიაში" რომ მიიწვია, ამჯერად უკვე რუსეთის ნაკრებში უხმეს!

ეს იყო ცვეიბას მესამე ცდა, მუნდიალზე ეასპარეზა, მაგრამ 1997 წლის გვიან შემოდგომაზე, რუსეთის ნაკრები ორრაუნდიან პლეი ოფში დამარცხდა იტალიის ნაკრებთან...

...თბილისის "დინამო", კიევის "დინამო", ნაბერეჟნიე ჩელნის "კამაზი", იაპონური "გამბა ოსაკა", "ალანია", ჩინური "ციანვაი", ელისტის "ურალანი", დაბოლოს, მოსკოვის "დინამო", სადაც 2001 წელს კვლავაც ვალერი გაზაევმა მიიწვია და სწორედ ამ კლუბში დაასრულა კიდეც ახრიკ ცვეიბამ თავისი კარიერა.

სამაგიეროდ, ცვეიბას საფეხბურთო დინასტია გრძელდება: მისი ვაჟი სანდრო ცვეიბა მამის მსგავსად, ამპლუით მცველია და დღესდღეობით ყაზახეთის ჩემპიონატში, "აქტობეში" თამაშობს.

## რას შეიცავს პლასტმასის ბოთლებში ჩამოსხმული წყალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შეისწავლა პლასტმასის ბოთლებში ჩამოსხმული წყლის ხარისხი და მისი შემადგენელი პლასტიკური მიკრონაწილაკების პოტენციური რისკები.

ჟურნალისტური ორგანიზაციის, Orb Media-ს მიერ ჩატარებული გამოძიებისას შეისწავლეს მსოფლიოს უმსხვილესი ბრენდების მიერ ჩამოსხმული წყლის ქიმიური შემადგენლობა, ჯამში 250 ბოთლი, რომლებშიც აღმოაჩინეს პლასტმასის მიკროელემენტები.

პროფესორ შერი მეისონის განცხადებით, პლასტმასის ნაწილაკები მიყოლებით ყველა ბოთლის სასმელ წყალში აღმოჩნდა. „პლასტმასი გახდა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მასალა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. ახლა ის აღწევს წყალში და სხვა პროდუქტებშიც, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ. ის შედეგები რაც ჩვენ მივიღეთ არ არის კატასტროფული, მაგრამ იწვევს შეშფოთებას", – ამბობს მეისონი.

კვლევის საპასუხოდ რამდენიმე განვითარებული ქვეყნის კომპანიაში აღინიშნა, რომ არ იყო დაცული სანიტარული ნორმები და არც პლასტმასის მიკროელემენტების შემცველობის დონე.

წყლის ტესტირება მოხდა სპეციალური საღებავის, Nile Red-ის დახმარებით, ეს მეთოდი იქნა შემუშავებული ახლახან ბრიტანელი მეცნიერების მიერ, რათა სწრაფად დაედგინათ წყლის ხარისხი.

დღემდე არ არის დადგენილი, თუ რა სახის ზიანი მოაქვს პლასტმასის მიკროელემენტებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის.



**ჩვენი ქუთათური მეგობრები გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაზეთ "ილორის" აქტიური მკითხველი და პროპაგანდისტი, სათნოებითა და სიკეთით გამორჩეული ღვაწლმოსილი მედიკოსი**

**ცისანა ნიკოლოზის ასული შენგელია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს**

**გაზეთ "ილორისათვის" ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიზე:**

**ს.ს „ლიბერთი ბანკი"**

**ანგარიშის ნომერია: GE79LB0711188020717000**

**ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში**

**მფო: 220101480**

**მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"**

**ი. ჭავჭავაძის გამზირი 74**

**თბილისი, 0162, საქართველო**

**მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22**

**ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია,**

**ტელ. 571 22 66 34**

## იუმორი

უკაცრიელ კუნძულზე სამნი აღმოჩნდნენ – ორი მამაკაცი და ერთი ქალი. როდესაც ეს სამეული გადაარჩინეს, მამაკაცებს ეკითხებიან:

– როგორ ინაწილებდით ქალს?

– უბრალოდ, კვირაში სამი დღე ერთს გვყავდა, სამი დღე მეორეს.

– მეშვიდე დღეს რას აკეთებდით?

– მეშვიდე დღეს, ორივე ვცემდით, ღალატისათვის.

* * *

– ექიმო, უკვე ხუთი წელია, ცოლთან არაფერი გამომდის.

– რამდენი წლის ხართ?

– 75-ის.

– ასაკის ბრალია, ჩემო ბატონო!

– კი მაგრამ, ჩემი 85 წლის მეზობელი ლაპარაკობს, რომ ყოველ წუთს შეუძლია.

– მერე, შენც ილაპარაკე!

* * *

ქართველებმა სუპერმატარებელი გამოიგონეს და იაპონელები მოიწვიეს სანახავად. სტუმრებმა დიდხანს ათვალიერეს მატარებელი და მხრები აიჩეჩეს:

– ასეთი რამ მხოლოდ ქართველებს მოუვათ თავში, ოღონდ გზები არ შეაკეთონ და რას არ მოიგონებენ.




**სასწაულმოქმედი პრეპარატები "დომენტოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში**

*დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge